ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.ilori.ge

№116 (177) 26 აპრილი – 3 მაისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ზუგდიდში სახალხო მოძრაობა სამეგრელოს ოფისი გაიხსნა

ალექსანდრე ჭაჭია: “ჩვენი მიზანია, საზოგადოებასთან ერთად ჩამოვაყალიბოთ ის მოთხოვნები, რომლებიც რეგიონის განვითარებისთვისაა საჭირო და ყოველნაირი ხერხით უნდა ვაიძულოოთ ხელისუფლება, იფიქროს ჩვენს რეგიონზე. ამჟამად სამეგრელოს მოსახლეობა მხოლოდ საარჩევნო ყუთის ფუნქციას ასრულებს”.

სამეგრელოსა და მის რაიონებში, სამთავრობო თუ არასამთავრობო, საერთაშორისო, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები მრავლადაა, მაგრამ მნიშვნელობითა და დანიშნულებით ვერც ერთი ახლოს ვერ მივა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოსთან”, რომელიც 1999 წლის მარტში დაარსდა ქალაქ ფოთში ჭეშმარიტი მამულიშვილის – ალექსანდრე ჭაჭიას თავკაცობით. ამ მოძრაობის შექმნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და კუთხურ-სეპარატისტულ პარტიად მოინათლა. გასაკვირი ამაში არაფერი გახლდათ – უმეცრებით დაკომპლექტებული, თავად უმეცარი შევარდნაძის პოლიტიკური გუნდი, რომელთა მთავარ საზრუნავს მხოლოდ შოვნა და საშოვარზე თბილად მოკალათება გახლდათ, დააფრთხო საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ნიჭიერი, უმწიკვლო და პრინციპული პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიას გამოჩენამ. სწორედ ამიტომ, მაშინდელმა ხელისუფლებამ სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” დაუპირისპირა “მოქალაქეთა კავშირის” მაშინდელი ერთ-ერთი ლიდერის ბეჟან გუნავას ინიციატივით დაარსებული “სამეგრელო – ერთიანი საქართველოსათვის”, შევარდნაძისავე დავალებით შექმნილი “კოლხეთი” და სხვა. მაგრამ ეს მოძრაობები შარშანდელი თოვლივით გაქრნენ, ხოლო ჭაჭიასეულმა სახალხო მოძრაობა “სამეგრელომ” მრავალ ქარტეხილს გაუძლო და დღესაც უშიშრად იბრძვის თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად – საქართველოს სულიერი და ტერიტორიული გამთლიანებისათვის.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა შევარდნაძის ბანდიტები საქართველოს საძარცვად იყვნენ შემართულები და სახელმწიფოს არ გააჩნდა სამომავლო მოწყობის მოდელი, ალექსანდრე ჭაჭიამ შექმნა უნიკალური დოკუმენტი: “საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”, სადაც მკაფიოდ იყო გაწერილი ქვეყნის ეკონომიკური და იდეოლოგიური პროგრამა, რომელიც მალე ჩააყენებდა ქვეყანას პერსპექტიულ სახელმწიფოთა რიგებში, მაგრამ შევარდნაძის დანაშაულებრივმა რეჟიმმა საგანგებოდ წაუყრუა ამ დოკუმენტს, რადგან მათ უმთავრეს მიზანს საქართველოს დაკნინება და განადგურება წარმოადგენდა. დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის რეალურ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს, კიდევაც განახორციელებს თავის ამ მზაკვრულ გეგმას, თუ ისინი დროზე არ ჩამოვაშორეთ სახელმწიფო მართვის სადავეებს. ეს კი, დღევანდელი ფსევდოოპოზიციის “დახმარების” გარეშე ძალუძთ მხოლოდ ალექსანდრე ჭაჭიას და მის თანამოაზრეებს!

ყოველი ქართველი, საქართველოს ყოველი კუთხე დღეს იმ განცდით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ საქართველოა გადასარჩენი!

ამ დღეებში ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში გაიხსნა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” კეთილმოწყობილი ოფისი, რასაც დიდი სიხარულით შეხვდნენ ზუგდიდელები და ზუგდიდში განთავსებული დევნილები. მკითხველებს ვთავაზობთ მათ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან რედაქციაში შემოსულ მოსაზრებებს:

ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისის ხელმძღვანელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, 1992-1993 წლებში საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის გამგეობის წევრი: სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” დაფუძნებიდან 10-12 წლის განმავლობაში ქვეყნის სასიკეთოდ არა თუ შეიცვალა რამე, არამედ პირიქით – უფრო გაუარესდა და ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს, ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა გამო, ოდნავ ჩრდილში მოქცეული სახალხო მოძრაობა უფრო გავააქტიუროთ, უფრო მეტი მასშტაბურობა შევძინოთ მას, მოვახდინოთ ეროვნულ-პატრიოტული ძალების კონსოლიდირება და მობილიზება. ამიტომაც, დღის წესრიგში დადგა ზუგდიდში ოფისის გახსნის აუცილებლობაც...

აბელ ხვიტია: მივესალმები ოფისის გახსნას, მივესალმები ალექსანდრე ჭაჭიას. ჭკვიან კაცად ვთვლი და მიმაჩნია, ძალიან დროული და საჭირო იყო ოფისის გახსნა.

გივი სომხიშვილი, მწერალი, კახეთი: სამეგრელოს არაერთგზის დაუხსნია საქართველ სიკვდილის კლანჭებიდან. ახლაც სამეგრელოდან უნდა დაიწყოს საქართველოს გადარჩენა, და თუ ამას სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” ითავებს, მთელი საქართველოო უყოყმანოდ ამოუდგება მხარში. ზუგდიდის ოფისის გახსნა გაზაფხულის მერცხლის მოხარებაა. წინ, ძმებო!

გენო ბერიშვილი: მე ოჩამჩირიდან ვარ და, როგორ შეიძლება, ამ მოძრაობას მხარი არ დავუჭირო. ბატონი ალექსანდრე ასაკით ჩემზე უმცროსია და შეიძლება არ მიცნობს, მაგრამ მე კარგად ვიცნობ მის შრომებს, კარგად ვიცნობდი მის მშობლებს, სულითა და გულით ვარ მასთან მეც და აფხაზეთიდან დევნილებიც...

რამაზ იაშვილი, ქუთაისი: მე გაზეთ “ილორის” აქტიური მკითხველი ვარ, რომელიც სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მიზნებსაა და ამოცანებს ახმოვანებს, ამიტომ, კარგად ვიცი ამ სახალხო მოძრაობის მისწრაფებები. მართლაც დროულია მისი გააქტიურება, რადგან ჩვენი ფსევდოოპოზიციის გადამკიდე, ხალხს, მალე, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ყოველგვარი სურვილი საერთოდ გაუქრება. განა სწორედ ეს არ უნდა საქართველოს არაქართულ ხელისუფლებას?

ვახტანგ შონია: ალექსანდრე ჭაჭიამ სხვა მეტი რომ არაფერი გააკეთოს, ისიც ეყოფა, რომ ზვიად გამსახურდიას ძეგლი დადგა ზუგდიდში. მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს საქართველოში და ეს ოფისიც მოგვცემს იმის საშუალებას, იქ შევიკრიბოთ და დავსახოთ ამ პრობლემებიდან თავის დაღწევის გზები.

რევაზ ფიფია: საქართველოში ამჟამად არსებული ოპოზიციური პარტიები პარტიებად არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ ისეთივე ხედვა აქვთ, როგორიც ხელისუფლებას: ნატო, ამერიკა, დასავლეთი... სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და მისი ლიდერი ალექსანდრე ჭაჭია საქართველოს გეოპოლიტიკას ითვალისწინებს – სად ვცხოვრობთ, ვისთან ვმეზობლობთ. ალექსანდრე ჭაჭია არის ყველასაგან გამორჩეული პოლიტიკოსი, ამიტომაც მის გვერდით უნდა დადგეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი!

ომარ ბრიგორაშვილი, თბილისი: ძალიან გამახარა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ზუგდიდში გაიხსნა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისი. მე გაზეთ “ილორის” რედაქციის მუშაკებთან ერთად ვიმყოფებოდი ჯავახეთში, სადაც უკვე მესამე ათეული წელია ვმუშაობ და ძალიან კარგად ვიცი აქაური მოსახლეობის განწყობა. ყველანი სიახლის მოლოდინში ვიმყოფებით, ალექსანდრე ჭაჭიას კი ვიცნობთ როგორც უაღრესად თავდაჭერილ, გონიერ, ინიციატივიან და სიახლეების მოყვარულ პოლიტიკოსს. ამიტომ, ვიცით, რომ სახალხო მოძრაობის შემდეგი პოლიტიკური წიაღსვლები მხოლოდ ზუგდიდის ოფისის გახსნით არ ამოიწურება. წარმატებებს გისურვებთ!

როლანდ მაძაცარია: ჩემთვის მისაღებია ის იდეები, რომლისთვისაც სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” იბრძვის. ჯანსაღ ოპოზიციად მიმაჩნია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ოფისი.

გურამ ჭანტურია, მე ყოველთვის მომწონდა ალექსანდრე ჭაჭიას გონება და მსოფლმხედველობა, ნიჭი, განათლება. მისი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე აუცილებლად წაადგება ჩვენს ქვეყანას. ახლადგახსნილ ოფისს ხშირად მივაკითხავ.

ტიტიკო კვარაცხელია: დიდი მადლობა ყველას, ვინც იზრუნა ამ ოფისის გახსნაზე. მე ამ მოძრაობის მხარდამჭერი ვარ და მიმაჩნია, რომ ოფისის გახსნა გააააქტიურებს ამ მოძრაობას. მას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სრულიად საქართველოს, მათ შორის სამეგრელოს, აღორძინებაში.

ზური ცირამუა: ჩემი აზრით, ამ ოფისის გახსნა საუკეთესო საშუალებაა ხალხის ზომბირებული ნაწილის სომნამბულური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. წარმატებებს ვუსურვებ ამ მოძრაობას და ალექსანდრე ჭაჭიას. მიგულეთ თქვენს გვერდით.

გურამ შელია: თუ არსებობდა აჭარაში “აღორძინება”, რატომ არ უნდა არსებობდეს სამეგრელოში ანალოგიური რამ? თუ ვინმეს შეუძლია აფხაზებთან კავშირ-ურთიერთობების დამყარება, პირველ რიგში, მეგრელებსა და სამეგრელოს შეუძლია ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდია აღდგენა.

ჯიმშერ შეროზია: არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, ისე კი აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. მიმაჩნია, რომ ამჟამად უფრო ეროვნული პიროვნება, ვიდრე ალექსანდრე ჭაჭიაა, საქართველოში არ არსებობს. მე, როგორც სოხუმელ კაცს, მისი დიდი იმედი მაქვს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია აფხაზებისა და აფხაზეთის დაბრუნება!

გაზეთი “ილორი” უერთდება საქართველოს ბედზე მოწუხარ ჭეშმარიტ ქართველთა საერთო აღტაცებას და მიიჩნევს, რომ სხვა უამრავ სიკეთესათან ერთად, აღნიშნული ოფისის გახსნა, ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას შესაბამისი კორესპონდენციების რედაქციაში გადმოგზავნაში.

სახალხო მასწავლებელი კონსტანტინე მარშანია

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

კონსტანტინე ვასილის (მსტოუსტის) ძე მარშანია, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე აფხაზეთში საერთო-სახალხო განათლების საქმეს მიუძღვნა, 1874 წელს დაიბადა კოდორის (თანამედროვე ოჩამჩირის) მაზრის სოფელ გუფში. მის ას წელს მიღწეულ პაპას უჩანას ეკუთვნის სიტყვები, რომელიც მან 1870 წელს უთხრა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს: **"ცხოვრება შეიცვალა და ჩვენც ახლებურად უნდა ვიარსებოთ"**. კონსტანტინეს მამა დღემდე შემორჩენილი დავთრების თანახმად გუფის სკოლის ნებით დამქირაველები მზრუნველი ყოფილა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ამ სკოლისათვის შენობის აგება და მისი შემდგომი ფუნქციონირება.

ექვსი წლის იყო კონსტანტინე როცა იგი შეიყვანეს სოხუმის მთიელთა სასწავლებელში. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მისი მშობლები გარდაიცვალნენ და ბავშვი ეულად შერჩა მძიმე წუთისოფელს. მისი მოვლა-პატრონობა და მისთვის განათლების მიცემის საქმე ითავა გუფის მრევლის წინამძღვარმა, მღვდელმა ნიკოლოზ საჯაიამ. მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ შექმნილმა სიდუხჭირემ კონსტანტინეს სწავლის შემდგომ გაგრძელების საშუალება არ მისცა. მალე ოჩამჩირის ნოტარიულ კანტორაში დაიწყო მუშაობა მეკალმედ. მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს, რისი წყალობითაც სწავლა განაგრძო ქუთაისის მაზრის დაბა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში.

ხონში სწავლის პერიოდში კონსტანტინე დაუახლოვდა ქართველი თავადის გრიგოლ წულუკიძის ოჯახს – სადაც აღიზარდა რევოლუციონერი ალექსანდრე წულუკიძე. მალე იგი გახდა იატაკქვეშა მოძრაობის აქტიური მონაწილე. სწორედ კონსტანტინე გახლდათ ერთ-ერთი სტუდენტთაგანი იმ ჯგუფიდან, რომელიც შევარდა რექტორის კაბინეტში, იძახდნენ ანტიმონარქიულ ლოზუნგებს და კედლიდან ჩამოგლიჯეს რუსეთის იმპერატორის პორტრეტი. პოლიციამ დღის ბოლომდე ვერ მოახერხა რექტორის კაბინეტში გამაგრებული სტუდენტების გარეკვა. მხოლოდ თავად წულუკიძის ჩარევის შედეგად გადაურჩა კონსტანტინე მარშანია სემინარიიდან გარიცხვას, მაგრამ პოლიციამ მის საქმიანობაზე მკაცრი კონტროლი დააწესა.

1893 წელს, სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ კ. მარშანია ზუგდიდის მაზრის სოფელ კოკში გაამწესეს მასწავლებლად. მან მიიპყრო ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღება და ავტორიტეტი მოიპოვა.

შემდეგ მისი პედაგოგიური მოღვაწეობა გრძელდება აფხაზეთის სკოლებში: მიხაილოვის სოფლის სასწავლებელი (1894 წელი), სოხუმის მთიელთა სკოლა (1898 წელი), ოჩამჩირის ორწლიანი სასწავლებელი (1898 წელი). იგი იყო ტამიშის ორწლიანი სასწავლებლის მზრუნველი-დირექტორი და მისი ძმის, დიმიტრის ხელშეწყობის შემდეგ განაახლა გუფთის სკოლის საქმიანობა, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა მეთვალყურედ. სწორედ მისი ძალისხმევით იხსნებოდა და ვითარდებოდა ახალი სკოლები აბჟუის აფხაზეთში. როგორც სამართლიანად აღნიშნა გ. ძიძარიამ, კონსტანტინე მარშანია იყო **"სახალხო მასწავლებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით"**. იგი მოწოდებით გახლდათ მასწავლებელი, რომლის შთაგონების წყალობით აფხაზებს შვილები სკოლებში შეჰყავდა განათლების მისაღებად. ეს ხდებოდა, მაშინ, როცა, პედაგოგებს და აფხაზეთის მოსახლეობას მძიმე სოციალურ პრობლემებთან უწევდა გამკლავება.

კონსტანტინეს უახლოესი თანამდგომები და კოლეგები გახლდნენ **ფ.ხ. ეშბა, ვ.ხ. გარწკაია, პ.ვ. ჭარაია,** რომლებიც მხარს უჭერდნენ მის მიერ დანერგილ სწავლების პროგრესულ მეთოდებს. კ. მარშანია ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ ბავშვებს აემაღლებინათ განათლების დონე, ცდილობდა მათში სწავლისადმი ლტოლვა შთაენერგა, ხელს უწყობდა სკოლების პრაქტიკაში აფხაზური ენის სწავლების დამკვიდრების პროცესებს.

კონსტანტინე მარშანია იყო აფხაზური ენის დიდი სპეციალისტი და სხვა განათლებულ აფხაზებთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ადგილობრივი მთარგმნელობით კომისიასთან. 1906 წლის დასასრულს და 1907 წლის დასაწყისში იგი მოღვაწეობდა იმ აფხაზ პედაგოგთა ჯგუფში **(ფ. ეშბა, დ. გულია, ა. ჭოჭუა, ნ. პატეიპა და ანტ. ჩუკბარი),** რომელიც მონაწილეობდა მთარგმნელთა მეორე ყრილობაში, რომელიც რელიგიური ლიტერატურის აფხაზურ ენაზე თარგმნების ხარისხს მიეძღვნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. მარშანია მუშაობს კოდორის მაზრის სკოლების ინსპექტორად, შემდეგ კი წლების განმავლობაში იყო ოჩამჩირისა და სოხუმის აფხაზური სკოლების პედაგოგ-მასწავლებელი. იმ პერიოდში გაცემულ მის ერთ-ერთ დახასიათებაში აღნიშნულია: **"კ.ვ. მარშანია, პედაგოგი 53-წლიანი სტაჟით, 1893 წლიდან მუშაობს მხოლოდ სახალხო განათლების ხაზით, მოვალეობას ასრულებს წესიერად და კეთილსინდისიერად, სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას. ხალისით უზიარებს კოლეგებს თავის პედაგოგიურ გამოცდილებასა და ცოდნას, ხშირად გამოდის მოხსენებებით პედაგოგიურ მეთოდოლოგიაზე და ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს... 1893 წელს, სამაგალითო შრომითი საქმიანობისათვის დაჯილდოებული გახლდათ დამკვრელის საპატიო წოდებით".**

კულტურისა და განათლების სფეროს ამაგდარმა კონსტანტინე მარშანიამ არაერთი დირსეული თაობა აღუზარდა სამშობლოს. ცნობილმა აფხაზმა მწერალმა ძაძ დარსალიამ თავის წიგნში **"ცხოვრებიდან"** აღნიშნა კ. მარშანიას, როგორც მისი მასწავლებლის დამსახურებები და წარმოაჩინა იგი განათლებულ, ერუდირებულ, მზრუნველ და ყურადღებიან აღმზრდელად, რომლის სიკეთეს მრავალი თაობა ეზიარა. რუსეთის რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, ვერა მელიტონის ასულ ქარცივაძეს, რომელსაც კონსტანტინე მარშანია საკუთარ მამად და მასწავლებლად მიაჩნდა, ეკუთვნის სიტყვები: **"მის მიმართ ჩემნაირად მადლიერების გამომხატველი ხალხი აფხაზეთში ძალიან ბევრია, რადგან კონსტანტინე მარშანია მხოლოდ სიკეთეს სთესდა".**

მართლაც, ვერავინ მოთვლის, თუ რამდენი სიკეთე და მადლიანი საქმე უკეთებია თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამ უკეთილშობილეს პიროვნებას. იგი უანგაროდ უწვდიდა დახმარების ხელს იმ ადამიანებს, ვინც ამას საჭიროებდნენ. ამის დასტურად მოვიყვანთ თუნდაც ერთ ფაქტს: 1906 წელს სოფელ გუფს თავი შეაფარა **"ოხრანკისაგან"** დევნილმა პორტის მუშამ ქალაქ ბათუმიდან მელიტონ ქარცივაძემ. ახლაგაზრდა მასწავლებლის კონსტანტინე მარშანიას ოჯახში მან საიმედო თავშესაფარიც იპოვა და ბედნიერებასაც ეზიარა – იგი დაქორწინდა მარიამ შონიაზე, ობოლ გოგონაზე, რომელიც კონსტანტინემ სოფელ კოკიდან ჩამოიყვანა და საკუთარ ოჯახში შეიფარა.

სამწუხაროდ, კონსტანტინეს ოჯახსაც შეეხო მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების რეპრესიების მსხვრალი ხელი – დახვრიტეს მისი სრულიად უდანაშაულო უმცროსი ძმა.

კონსტანტინე მარშანია დიდი ოჯახის მამა გახლდათ – მას სამი ქალიშვილი ჰყავდა. მისი უფროსი ქალიშვილი – ლელია გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის იუსტიციის სახალხო კომისარ ვიქტორ ბჟანიას მეუღლე. მათი პირმშო – ვადიმ ბჟანია აფხაზი არქეოლოგია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის მეცნიერულ სფეროში და ერთგულად ემსახურება აფხაზეთის ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვის საქმეს. კონსტანტინეს შუათანა ქალიშვილი – თამარა მარშანია ცნობილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, სახალხო პოეტ ბაგრატ შინკუბას მეუღლე გახლდათ და ჰყავს ორი შვილი – ბენურა და ბიანა, ხოლო მათი შვილისშვილი ლევან მიქავა თავისი ხალხის ერთგული მსახური და სამშობლოს პატრიოტია. უმცროსი ქალიშვილი გულნარა მამის კვალს გაჰყვა და მთელი შეგნებული სიცოცხლე აფხაზეთში განათლების საქმეს მიუძღვნა. გარდაიცვალა 2009 წელს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კონსტანტინე მარშანიამ სოხუმის აფხაზურ საშუალო სკოლაში (მთიელთა და ათწლედის) გაატარა. იგი 1941 წელს გარდაიცვალა სოხუმში, სრულ გონებაზე მყოფი. მიუხედავად მის მიერ განათლების სფეროში გაწეული ვეებერთელა წვლილისა, მაინც თვლიდა, რომ ბევრი რამ ვერ მოასწრო, მიტევებას ითხოვდა და ახლობლებს ემუდარებოდა მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან კონსტანტინე მარშანია – შთამომავლობამაც გაუმართლა და მისი ანდერძის ერთგული დარჩა!

დასაფლავებულია ქალაქ ოჩამჩირეში.

მამა დავით ისაკაძე: გოგი გვახარია ლაპარაკობს ბავშვების გარყვნაზე, ეს არ არის პედოფილია?!

(ანუ, შინ არ შეუშვათ გვახარიასთანა გარყვნილები და არ მიესალმოთ მათ)

ახლოვდება არჩევნები და ყველასაგან მოძულებული „ნაციონალები" ცდილობენ თავი ერის სატკივარის გამზიარებლებად მოაჩვენონ საზოგადოებას. ახლა ისინი ახდენენ იმ მათსავით ანომალიური პირების „მხილებას", რომლებიც სწორედ მათი ხელდასხმითა და ფინანსებით ეწეოდნენ ქართული საზოგადოების გარყვნას. ამას წინათ საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე სასულიერო სემინარიის რექტორს „უმასპინძლა" პირველმა ანტიქრისტემ და არაქართველმა დავით პაიჭაძემ და თავი წარმოადგინა როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დიდმა გულშემატკივარმა. შემდეგ კი ხელისუფლების საყვირად ქცეულმა ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა გამოაქვეყნა სამღვდელოების წარმომადგენლის მოსაზრება გულისამრევ ანომალიურ პიროვნებაზე გიორგი გვახარიაზე, რომელიც ცნობილია თავისი გამრყვნელი ტელეგადაცემებით. რა თქმა უნდა, მისი პირველი ხელშემწყობი, ამ საძრახის საქმიანობაში, ჯერ შევარდნაძის ხელისუფლება იყო, ახლა კი ნაციონალების ხელისუფლება გახლავთ. გთავაზობთ ამ ინტერვიუს და კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ: დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან საქართველოს მართლაც სატანური ძალაა დაპირისპირებული!

რა არის პედოფილია და როგორ უყურებს ეკლესია სექსუალურ უმცირესობებს, არიან თუ არა ეკლესიაში ისეთი მამები, რომლებიც თავისი საქციელით პატრიარქის ავტორიტეტს ზიანს აყენებენ. რატომ მოდის ერთმანეთთან დაპირისპირებაში მართლმადიდებლური ეკლესია და ლიბერალური ფრთა. რამდენად ტოლერანტული საზოგადოება ვართ და უნდა გამოცხადდეს თუ არა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად, ამ საკითხებზე ჟურნალისტებს მამა დავით ისაკაძე ესაუბრა:

– მამა დავით, როგორ შეაფასებთ დღევანდელი საქართველოს სულიერ მდგომარეობას, რამდენად მორწმუნენი ვართ?

– კმაყოფილება რომ გამოვხატოთ, სარწმუნეობრივი თვალსაზრისით, მართლები არ ვიქნებით. თუმცა, ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოდის ეკლესიაში. არაერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ვყოფილვარ და ახალგაზრდების ასეთი მოზღვავება, არ მინახავს.

– ამბობენ, რომ დღეს, ახალგაზრდობა გარყვნილების გზაზეა დამდგარი, რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– მასმედიის საშუალებების მხრიდან, არის მცდელობა, საზოგადოების გარყვნის, მათ შორის ბავშვებისაც. დიდი ხანია გვაქვს პოლემიკა, სასამართლოში შეგვაქვს სარჩელები, სკოლაში სექსუალური აღზრდის შესახებ. უამრავი წიგნი ვნახეთ, სადაც არის ფოტოები და ტექსტები, თუ როგორ უნდა გაირყვნას მოზარდი. თუ ლაპარაკია პირად ჰიგიენაზე და სხვა პიკანტურ თემაზე, ამისთვის უნდა არსებობდეს პოლიკლინიკაში კაბინეტები, სადაც შეიძლება მივიდეს ბავშვი და გაერკვეს საინტერესო საკითხში, სკოლებში კი ამის სწავლება, დაუშვებელია.

– ერთ-ერთ ინიციატორს პედოფილი უწოდეთ, ამას გამოეხმაურა ნინია კაკაბაძე, რომელიც ბოდიშის მოხდას გთხოვთ...

– ეს რომ იყოს ისეთი საგანი, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ადამიანის კონკრეტულ ცოდვას, რომელზეც საჯაროდ მივაყენე შეურაცხყოფა, აუცილებლად მოვუხდიდი ბოდიშს, მაგრამ როდესაც ადამიანი მიზანმიმართულად მოუწოდებს საზოგადოებას, რომ მოხდეს ბავშვების სექსუალური აღზრდა, ეს უკვე მთელ ჩვენს მომავალ თაობას ეხება. სახარებაში არის ასეთი ციტატა, რომ ვინც გულისთქმით შეხედავს ქალს, იმრუშებს. საუბარია ისეთ თემაზე და ადამიანის ისეთ ცოდვაზე, როდესაც მარტო თვითონ კი არ ზიანდება ამ ცოდვით, არამედ უამრავი ადამიანის სულიერ გარყვნასაც ეწევა.

– მაშინ გოგი გვახარიას სხვა სახელი დავარქვათ, მაგალითად ცოდვილი და არა პედოფილი, რომელიც ისეთ ადამიანს ნიშნავს, ვისაც ბავშვთან აქვს სექსუალური კავშირი.

– ის ზრდასრულია. გვახარია ლაპარაკობს ბავშვების გარყვნაზე, ეს არ არის პედოფილია?! აუცილებელი არ არის ურთიერთობა ჰქონდეს ბავშვთან. როცა ბავშვის გარყვნაზე საუბრობს, ეს რას ნიშნავს?

– მამა დავით, სექსუალურ უმცირესობებზე მინდა გკითხოთ, როგორ უყურებს მათ ეკლესია?

– სექსუალურ უმცირესობებს, ეკლესია უყურებს, როგორც სულიერად ავადმყოფ ადამიანებს, რომლებსაც სერიოზული პრობლემა აქვთ. მათ შეუძლიათ აღსარება ჩააბარონ და შემდგომში ეკლესიაშიც იარონ, თუკი ბრძოლას დაიწყებენ ამ ცოდვასთან.

– რაც შეეხება "ჰელოუინის" დღესასწაულს, როგორც ამბობთ, იქ სატანური რიტუალები ტარდება?

– ამ თემასთან დაკავშრებით ჩვენ არაერთი ნაშრომი გამოვუშვით. ასევე განცხადება აქვს გაკეთებული საპატრიარქოს. მოკლედ გავიმეორებ, ეს დღესასწაული თავისი არსით, მოდის წარმართული რიტუალებიდან, რომელმაც შემდეგ სატანისტური ფორმები შეიძინა. ჩვენ ასევე ვნახეთ, ის საშინელი კადრები სიონის ტაძართან გამართული ბაკქანალიისა. ბავშვებს ეცვათ ისეთი სამოსი, რომელიც სატანისტური ატრიბუტიკაა. თავად ამ ახალგაზრდების მდგომარეობაც საშინელება იყო. მათგან აგრესია მოდის.

– ხშირად არის დაპირისპირება ლიბერალურ ფრთასა და ეკლესიას შორის, რა არის ამის მიზეზი?

– ღმერთმა მოგვცა თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვიყოთ ღვთისნიერები ან პირიქით. როდესაც კონკრეტული პიროვნება, ან საზოგადოების ნაწილი, თავის პოზიციებს, თავის მოსაზრებებს ეკლესიას ახვევს, ეს ყოვლად დაუშვებელია და იწვევს დაპირისპირებას.

– "ლიბერალიზმი" თავის მხრივ ადამიანის თავისუფლებას ქადაგებს...

– ზოგს თავისუფლება ესმის, როგორც რწმენისგან, ზნეობისგან და ეროვნულობისგან თავიდუფლება, რა ვქნათ?

– ეკლესიას ხშირად აგრესიის გამოვლინებაში ადანაშაულებენ...

– ჩვენ გვაქვს მკაცრი სწავლება, მხოლოდ ცოდვასთან მიმართებაში ან პიროვნებასთან რომელიც, მიუხედავად არაერთი შეგონებისა, აგრძელებს ეკლესიის შეურაცხყოფას, ან რაიმე ცოდვის გაღვივებას საზოგადოებაში. ასეთ პიროვნებას შედარებით მკაცრად დაველაპარაკებით. რადგანაც მაცხოვარიც სწორად ასე იქცეოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ძალადობის მომხრენი ვართ. მკაცრი ტონი არ ნიშნავს ძალადობას.

– მაცხოვარმა ეკლესიიდან ფარისეველი მღვდლებიც გაყარა, დღეს თუ არიან ისეთი მამები, რომლებიც ლახავენ ეკლესიის ავტორიტეტს?

– ჩვენ ვერ გამოვთქვამთ სრულ კმაყოფილებას, ვერ ვიტყვით, რომ თითოეული მღვდელმსახური იდეალურია, ყველას შეიძლება ჰქონდეს რაღაც სისუსტე, რადგან ადამიანები ვართ.

– მკითხავებთან, წინასწარმეტყველებთან შეიძლება თუ არა რაიმე საერთო ჰქონდეს სასულიერო პირს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ უამრავი სურათი ვნახე, სადაც მამები მკითხავ ლელა კაკულიასთან ერთად არიან გადაღებულნი.

– არავითარ შემთხვევაში! ასეთი საქმიანობა საეკლესიო კანონებით ისჯება. ეს ერთერთი ეპიტემია. ბუნებრივია, სასულიერო პირს არანაირი საერთო არ უნდა ჰქონდეს ასეთ პიროვნებასთან.

– მამა დავით ქვლივიძემ ასეთი რამ განაცხადა: იაპონიაში მიწისძვრა იმიტომ მოხდა, რომ იქ ქალიშვილობის ინსტიტუტი არ არსებობს.

– ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატაა, მოსმენილი მაქვს ეს ქადაგება. ის არა მარტო იაპონიას ახსენებს. განსაცდელები როდესაც ხდება, ეს არის ცოდვების გამო, არა აქვს მნიშვნელობა იმ ცოდვას რა ჰქვია. ამ ქადაგებაში ამაზე იყო საუბარი.

– მამა დავით, რამდენად ტოლერანტული ერი ვართ?

– ტოლერანტულები რომ ვართ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენთან მრავალი უცხოტომელი ცხოვრობს, საკმაოდ მშვიდობიანი თანაცხოვრებით. თუ ლაპარაკია რელიგიურ ტოლერანტულობაზე, მაშინ ჩვენ უნდა ავხსნათ, რომ დაუშვებელია სხვა სარწმუნოებაშიც ვაღიაროთ ჭეშმარიტება. არ მივუთითოთ იმ ადამიანებს, რომ ის მცდარი სწავლებაა, ეს არის უდიდესი სიყვარულის გამოვლინება, იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც სწორ გზაზე ვაყენებთ.

– უნდა გამოცხადდეს თუ არა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად?

– ჩემი პოზიციაა, რომ არავითარ შემთხვევაში. ის ფორმა, რომელიც დღეს არის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, ანუ კონკორდატი, საკმაოდ ნორმალური და მისაღებია.

ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული თუ იბერიული?“

მკითხველის გამოხმაურება

გაზეთ „ილორის“ ფურცლებზე მრავალი საინტერესო და ყურადსაღები წერილი ქვეყნდება, მათ შორისაა 2011 წლის 8-15 მარტის ნომრის მეცხრე გვერდზე დასტამბული წერილი ენათმეცნიერის, ბატონი კუკური ფიფიას ავტორობით: „ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული თუ იბერიული?“ სამწუხაროა, რომ ეს ჩინებული გაზეთი მცირე ტირაჟით გამოდის და მასების ყურადღების ცენტრში, ალბათ, ნაკლებადაც ექცევა, მაგრამ ისე ღირსეული ავტორები ფიგურირებენ და ისე სერიოზული განსჯა არის ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე, რომ იმედია მალე ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის ხელმისაწვდომი და ხელიხელსაგოგმანებელი გახდება.

საქართველოს უკანასკნელი, ჩვენთვის სამარცხვინო ომის შემდეგ გახმოვანდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის – ვლადიმერ პუტინის გამონათქვამი: **„ქართველები ბაურკვეველი წარმომავლობის ერია“**. რის საფუძველზე მოხდა პუტინის გონებაში ამ თეზისის ჩამოყალიბება, ამას საოცარი სიღრმით ხსნის ბატონი კუკური. იგი გვიჩვენებს არა მხოლოდ ქართული ცივილიზაციის წიაღში განვითარებულ მოვლენებს, არამედ მშობელი იბერიული ცივილიზაციისაგან მისი სეპარატიული გზით გამოყოფის მტკივნეულ პროცესსაც.

ჩვენ, არცთუ მაღალი ცნობიერების მქონე ქართველ ახალგაზრდებს გვეამაყებოდა, რომ ჩვენს ძარღვებში ჩქეფდა იბერიული სისხლი, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, მარტო აღმოსავლეთი საქართველო იწოდებოდა იბერიად, მარტო დასავლეთი საქართველო კოლხეთად თუ ოდესღაც ერთიანი და მთლიანი საქართველო მოიაზრებოდა იბერიად? ვერც კავკასიის იბერიასა და მსოფლიოს უძველეს იბერიული ცივილიზაციის ურთიერთმიმართებაში ვერკვეოდით: თუმცა სტუდენტობას უკვე გვყავდა ქართული იბერიული ცივილიზაციის ისეთი ცნობილი გზამკვლევები, როგორიც იყვნენ: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვა, მაგრამ მათკენ სავალი გზა მოჭრილი გვქონდა იმპერიული სუკის ყველგან შემდწევი დოქტრინით: **„ეროვნული კუდაბზიკობა უბადრუკი შინზრდილი პატრიოტიზმის შედეგია“.**

ჩვენი ეროვნული ცნობიერება არსებითად ეყრდნობა ლეონტი მროველს, რომლის შესახებაც ბატონ ივანე ჯავახიშვილს სერიოზული შენიშვნები ჰქონია, მაგრამ ჩვენი ზერელე ცოდნის გამო იგი არც შეგვინიშნავს და აი ბატონი კუკური სათაურში გამოტანილი პრობლემის არსში გასარკვევად წერილს ასე იწყებს: **„ნებისმიერი ერის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს განეკუთვნება საკუთარი ერისა და ენის წარმომავლობა. ამ მხრივ არც ქართველები ვართ გამონაკლისი. ჩვენთვის ცნობილი ისტორიის მანძილზე ამ საკითხის გარკვევა პირველად ლეონტი მროველს (ნამდვილს, თუ ცრუს გაურკვეველია) უცდია, მაგრამ როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამ საკითხს მან „ვერ სძლია, ვერც საკმაო ცოდნა გამოიჩინა, რომ ნათესავნი უცხოსაგან გაერჩია და ქართველტომები (ქართლელნი, კახელნი, მესხები, მეგრელები და სხვანი) კავკასიის სხვა ერებისაგან განცალკავებულისა, თვით ისინი – კი ერთი შთამომავლობისად აღეარნა. ქართველ ყველა ტომების შესახებაც საჭირო ცნობები არ ჰქონია“.** (ივ. ჯავახიშვილი, ტ IX 1977. გვ 181).

როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, ლეონტი მროველს ქართული ენის გაჩენა ენათა შერევით აუხსნია: **„ქართლოსიანნი თავდაპირველად სომხურს ლაპარაკობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში საქართველოში ბევრი სხვადასხვა ენისა და „ნათესავის“ ხალხი ჩამოსახლდა და „ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“-ო... მაშასადამე, ავტორის სიტყვები „ენათა შერევა“ თავის ნამდვილ და ძირითად მნიშვნელობით გაუგია და ამაზე დაუმყარებია ქართული ენის გაჩენის თეორია. ამგვარი ახსნა ჩვენს დროში ბავშვსაც კი არ ეპატიება, თუმცა თანამედროვე მეცნიერებაც არ უარყოფს, რომ ზოგიერთი ენები შერეულ ენათა ჯგუფს ეკუთვნიან“...** (იქვე-ტIX. გვ.183). **ჩვენ კი ვფიქრობთ, ლეონტი მროველი არც ისე გულუბრყვილოა. მან ბრწყინვალედ იცის, რომ მოკლე დროით, მაგრამ იბერიის გარკვეული ტერიტორია მიტაცებული ჰქონდა ძვ.წ.აღ. I საუკუნის სომეხთა მეფეს ტიგრან II და ამ ტერიტორიაზე იმ ხანად სომხური ენა ბატონობდა, მაგრამ ეს პერიოდი მან საგანგებოდ ძვ.წ.აღ. მე-VI საუკუნის წინა ხანაში გადაიტანა (რა პერიოდზეც საფუძვლიანი ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება), რომ უგულვებელყოო იბერიის ბატონობა კავკასიაში და არ შეიძლება, რომ არ სცოდნოდა ტიგრან II-მდე და მას შემდეგ 523 წლამდე ქართლი იბერიის ორგანული ნაწილი იყო, მაგრამ ამას იგი სპეციალურად მალავს, ქართლის ხელისუფლებას გუნდრუკს უკმევს და ქართული ენის აღზევების ხანა ახ. წ. აღის 899 წლიდან ძვ. წ. აღ.-ის 284 წლამდე გადააქვს, რაც ჭკუამოკლე საქართველოს ხელისუფლებასაც გაუტკბა და ხელი მიჰყო ამ სიცრუის ჭეშმარიტების რანგში დამკვიდრებას“. „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“-ო ამის თქმა და საერთო სალიტერატურო ენის წინარე – იბერიული ენის არსებობის იგნორირება, ხოლო მის ადგილზე სომხურის დაყენება, სომეხი ავტორის გარდა, სხვას არ შეეძლო“.**

შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონი კუკურის ნააზრევს. მაშ, ინფორმაცია: ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული და გარდა ქართულისა არდარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა, ნაყალბევი ყოფილა, ახლა ხომ აურაცხელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ფარნავაზამდეც ყოფილა ქართლში მწიგნობრობა, ხოლო ფარნავაზის სამეფო არა მარტო ისტორიული ქართლის სივრცეს, არამედ ლაზთა, მეგრელ-ჭანთა და სვანთა სივრცესაც მოიცავდა. იქ არა თუ ოცდასამი საუკუნის წინათ, დღესაც ცოცხალია იბერიულის დიალექტები და ფარნავაზამდეც და ფარნავაზის შემდეგაც, რომ იბერიულ ენაზე მეტყველებდა ქართლიც და ქართლურიც რომ დიალექტი იყო **„არგონავტების“** სტუმრად მიმღები დიადი იბერიისა და აიეტის მშობლიური იბერიული, იგივე მეგრული ენისა, დღეისათვის ნათელია.

დროა ყოველმა ქართველმა გააცნობიეროს, რომ მეგრულ-ჭანურ-ლაზური და სვანური ენები, საბედნიეროდ, ცოცხლად გადარჩენილი იბერიული ენის დიალექტებია, რომლისთვისაც ქართლურიც დიალექტი იყო, მაგრამ ქართლურისაგან განსხვავებით მათ უფრო ცხოველი ენობრივი კავშირები აქვთ უძველეს იბერიულ ცივილიზაციასთან, ამიტომ, საკუთარი გულივით უნდა მოვუფრთხილდეთ მათ. ეს ჩვენი ეროვნული მოვალეობაა. იბერიის გაბრწყინების წინასწარმეტყველების აღსრულება, კაცობრიობის სულიერების აღდგენა, თეზეოსი – როგორც აპოკალიფსის ალტერნატივა, იბერიული ენასა და მის დიალექტებში ჩაღმავებითაა შესაძლებელი.

“სალიტერატურო ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენების არმცოდნე ქართველებს და იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ზერელედ მცოდნე მეცნიერებსაც კი, ალბათ, ჰგონიათ, რომ თანამედროვე სალიტერატური ენა მხოლოდ ქართული დიალექტის ბაზაზეა შექმნილი და უდიდეს უმრავლესობას ჰეგემონური ამბიციები ამოძრავებს.

მაშინ, როცა დედამიწაზე გლობალური კატასტროფაა მოსალოდნელი და მის ასაცილებლად კაცობრიობის სულიერ-ზნეობრივი ამაღლება და მოძველებული, ველური ჰეგემონური ამბიციების დათმობაა აუცილებელი, ოფიციალური სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული მეცნიერება, მიუხედავად იმისა, მათთვის ცნობილია „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი სიცრუე და ახალი აღმოჩენების ჭეშმარიტება, გაურბიან ამ ჭეშმარიტების განხილვას, დისკუსიას და ჯიუტად აგრძელებენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ზემოთ აღნიშნული სიცრუის სწავლებას, რაც კატასტროფულად ამახინჯებს ერის სულიერ-ზნეობრივ ძლიერებას და გადაშენებისაკენ მიჰყავს ქვეყანა.

“მიუხედავად იმისა, ე.წ. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის 50%-ზე მეტი უცხოურ, ნასესხებ ლექსიკას წარმოადგენს, არ შეიძლება ჩვენი სალიტერატურო ენა უცხო ენათა კონგლომერატად ჩაითვალოს, რადგან ის უცხოური სიტყვებიც გატარებულია ეროვნულ – ენობრივ-გრამატიკულ ბრძმედში და რამდენადმე მაინც წაშლილია მათი უცხოური ჟღერადობა, ამასთან, წმინდა ეროვნული წარმოშობის ლექსიკური ფონდი, რომელიც 50%-მდე აღწევს, მომდინარეობს კაცობრიობის დასაბამიდან, რომლის მსგავსი ენობრივი მონაცემები დღეისათვის არცერთ ცნობილ ენას არ გააჩნია მსოფლიოში, მოწმობს ჩვენი სალიტერატურო ენის წმინდა ეროვნულ-ენობრივ ნიადაგზე ჩამოყალიბებას“, – ბრძანებს ბატონი კუკური.

უკანასკნელი ათწლეულების პერიოდში, როცა ასე გამძაფრდა ერისა და კაცობრიობის წიაღში ყოფნა-არყოფნის დილემა, როცა საყოველთაო უზნეობა და ამორალიზმი წალეკვით ემუქრება სიცოცხლეს, კაცობრიობის რჩეული პიროვნებები (მათ შორის იბერიული მოდგმისა) უღრმავდებიან წარსულს, რათა აღმოაჩინონ ადამიანის საბედისწერო შეცდომები, რამაც დღევანდელ საყოველთაო კონფლიქტურ სიტუაციამდე მიიყვანა მსოფლიო მატერიალურ დირებულებათა გაფეტიშებითა და სულიერ ღირებულებათა დევალვაციით და უფსკრულის პირას მიაყენეს კაცობრიობა.

იბერიულ-შუმერულ-ქალდეურ-ქართველური ცივილიზაციის შემეცნების გარეშე კაცობრიობა სრულად ვერ გაანალიზებს საკუთარ წარსულს და ვერც აღადგენს დარღვეულ კავშირს ღმერთთან. ამ მიმართულებით მძლავრი ნაბიჯები სწორედ მომაკვდავ საქართველოში, – მსოფლიოს უძველესი იბერიული ცივილიზაციის უკანასკნელ ბასტიონში გადაიდგა და იბერიული მოძრაობის ახალ ტალღას წარსულის შესაცნობად სმენაგამახვილებული დიდი იბერიელები და დიდი ქართველები – ზვიადი და მერაბი ჩაუდგნენ სათავეში, ეროვნული კატასტროფის პირობებში ჩვენს ცნობიერებაში შემოიჭრნენ: უდიდესი მასშტაბის ენათმეცნიერები მამაშვილი მამანტი და ცირა ძაძამიები, **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათა წარმომავლობა“** შვიდტომეულით, გონის ნამდვილი სასწაული ბატონი აკაკი (გასავ) გასვიანი „სამყაროული მოძრაობითა“ და **„ქართული ასოთავრული – სამყაროლოგიით“**; აწ გარდაცვლილი ქალბატონი ცირა ინწკირველი **„იესო ქრისტეს დიდმშვენიერი დიდებით“**. ბატონი თეიმურაზ მიბჩუანი სვანური და შუმერული ლექსიკური პარალელებით, ბატონი ჯუმბერ კაკულია **„საქართველოს ისტორიის ახლებული აღთქმა“**-ით ბატონი კუკური ფიფია **„ძველკოლხური (იბერიული) ენის საიდუმლოებანი“**-თ, ბატონი გია კვაშილავა მეოცე საუკუნის თავსატეხის **„ფესტოსის დისკოს“** გაშიფვრით და კიდევ სხვები ერისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ნააზრევებით, რომელთაც შეუძლიათ ერის კონსოლიდაცია და სულიერი, სოციალური და ეკონომიკური სტაგნაცია დაგვაძლევინონ, თუ მათ გავიაზრებთ და ერთიანი იდეით დავიმუხტებით. სწორედ ეს იდეა იქნება ღმერთან და ეროვნულ ღირსებასთან დაბრუნება.

ტიტულოვანი, სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მეცნიერები თავს რატომ უნდა არიდებდნენ ამ გიგანტ მოაზროვნეებთან საჯარო დისპუტებს, ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვათა საჯარო დისპუტები ეროვნულ ინტელექტუალურ ელიტას გაერთიანებდა, რაც საყრდენი გახდებოდა ერის მათი ირგვლივ შემოკრებისა. განა ხელისუფლებისაგან მართული ქვეყნის დამანგრეველი პროცესები ხელს არ აძლევს ჩვენი განადგურების მოსურნე მტრულ ძალებს, რომ გვიწოდონ მცირე იმპერია და **„ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერად“** გამოგვაცხადონ?

ბატონი კუკური ფიფია სათაურში გამოტანილ საკითხის ნათელყოფას განაგრძობს წერილში: „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“ აღწერს რა ქართველ მეცნიერთა შორის ეთნონიმ იბერის და იბერიული ენის შესახებ აზრთა განსხვავებას, განაგრძობს: **„ქართველ მეცნიერთაგან, როგორც ავღნიშნეთ, ამ პრობლემას შეეხნენ ალ. ცაგარელი, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილმა 1948 წელს საგანგებო სტატია მიუძღვნა, მაგრამ ქართველი მეცნიერები მათ შრომებს მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით კი არ გამოეხმაურნენ, არამედ ალ. ცაგარელს, უნიჭიერეს ენათმეცნიერს საერთოდ აუკრძალეს საენათმეცნიერო საკითხებზე მუშაობა, ნიკო მარი საქართველოდან გადახვეწეს, იოსებ ყიფშიძეს, ამ უპატიოსნეს მეცნიერს 34 წლისას მოუსწრაფეს სიცოცხლე და გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ექვთიმე თაყაიშვილის სტატია (როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ) ჟურნალიდან ამოხიეს, შემდეგ ეს უწმინდესი მამულიშვილი მხოლოდ 48 ჭირისუფალმა გააცილა მთაწმინდაზე. ამ სამარცხვინო საქციელს მეცნიერები კომუნისტურ ხელისუფლებას აბრალებენ, მაგრამ აქაც შეუსაბამობაა, მთაწმინდის პანთეონზე დაკრძალვის ნებადამრთველი ხელისუფლება ვერ აუკრძალავდა ხალხს, უკანასკნელი პატივის მიგებას და ვერ ამოხევდა ჟურანლიდან მის სტატიას, თუმცა იბერიის და ე.წ. მეგრელების იგივეობა, მისი სახელოვანი ისტორიის წარმოჩენა იმპერიისა და სომხების ინტერესებში არ შედიოდა“.**

„ჩვენი ისტორიული ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც გრძელდება. რაც საქართველოში ხდებოდა ადრეც და ხდება ახლაც, ამაში სომეხ მოღვაწეებს ლომის წილი მიუძღვით, ყოველ შემთხვევაში, მათი დაკვეთით ხდებოდა და ხდება დღესაც“.

იმ მრავალ არგუმენტს შორის, რომლებიც ავტორს მოაქვს იბერიული და მეგრული ენის იდენტურობის ნათელსაყოფად, შთამბეჭდავია **„არმაზის ბილინგვად“** ცნობილი სტელას ტექსტის ფიფიას მიერ გაშიფვრა.

ბატონი კუკური ფიფია აღწერს იბერიული (მეგრული) ენის თვისებებს, რომელიც არა მარტო ქართული ენის, უფრო სწორად, პროტოქართულის თვისებებს ავლენს მისი ძირეული ლექსიკური ფონდის პირველწყაროობის მეშვეობით, არამედ მსოფლიოში გავრცელებული ენების წარმოშობასა და განვითარებაზე მის თავდაპირველ მესაძირკვლურ გავლენებსაც ცხადყოფს.

ამრიგად პასუხი კითხვაზე: **„ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული თუ იბერიული?“** დამაჯერებლადაა გაცემული და ჩვენც ვეთანხმებით: დიახ იბერიული!

ბატონი კუკური ფაზისის აკადემიის წევრია. ფაზისის აკადემია ათასხუთასწლოვანი **„შესვენების“** შემდეგ აღსდგა. იგი იბერიული ცივილიზაციის აღსადგენად შემართული და სმენაგამახვილებული ქართულ-იბერიული ინტელექტუალური ელიტის საკრებულოა, თუ მის ირგვლივ შემოვიკრიბებით ქართველები – ეს სმენადახშული იბერიელები, იბერიის გაბრწყინებაზე მრავალსაუკუნოვანი ოცნება რეალობად იქცევა.

ზემოთ მოხმობილ საკითხებსა, თუ პრობლემებზე დისკუსიებში **“ფაზისის“** აკადემიამ არა მარტო სხვათაგან მართული, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მეცნიერები უნდა მიიწვიოს, არამედ იბერიული ცივილიზაციის არსით დაინტერესებული მსოფლიოსათვის ცნობილი მეცნიერებიც და თეოლოგებიც.

ეს არის გზა იბერიის გაბრწყინებისა და ადამის განღრმთოობისა.

ეს იქნება კაცობრიობისათვის აპოკალიფსის ალტერნატივა.

მკითხველისადმი მოკრძალებით,
მოხუცი ფხოველი (იოსებ პატარაშვილი)



სერგეი კრემლიოვი
ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

VII. **ატომური ენერგიის გამოყენებისა და მოლეკულარული ფიზიკის განვითარების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება**

ლენინგრადის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის მუშაობა

გახლეჩის ელექტროლიტური მეთოდი

ხარკოვის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის მუშაობა

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რადიუმის ინსტიტუტის მუშაობა

№2 ლაბორატორიის მუშაობა

№3 ლაბორატორიის მუშაობა

VIII. მუშაობა რადიაციისაგან დაცვის ხაზით

IX. გერმანელი სპეციალისტების გამოყენების შესახებ

საბჭოთა კავშირში გერმანელი სპეციალისტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების განთავსების ორგანიზაციის შესახებ

დოქტორ **რილის** ჯგუფი

ინსტიტუტი "**A**" (დირექტორი პროფესორი არდენიე)

ინსტიტუტი "**G**" (დირექტორი ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი ჰერცი)

ლაბორატორია "**V**" (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი პოზე)

არ ვიცი, გაუძლო თუ არა მკითხველმა დატვირთვას და გაეცნო თუ არა სტალინის სახელზე შედგენილ ანგარიშს, რომელსაც საბჭოთა ატომურ პროექტზე გამოცემული წიგნის მეორე ტომში 67 გვერდი აქვს დათმობილი. ლავრენტი ბერიას იგი ხომ ზეპირად ჰქონდა შესწავლილი და ფანქრით ხელში შეჰქონდა გარკვეული კორექტივები! და ეს ყველაფერი განსაზღვრული იყო საიმისოდ, რომ შემდეგ გაეცა ისეთი ხასიათის განკარგულებები, როგორიც ბოლო ფურცლის მეორე გვერდზე იყო მიწერილი სპეკკომიტეტის მდივნის გენერალ მახნევის მიერ: ***"ამხ ლ.პ. ბერიას მითითების თანახმად ანგარიში არსად აღარ გადაგზავნილა. ვ. მახნევი"***.

და ამგვარი გადაწყვეტილება სავსებით გამართლებული გახლდათ – იოსებ სტალინისთვის შედგენილი ანგარიში დაწვრილებითი და ყოვლისმომცველი იყო. ბერიასა და მისი ქვეშემრდომებისათვის კი იგი იყო უაღრესად მისაღები და სასარგებლო და მათ პრობლემის უსწრაფესად და უმტკივნეულოდ გადაწყვეტის საშუალებას აძლევდა.

ახლა, კიდევ ერთხელ ვეკითხები ღრმად პატივცემულ მკითხველს, რამდენად უთავსდებიან ერთმანეთს ამ ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესი **"მონსტრის", "სისხლისმსმელის", "ჯალათის"** ბუნებას? თანაც, **"სექსუალური მანიაკის"** ხასიათს, რომელიც დღედაღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ თავისი დაგეშილი ჩეკისტების დახმარებით რომელიმე მეცხრეკლასელი ნორჩი გოგონა ძალის გამოყენებით შეეთრია ლოგინში და დაეჯიჯგნა...

ლავრენტი ბერიას ხელში ხშირად თავს იყრიდნენ, ერთის შეხედვით, თითქოს მეორეხარისხოვანი საკითხებიც. მაგალითად, 1948 წლის 10 აპრილს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის №3 ლაბორატორიის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ალიხანოვი მიმართავდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ ლ.პ. ბერიას დაწვრილებითი წერილით იმის თაობაზე, რომ **"ატომურ ენერგიაზე მომუშავე დახურულ სამუშაოებზე დასაქმებული სპეციალისტებისათვის უნდა გამოცემულიყო ასევე დახურული სპეციალური ლიტერატურა სამსახურეობრივი სარგებლობისათვის. მაგალითად ა. ახიეზერის და ი. პომერანჩუკის წიგნები"**.

მხედველობაში იყო მიღებული ატომური რეაქტორის საერთო თეორიასთან დაკავშირებული მონოგრაფია და ბერიამ დაავალა უცვლელ ვ.ა. მახნევს (მასზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი), რომ ალიხანოვის წერილი სასწრაფოდ განსახილველად გადაეგზავნა **"სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოსათვის, სათანადო დასკვნების გასაკეთებლად"**.

მაინც, რა ესმოდა ლავრენტი ბერიას რეაქტორების თეორიათა საკითხებში? იგი აღიარებდა, რომ ამ დარგში მიმდინარე ტექნიკურ პროცესებზე მას გააჩნდა ფრიად ზოგადი წარმოდგენა. ამას სხვებიც აღიარებდნენ – ალიხანოვიც.

მაგრამ ალიხანოვმა კარგად იცოდა – სხვას თუ მიმართავდა დახმარებისათვის, შეიძლება საკითხი საკუთარ ლაბირინთებში **"გახლართულიყო"**. სწორედ ასე იყო, რადგან აკადემიკოსი შემდეგ ნათელს ჰფენს ყველაფერს:

"ეს წიგნი (ახიეზერისა და პომერანჩუკის – ს.კ.) უაღრესად ფასეული და სასარგებლოა, მაგრამ, ამასთან, ხელნაწერი ყოველგვარი მოძრაობის გარეშე ასვენია ტექსაბჭოს არქივში და დღემდე არაფერი გაკეთებულა სამსახურეობრივი საჭიროებისათვის მის გამოსაცემად. ამის გამო, სტუდენტები და მეცნიერმუშაკები მოკლებულნი არიან მისი გაცნობის საშუალებას".

აი, რატომ მისწერა აღნიშნული წერილი ალიხანოვმა ბერიას, რადგან იცოდა, რომ ეს უკანასკნელი ოპერატიულად გადაწყვეტდა აღნიშნულ საკითხს. ამასთან, ლავრენტი ბერიას დრო არ დაუკარგავს ნაშრომის დეტალურად გაცნობისათვის – ამ საკითხებში იგი ხომ ვერ ერკვეოდა. მაგრამ საკითხი გადაწყვიტა კომპეტენტურად, როგორც უნარიანმა ხელმძღვანელმა! იგი არ აღუშფოთებია წერილში წამოწეულ **"წვრილმან"** საკითხს და მახნევის მეშვეობით ეს საბუთი გადაუგზავნა ზავენიაგინსა და ტექნიკურ საბჭოს. მას კარგად ესმოდა, რომ, რახან **"საკითხი"** ბერიას მხედველობის არეში მოექცა, შემდეგ წიგნი **"უმოძრაოდ"** არ დარჩება და ახლა უკვე გენერალი მახნევი ბერიას დავალებით გადაწყვეტს, ვის როდის უნდა **"შეახსენოს"** მისი გამოცემის თაობაზე.

აქ კი აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა თვით გენერალ ვასილი ალექსის ძე მახნევზე – თავმდაბალ, თავდაჭერილ, მაგრამ მის თანამედროვეთა აზრით უაღრესად უნიკალურ პიროვნებაზე. იგი რუსეთის ქალაქ ვიატკაში დაიბადა 1904 წელს (გარდაიცვალა 1966 წელს), 1926 წელს დაამთავრა ვიატკის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი და ქალაქ გორკის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1940 წელს იგი დააწინაურეს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1941-1945 წლებში იყო სსრკ შეიარაღების სახალხო კომისრის მოადგილე და ამავდროულად ასრულებდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის ბერიას მოადგილის მოვალეობას.

1945 წლიდან მახნევი სპეკკომიტეტის წევრი და სამდივნოს უფროსია. 1949 წელს, პირველი საბჭოთა ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შემდეგ მას მიენიჭა სსრკ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 1951 წელს გახდა I ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატი, 1953 წელს კი II ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატი.

როგორც ვხედავთ, ბერიასათვის მახნევი იგივე იყო, რაც სტალინისთვის პოსკრებიშჩევი. შესაძლებელია მას ბერიას **"რუხი ატომური კარდინალიც"** ვუწოდოთ, მაგრამ, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მართალია ისტორიულად რეალური **"რუხი კარდინალი"** ჟოზეფ დე ტრამბლე ნამდვილად ჭკვიანი ადამიანი იყო, მაგრამ მასზე ბევრად ჭკვიანი და გენიალური სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ მისი შეფი – თავად **კარდინალი რიშელიე.**

ფრანგები ამბობენ: **"რაც პატრონია, მსახურიც იგივეა"**. და ვასილ მახნევი ბერიას, უფრო სწორად კი – რუსეთის, საბჭოთა კავშირის ღირსეული მსახური გახლდათ.

მკითხველი უკვე იცნობს აკადემიკოს ანდრანიკ პეტროსიანცს. ლავრენტი ბერიას მასთან უშუალო შეხება ჰქონდა ჯერ კიდევ სსრკ სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან, შემდეგ ერთად მუშაობდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში და 1946 წელს ბერიამ იგი ატომურ პროექტზე სამუშაოდ გადაიყვანა. პირველ მთავარ სამმართველოში პეტროსიანცმა უზრუნველყო №813 და №418 ქარხნების აშენება და ექსპლოატაციაში გაშვება, რომლებიც ახდენდნენ ურან-235-ის დიფუზიურ და ელექტრომაგნიტურ გახლეჩვას. ლავრენტი ბერიას სიკვდილიდან თითქმის ათი წლის შემდეგ – 1962 წელს პეტროსიანცი დაინიშნა სსრკ ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. ადრე მე მოვიყვანე მისი შეფასებები ბერიას საქმიანობაზე დიდი სამამულო ომის წლებში. აი, რა თქვა მან **"ატომური"** ბერიას თაობაზე:

"ბერიამ... ბოლომდე გაამართლა სტალინის ნდობა, სრულიად გამოიყენა რა საბჭოთა მეცნიერების მიერ ბირთვულ სფეროში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება და ქვეყნის ტექნიკური შესაძლებლობები... მან ყველაფერი გააკეთა ატომურ ბომბზე მუშაობის ფრონტის ფართოდ გასაშლელად, შესაშური დინამიზმითა და აქტიური მუშაობით შესძლო თითქმის შეუძლებელის გაკეთება. მას უდიდესი ენერგია და ენით აუწერელი შრომისმოყვარეობა გამოარჩევდა სხვებისაგან, ნებისმიერ დაწყებულ საქმეს არ მოეშვებოდა, ვიდრე ბოლომდე არ მიიყვანდა. ხშირად გადიოდა სამშენებლო და სამრეწველო ობიექტებზე, დაწვრილებით ეცნობოდა სამუშაოთა მიმდინარეობას და შრომის შედეგებს, მზად იყო ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინა ყველასათვის, მაგრამ, ამავე დროს იყო მკაცრად მომთხოვნი და არავის პატიობდა საქმისადმი უპატივცემულობას და გულგრილობას. პირველი ატომური ბომბის შექმნის საქმეში ლავრენტი ბერიას როლი მართლაც კალმით აუწერელია. სწორედ მისი დიდი დამსახურება გახლავთ, რომ საბჭოთა კავშირმა უაღრესად კრიტიკულ ჟამს შექმნა ეს მრისხანე იარაღი და თავი დაიცვა გარე ძალების რეალურად მოსალოდნელი აგრესიისაგან..."

სამწუხაროა, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ ბერიას ამ შესანიშნავ დახასიათებაშიც კი პეტროსიანცს რაღაც-რაღაცეები გამორჩა. სამაგიეროდ, მრავალწერტილი აღნიშნავს იმ ადგილებს, სადაც წერია: **"პატიმართა მთელი არმიები, მათი შიში და ძრწოლვა..."**

რაც შეეხება სიტყვებს **"შიში და ძრწოლვა"**, ეს აკადემიკოს ანდრანიკ პეტროსიანცის სულმოკლეობის დამადასტურებელი რევერანსია 1995 წელს **"გალაღებული დემოკრატების"** წინაშე. და თუ მკითხველი ეჭვს შეიტანს შემდეგი სიტყვების რეალობაში: "**იყო მკაცრად მომთხოვნი და არავის პატიობდა საქმისადმი უპატივცემულობას და გულგრილობას**", ვურჩევ სწორედ ჩაწვდეს ამ სიტყვების არსს, რომელიც გულისხმობს ობიექტური ხელმძღვანელის მომთხოვნელობას უპირველესად საკუთარი თავისადმი და არა ქვეშემრდომთა რეპრესირებას. მე, მოგვიანებით, უხვად მოვიყვან იმის თვალნათელ მაგალითებს, თუ რამდენად ობიექტური და ყურადღებიანი იყო ლავრენტი ბერია ადამიანებისადმი, მაგრამ, დავასწრებ მოვლენებს და ახლავე ვიტყვი შემდეგს...

განსაიდუმლოებული საბუთების ობიექტური ანალიზი და იმ **"მეატომეთა"** კონკრეტული (რა თქმა უნდა, ყოველგვარი **"ციხეებისა"** და ძვლების მტვრევის გარეშე) მოგონებები, ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ლავრენტი ბერიასთან, უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ლავრენტი ბერიას როლი საბჭოთა ატომური პროექტის განხორციელებაში თუნდაც იმიტომ არის ფასდაუდებელი, რომ ამ დარგში მან შექმნა ნორმალური საქმიანი კლიმატი.

აი, როგორ მოხდა ბორის გლების ძე მუზრუკოვის დანიშვნა №817 კომბინატის დირექტორად.

№817 კომბინატი, იგივე ქიმიური ქარხანა, №859 ობიექტი (**"სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის"** პროექტი №1859), №10 ბაზა, **"A"** ქარხანა და **"№1 აგრეგატი"** – ესენი გახლდნენ პირველი სამრეწველო რეაქტორის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც გამოიმუშავებდა პლუტონიუმს. ობიექტი 16 კილომეტრზე იყო გადაჭიმული – ქალაქ კიშტიმიდან აღმოსავლეთით, ჩელიაბინსკის ოლქში მდებარე კიზილ-ტაშის ულამაზეს ტბასთან. მისი თანამედროვე სახელწოდებაა საწარმოო გაერთიანებს **"მაიაკი"**. ამ სამრეწველო საწარმოს მომსახურე პერსონალისათვის დაარსებული ქალაქი იწოდებოდა **ჩელიაბინსკ-40**-ად, შემდეგ კი – **ოზერსკად**, სლენგზე მას **"სოროკოვკასაც"** უწოდებენ.

სხვათა შორის, ვასილი ვასილის ძე ჩერნიშოვი, ჯერ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას მოადგილე, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრის კრუგლოვის მოადგილე (კ. ზალესსკი თავის ბიოგრაფიულ ლექსიკონში გენერალ ჩერნიშოვს მოიხსენიებს **"გულაგის მილიონობით მონის ბატონ-პატრონად"**), 1947 წლიდან 1949 წლამდე ოჯახთან ერთად პრაქტიკულად ქალაქ **"სოროკოვკაში"** ცხოვრობდა და თვალყურს ადევნებდა სამხრეთ, შუა და ჩრდილოეთ ურალში ატომური ობიექტების მშენებლობის პროცესს. იგი სულ 56 წლისა იყო, როცა 1952 წელს გარდაიცვალა (ხოლო მისი ისეთი **"მონები"**, როგორებიც იყვნენ ლევ რაზგონი და სხვები, მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე ჯანსაღად მივიდნენ და განუწყვეტლივ წამლავდნენ თანამოქალაქეთა სულსა და გონებას).

ლავრენტი ბერია ხშირად ჩადიოდა ამ **"ობიექტზე"**, რადგან საბჭოთა კავშირის არსებობისათვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა მიღწევადი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სამშობლო მიიღებდა მაღალგამდიდრებულ აქტიურ ურან-235-ს და პლუტონიუმს.

ამ საქმეში, ატომურ პროექტზე მიმდინარე სამუშაოებისაგან განსხვავებით, სახეზე იყო ბევრად მეტი ორგანიზაციული რუტინა, რომელიც საქმის აბლაბუდაში გაბმის დიდ საფრთხეს ქმნიდა. სწორედ აქ, ბერია, დიდი მეცნიერების კონსულტაციების გარეშე ხედავდა საქმის დაჩქარების რეზერვებს და კადრების სწორად განაწილების სქემას.

ერთი პერიოდი **"ობიექტი"** ციებ-ცხელების ალში გაეხვა. მთავარი ინჟინერი სლავსკი და მინისტრთა საბჭოს რწმუნებული ტკაჩენკო (ეს ის შენსახკომის გენერალი ტკაჩენკოა, რომელიც გაგანია ომის დროს იჟევსკში ჩავიდა) სისტემატურად უგზავნიდნენ ბერიას წერილებს ქარხანაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის თაობაზე.

ახლა კი მუზრუკოვის თემას რამდენადმე გადავუხვევ და მოვიყვან ლავრენტი ბერიას მიერ 1947 წლის 27 ივნისს გაგზავნილ ერთ-ერთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დირექტივას, რომელიც, მართალია მის მიერ არ არის ხელმოწერილი, მაგრამ მის მიერაა შედგენილი:

"ამხანაგებს კრუგლოვს, ვანნიკოვს, ზავენიაგინს, ჩერნიშოვს (სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე), ბორისოვს (პირველი მთავარი სამმართველო და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი), კომაროვსკის (მშენებლობის დიდი სპეციალისტი, სსრკ შინსახკომის "მთავარხიდმშენის" სამმართველოს უფროსი):

სასწრაფოდ განიხილეთ სლავსკისა და ტკაჩენკოს წერილი და მომახსენეთ №859 ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

საკითხავია: რომელმა კვაზიმეცნიერმა შეუშალა ხელი, და რატომ? როგორ მოიქცოდნენ, ასეთ შემთხვევაში, სომხები და სხვანი? (ამ კითხვას მრავალი სვამს).

არადა, რომელი უფრო საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენისთვის (ვიდრე ენის წარმოშობის საფუძვლების აღმოჩენაა) მიენიჭა სხვას, ეს პრემია?

ჩანს, შემთხვევით არ უთქვამთ, ერთ-ერთ აკადემიაში, ნაშრომის პრემიაზე წარსადგენი დოკუმენტაციის შედგენისას: **„ეს იქნება სასინჯი ქვა იმისა, თუ როგორ უდგებიან მეგრულ ენას საქართველოში“.**

ასევე, ტყუილად არ გვწერდა, ჯერ კიდევ როდის, საფრანგეთიდან, ერთ-ერთი პიროვნება (ა. ხ.): „...თქვენით აღტაცებულთა რიგები დღენიადაგ იზრდება, განსაკუთრებით, რუმინული წარმოშობის ხალხებში; მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს უხცოეთის დაპყრობას; თარგმნეთ, რამენაირად, თქვენი წიგნები უცხო ენებზე და მერე, შეიძლება, თბილისელ გოდოლთა ასაღებად, აღმაშენებლის მსგავსად, შტურმიც კი არ დაგჭირდეთ“. დაბოლოს, ტყუილად არ უთქვამს, კიდევ უფრო ადრე, ესპანეთიდან სატელეფონო საუბრისას, ჩვენთვის პირადად უცნობ ერთ პროფესორს: **„ნეტავი მაცოდინა, რამ შეაძულა ქართველებს** (უფრო სწორი იქნებოდა, ეთქვა, ქართველების ერთ ნაწილსო) **მეგრელები?!“**

ყველას მიმართ ერთნაირი შეფასება რომ არ გამომივიდეს, აქვე დავძენ: ვის არ გაუგონია გამოთქმა, – არსებობსო ორი რუსეთი. ჩვენშიც ასევეა, თურმე. **„პირველმა საქართველომ“**, რომელსაც, საბედნიეროდ, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა განეკუთვნება, პირადად მე, რომელიც სპეციალობით აგრონომი და ეკონომისტი ვარ და ენათმეცნიერებაში მხოლოდ თვითნასწავლი გახლავართ (თუმცა, ამას ზოგიერთები ბრალდებად მიყენებენ და ჩვენი ნაშრომების ეჭვის ქვეშ დასაყენებლად იყენებენ, თანაავტორის სპეციალობაზე კი სპეციალურად სდუმან), სწორედაც საენათმეცნიერო ნაშრომებისათვის მომანიჭა 4 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორისა და 7 სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსის წოდება, ჩემს თანაავტორ ქალიშვილს კი, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, მიანიჭა 6 სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსის წოდება.

მაგრამ, სამწუხაროდ, **„მეორე საქართველოს“** მცირერიცხოვან წარმომადგენელთაგან, ერთი ნაწილი კოლხეთის ისტორიის დამარხვით არის დაკავებული, სხვები, მეგრული ენისა და მეგრულენოვანი ხალხის მიწის პირისაგან აღგვის მცდელობით ესწრაფვიან საქართველოს პატრიოტის მანტიის მოსხმას. უბედურება ის არის, რომ, ხშირად, სწორედ ეს უმცირესობაა გარკვეული ამინდის შემქმნელი. თუმცა, ღმერთი ყველაფერს ხედავს...

გადაურჩა, აქამდე, სამეგრელო, ისტორიის მრავალათასწლოვან ქარტეხილებს, მათ შორის: ე. წ. **„მეგრელთა საქმეს“,„მეგრული სეპარატიზმის“** შესახებ ცრუ ბრალდებებს და ამათ გამო თავს დატეხილ უბედურებებს, **„პროვინციული ფაშიზმის“** მოტივით აღა-მაჰმად ხანისებურად მრავალგზის დალაშქვრას ე. წ. **„მხედრიონელებისა“** და სხვათა მიერ...

გადაურჩება, ალბათ, მტერთა ჯინაზე, სამეგრელო, სრულიად საქართველოსთან ერთად, მოსალოდნელ ბუნებრივ (კოსმოსურ) აპოკალიფსებსაც კი... კოლხი წმინდა ნინო კაბადოკიელი, კოლხი წმინდა გიორგი, ასევე კაბადოკიელი (იმხანად კაბადოკიაში კოლხები მოსახლეობდნენ) და თვით მარიამ ღვთისმშობელი (იერუსალიმელი. კოლხები, იმხანად, იერუსალიმშიც ცხოვრობდნენ) რომ მფარველობენ, იმიტომაც.

ეს უთუოდ ასე იქნება, მაგრამ საკითხავია, როდემდე იბოგინებენ ჩვენში მეგრელთმოძულენი და როდემდე გაგრძელდება მათი ავანტურისტული, შოვინისტური და დიად ფაშისტური საქმიანობა? ნუთუ არ არის საკმარისი, გაღებული მსხვერპლი?

რა მსხვერპლიო, – გაიკვირვებს ალბათ, ვინმე უბირი, ან ძალად უბირი. ამიტომაც, ზემოაღნიშნულთ, ზოგიერთ ფაქტს აქვე დავამატებ. აი, ისინიც:

ერთი წყება „ნამეტანი პატრიოტი“ ისტორიკოსების წყალობით დღემდე მიჩქმალულია და თითქმის სრულიად უგულებელყოფილია ძირძველი კოლხეთის დიადი ისტორია;

ორად ორი გამოჩენილი ენათმეცნიერი ჰყავდა, თავის დროზე, საქართველოს, ისიც მეფის რუსეთის საიმპერატორო აკადემიაში, – აკადემიკოს ალექსანდრე ცაგარელისა და აკადემიკოს ნიკო მარის სახით, და ორივე მათგანი გაიმეტეს, ისევ ქართველებმა. მერედა, რისთვის?

აკად. ალ. ცაგარელს აუხირდნენ იმისათვის, რომ პეტერბურგში 1898 წელს გამოსცა ნაშრომი **„მეგრული ეტიუდები“**. იგი ლამის მტრად შერაცხეს და აიძულეს თავი დაენებებინა ენათმეცნიერებისათვის. უსახელოდ აღესრულა თავის მშობლიურ კასპის რაიონში ეს ვეებერთელა ენათმეცნიერი. მას სასაფლაომდე ოცამდე კაცი მიაცილებდა...

აკად. ნიკო მარმა საკუთარ მეცნიერულ კვლევა-ძიებებზე დამყარებით დაადგინა, რომ იაფეტური (ქართველური) ენები წარმოადგენენ მსოფლიოს ენების გლოტოგონიურ საფუძველს. მან ცალსახად განაცხადა, რომ ქართველური ენების შესწავლის გარეშე ვერ გადაიჭრება მსოფლიოს ხალხთა კულტურის ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომაც საჭიროა ეს ენები ისწავლებოდეს მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტში, და რომ ამ ენებს ჩვენთვის ჯერაც წარმოუდგენელი დიდება მოელის მომავალში... სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ორმოცზე მეტი ენის მცოდნე, ენათმეცნიერების ეს დიდი კორიფე გიჟად შერაცხეს, სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოათავსეს, ყველანაირი სამეცნიერო ტიტული გაუუქმეს და... იგი აღნიშნულ საავადმყოფოში მიიცვალა. თუმცა ამ ფაქტს დღემდე არ ახმოვანებენ.

სრულიად საეჭვოდ, 34 წლისა გარდაიცვალა პროფ. იოსებ ყიფშიძე, რომელმაც 1914 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი **„მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“** (სხვა, მ. შ. თანამედროვე ფაქტებზე, თავს ვიკავებ).

და ბოლოს, ასეთი შედარებაც:

ჯორდანო ბრუნო, რომელმაც თავის დროზე განაცხადა, **„დედამიწა ბრუნავსო“**, ინკვიზატორებმა კოცონზე დაწვეს.

მამანტი ძაძამიასა და მისი თანაავტორების ნაშრომებზე, – რომლებითაც წარმოჩენილ იქნა ენის (საერთოდ, ანუ ზოგადად ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობის საფუძვლები, ანუ წარმატებით დამთავრდა ამ საკითხზე ოდენ მეცნიერთა 2600-წლოვანი მწვავე ბრძოლის ისტორია და სამუდამოდ გადაწყდა ენის წარმოშობის საკითხი, რაც აქამდე ენათმეცნიერებას შეუძლებელი ეგონა, – დღემდე დუმილს არჩევენ ცალკეული ქართული სამეცნიერო წრეები და ამით სურთ მიჩქმალონ ეს დიდი საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენა-აღმოჩენა, მხოლოდ ერთი უბრალო მიზეზის გამო: გამოკვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს მეგრული ენა, და როგორც ამავე დროს აღმოჩნდა, ეს ენა ლექსიკის განსაკუთრებული სიმდიდრის მქონე ენაა მსოფლიოში; მეტიც კიდევ: საქმე რომ ტარიელ ფუტკარაძეზე, კოტე კაკიტაძესა და მისთანა **„ენათმეცნიერებზე“** იყოს დამოკიდებული, მ. ძაძამიას და მის თანაავტორებს აქამდე გამოუტანდნენ ისეთსავე განაჩენს, როგორიც თავის დროზე მწვალებლებმა ჯორდანო ბრუნოს გამოუტანეს. თუმცა, საბედნიეროდ, არიან სავსებით სხვაგვარად მაფიქრალ-მოქმედნიც. ამაზე ზემოთ მოხმობილი მცირეოდენი შეფასებებიც მეტყველებენ, რასაც დავამატებთ შემდეგ გამონათქვამსაც: **„ჩვენ გაცნობიერებული არა გვაქვს, რა ხდება და რა ბედნიერები ვართ, როცა მამანტი და ცირა ძაძამიების გვერდით დავიარებით. თავის დროზე მათი ძეგლებით მსოფლიო მოიფინება. რომ შემეძლოს, მე მათ მთელ ჩემს სიცოცხლეს ვაჩუქებდი, ისინი იმდენად დიდ საქმეს აკეთებენ“** (მზია უბილავა, ფილოლოგი).

ასეთთაგან წახალისებითაც, ჩვენ, რა დასამალია, კვლავ გამოუსწორებელ ოპტიმისტად ვრჩებით, შემდეგი რეალობის გააზრებით:

ჩვენამდე შემონახულია უძველესი (IV ს. ძვ. წ.) ინდური (პანინის) გრამატიკა, რომელიც თავისი მეცნიერული ღირებულების მიხედვით უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ იმ დროისათვის ენათმეცნიერების ეპიცენტრი ყოფილა ინდოეთში. შემდეგში კი ეს ეპიცენტრი ხან ინგლისში, ხან გერმანიაში, სსრკ-ში, აშშ-ში, და ხანაც, ვინ იცის, სად იყო. მაგრამ, მას შემდეგ, რაც საქართველოში გადაწყდა საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა – ენის წარმოშობის საკითხი, სავსებით თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ენათმეცნიერების ეპიცენტრმა საქართველოში და კერძოდ მის დედაქალაქ თბილისში (და, არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონში და პირადად მამანტი ძაძამიას ოჯახში – რომლის იქითაც მისი გაჭაჭანებაც არ სურთ მეგრელთმოძულეებს, და რაც დროებითი ანომალიური მოვლენაა) დაიდო ბინა, სამუდამოდაც!

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგზეც: ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ნამდვილ ენათმეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც აქ შემოღებულ იქნა კვლევის შედარებით-ისტორიული მეთოდი. მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა ამ მხრივ საქართველოში გაწეული მუშაობა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სახით. მაგრამ ქართველური ენების შესწავლას ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მეშვეობით არ შეიძლებოდა სათანადო მიღწევები ჰქონოდა, ვინაიდან არ არსებობდა თუნდაც ერთი საუკუნის წინანდელი ტექსტებიც კი სვანური, მეგრული და ჭანური ენებისა, ამ ენების უდამწერლობის გამო. ამ მხრივ, ცხადია, ბევრად უკეთესი პირობები იყო, მაგალითად, ინდო-ევროპული ენების შემსწავლელთათვის, მაგრამ ვითარება აქაც დიდად შეზღუდული იყო. ხოლო ქართულ ენათმეცნიერებაში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა-ძიება, თითქმის, ქართველური ენების სინქრონული ვითარების შესწავლით იფარგლებოდა.

სრულიად ახალი, შეუდარებლად ფართო პერსპექტივა გადაუშალა ქართულ და მსოფლიო ენათმეცნიერებას, ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების საქმეში ჩვენმა ნაშრომებმა, განსაკუთრებით, შვიდტომეულმა **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, იმდენად, რამდენადაც მათ, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, წარმოაჩინეს არა მხოლოდ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის, არამედ აგრეთვე ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის თავგადასავალი, ანუ წარმოშობა-განვითარების მთელი ისტორია, იგივე, ხატოვნად რომ ვთქვათ, – მსოფლიოს ენების ცოცხალი ისტორიული ტექსტები, მათი პირველქმნილი ფორმებიდან დაწყებული, დამთავრებული დღევანდელი ვითარებით.

როგორც ზემოთ ითქვა, შვიდტომეულს ასაფუძვლიანებს ჩვენივე 2600-მდე სხვა საენათმეცნიერო ნაშრომი, იგი მათს ერთგვარ ანოტირებულ მასალას შეადგენს. ამასთან, ადრე სხვაგან განვაცხადეთ და აქაც გავიმეორებთ: ჩვენი შვიდტომეული და სხვა ნაშრომები შეიცავენ სადისერტაციო დონის იმდენ საკითხს, რამდენ გვერდსაც ისინი ითვლიან. ამის დასტურია არა მარტო სხვათა ამგვარი შეფასებანი, არამედ ისიც, რომ პირადად მეც, – მათი ერთ-ერთი ავტორთაგანი, ამ ნაშრომების ყოველი გვერდის ყოველი ხელახლა წაკითხვისას, ახალ-ახალ საკითხებს ვპოულობ. ამაში მკითხველს დაარწმუნებს ჩვენი მორიგი ნაშრომები, პირველ რიგში, – სამტომეული, რომელიც უკვე თითქმის მზად არის გამოსაცემად და არანაკლებ სენსაციურ მონაცემებს წარმოაჩენს.

ჩვენს ოპონენტებს ვუსურვებთ კეთილდღეობას და ვურჩევთ მოგვბაძონ ჩვენ, – დაეწაფონ ამ ნაშრომებს. თუ არ მოიგებენ, არაფერს წააგებენ ამით, ღმერთმანი!

პატივისცემით

მამანტი ძაძამია
პროფესორი, აკადემიკოსი

P.S. 1. გ. ტორაძისა და სხვათა კითხვაზე, – რატომ სდუმან შვიდტომეულის შესახებ, ზოგიერთები? – მოკლედ შეიძლებოდა ასე გვეპასუხნა: **„მეგრელთა საქმეს“, საქართველოში, ზოგიერთები კვლავ აგრძელებენ და იმიტომ“.** ამის მიზეზებზე კი, წიგნები დაიწერება.

მ. ძ.

P.S. 2. ეს წერილი, ზემოთაც, ბარე სამ ადგილას გვინდოდა დაგვემთავრებინა, მაგრამ სათქმელის შედარებით სრულად გადმოცემა აუცილებლად ჩავთვალეთ, და აი, რატომ:

ზოგიერთებს ტყუილად ჰგონიათ, რომ საქართველომ აფხაზეთი მხოლოდ ქვეყნის ამა თუ იმ პრეზიდენტის მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგად დაკარგა. სინამდვილეში, აფხაზეთის დაკარგვას საფუძველი ბევრად უფრო ადრე ჩაეყარა, ვიდრე ქვეყნად საპრეზიდენტო მმართველობა გვექნებოდა. მას ეს საფუძველი, პირველ რიგში, ჩაუყარეს იმ ენათმეცნიერებმა, ვინც, თავის დროზე, აფხაზური ენა ერთ-ერთ ქართველურ ენად გამოაცხადეს. აკად. არნოლდ ჩიქობავასაც თხოვდნენ, მაშინ, აღნიშნულის აღიარებას, რასაც მან ასე უპასუხა: „ეს დიდად ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის, მაგრამ მხოლოდ ძალზე მოკლე დროით. სულ მალე იგი ჩვენვე მეტად დამანგრეველად მოგვიბრუნდება“. იგი არ დათანხმდა აღნიშნულ წინადადებას. მაგრამ, ჩანს, ყურად იღო თხოვნა, განსაკუთრებით აკად. გ. წერეთლისა, და მეგრული და ჭანური ენები მეგრულ-ჭანურის, იგივე კოლხურის, პირობითად, ზანურის დიალექტებად ანუ კილოებად გამოაცხადა, რაც, მხოლოდ, უადრინდელეს ვითარებას გამოხატავდა და არა თანამედროვეს. ჩანს, არნ. ჩიქობავაზე იმოქმედა იმ ფაქტმაც, რომ მას, ადრე, სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივან ისააკ ყვანიასთან ერთად ესწრებოდა სოფელ გრიგოლიშის დაწყებითი სკოლის ქართული ენის გაკვეთილს, რომელზეც მასწავლებელმა ქართული ენის არმცოდნე ბავშვებს აუხსნა, რომ ქართულის თითი იგივეა, რაც მეგრულის კითი. აქ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ხომ გამართლდა არნოლდ ჩიქობავას წინასწართქმული. მსგავსი რამ რომ არ მოხდეს მეგრული ენისადმი ჩვენში არსებული დამოკიდებულების გამო, საჭიროა დაფიქრებაც და ჭკუის მოხმობაც. ამის გაგაზრებამაც გვაიძულა ყოველივე ამის დაწერა.

საქმე ის არის, რომ არაფერი ისე არ ამწარებს და აღაშფოთებს ადამიანს, როგორც მისი ენის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი დისკრედიტაცია. მეგრული ენის მიმართ კი, ამგვარი დამოკიდებულება ჩვენში არ ახალია, და დღესაც საძებარი არ არის. შორს რომ არ წავიდეთ, ამაზე, ფაქტების მოხმობით, ნათლად წერს პედაგოგიკის დოქტორი ზურაბ ცუცქირიძე 2010 წლის 27 ივლისს გაზეთ **„ილორში“** გამოქვეყნებულ წერილში: **„დავძლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“** დიახ, **„ეროვნული ცნობიერების სიღატაკედ“** მიიჩნევს იგი მეგრული ენის მიმართ ჩვენში არსებულ დამოკიდებულებას და გამოდის მისი დაძლევის მოწოდებით.

საისტორიო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ, თავის დროზე, ქართველური ტომების, ქართველების გაერთიანება და ერთიანი სახელმწიფოს შექმნა მომხდარია კოლხეთის მეფის ქუჯის ინიციატივით. მან შესთავაზა ქართლის ერისთავს ფარნავაზს ქართველთა გაერთიანებაც, სრულიად საქართველოს მეფობაც, კოლხეთის ქვეშევრდომობაც, და სწორედ მისი შემწეობით მოხდა ყოველივე ეს. ფარნაოზმა კი, სულ მალე, ქართული ენა განავრცო მთელ საქართველოში და **„არა იზრახებოდა სხუა ენა... გარნა ქართულისა“...**

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სათაყვანებელი საერთო ქართული ენა საკუთრივ ქართული ენის ქართლური დიალექტიდანაა წარმოშობილი, მაგრამ იგი სხვა ქართველური ენების მონაწილეობითაცაა განვითარებული და ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის შედეგადაა მიღებული. დედაენას სწორედაც დედასავით მოვლა და დაცვა სჭირდება, მაგრამ ასევე სჭირდება მოვლა და დაცვა სხვა ქართველურ ენებსაც. ზოგიერთებს კი, ჩვენში, რატომღაც მიაჩნიათ, რომ ქართველური ენების არსებობა საფრთხეს უქმნის ქართველთა ერთიანობას, ანუ ქმნის საფუძველს სეპარატიზმისათვის (ცალკე გამოყოფისათვის), – სინამდვილეში, არასდროს არსებული, არავის გულშიაც არგავლილი **„მეგრული სეპარატიზმისათვის“**. ამიტომაც:

„ადამიანური სიმდაბლისა და უსამართლობის ნიმუში“, „აბსურდი – ერთი სიტყვით“ – ასე შეაფასა ავადმოსაგონარი ე. წ. **„მეგრელთა საქმე“** ამავე სახელწოდების თავის წიგნში (თბ., 2005) ცნობილმა ჟურნალისტმა და მკვლევარმა ალვენ (ალეკო) ასლანიშვილმა. ანალოგიური შეფასება და დასკვნებია მოცემული პროფ. გიორგი ციციშვილის ნაშრომში **„მაფალუ“** (თბ., 2007), ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის ნაშრომში **„მეგრული საკითხი“** (თბ., 2009) და სხვათა შრომებში, ვერაგი ავანტიურისტების მიერ თავის დროზე შეთითხნილ ე. წ. **„მეგრელთა საქმესთან“, „მაფალუისტებთან“, „მეგრულ სეპარატიზმთან“,„ჩხოუშიელებთან“,„პროვინციულ ფაშიზმთან“** და მისთანებთან დაკავშირებით.

მამანტი ძაძამია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

დავითის საქმეთა აღნუსხვა. სხვა და სხვა მოგონებანი.

ბაღში იყო დარგული იშვიათი ხეები, მაშინ ჯერ ჩვენში უცნობი: მაგნოლია, ტიულპანი, ბეგონია, მიმოზა, პრობკის ხე, კვიპაროსი, კრიპტომერია, ლაგუსტრემია, სხვა და სხვა ტუიები. ჟოზეფის პლანით გაშენდა მშვენიერი ქვის ორანჟერეია, რომელსაც პირი სასახლისკენ ჰქონდა მიქცეული და დაინერგა ხეების ლაბირინტი. შემდეგ გაკეთდა ვრცელი აუზი, რომელსაც ასაზრდოვებდა მდინარე ჩხოუშიდან გამოყვანილი არხი. ჩრდილოეთიდამ ამ აუზის შუა გულში ბაღიდამ შედიოდა ალლეია და იქ ამაღლებულ ადგილზე იყო გაშენებული დანერგულის ხეებისაგან შემდგარი ფანჩატური, რომელშიაც საღამ-საღამოობით სასეირნოდ გამოდიოდა მთავრის ოჯახობა. აქედამ უყურებდნენ ნავით მიმოსვლას აუზში და გედების ცურვას ან ცოცხალ-ცოცხალი თევზების ჭერას სასროლის ბადით.

სამხრეთის მხრით იმ ადგილზე, საცა აუზიდამ გამოდის წყალი, იდგა თლილის ქვისაგან აყვანილი საყავე, აქ მთავარი და მისი ოჯახობა წვეულებით მიირთმევდნენ ყავას.

აუზის მახლობლად იყო მაღალი მესრებით შეკეთებული ადგილი, საცა იყო დამწყვდეული 30 ირემი. ეს ირმები დიდ-ხანს იყვნენ აქ სანამ, ერთმა მათგანმა ვიღაც კედია არ მოკლა; ამის შემდეგ მთავარმა წააყვანია ირმები ეწერს, საცა შემოადობინა მათთვის ორასი ქცევა ტყე-ველი. ამის დობვაში, როგორც ამბობდნენ, 1.500 კაცი ტრიალებდა. ბაღში განუწყვეტლივ 60 კაცი მუშაობდა, უმეტეს ნაწილად ლენტეხელები. დავითი მუდამ დღე მოდიოდა მათთან და მუშაობას თვალყურს ადევნებდა. სადილს რომ მოუტანდნენ მუშებს, ესენი ჭამას ისე ვერ დაიწყებდნენ სანამ მთავარი არ წააკითხებდა მათთვის **"მამაო-ჩვენოს"**, დაისწავლიანო, იტყოდა.

ბაღის ყურეში, პრინცესსა მიურატის ეზოს მახლობლად, იმ ადგილას, საცა იწყება დიდი ალლეია, ბარს ამშვენებდა თუჯის კარები, სტამბოლიდამ მოტანილი.

გორდის სასახლე. ეს სასახლე **ალექსანდრე ჭავჭავაძის** რჩევით იყო აშენებული არხიტექტორის ვასილიევის პლანით. ძველად, და ლევანის დროსაც აქ უბრალო ოდა იდგა და მთავრები ამოდიოდნენ სანადიროდ. იმ ადგილას, საცა ეხლა სასახლეა აშენებული, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის თანდასწრებით გადახდილი იქნა დიდი პარაკლისი და საფუძველი დაედვა სასახლეს 1841 წელს. ამ სასახლეში ატარებდა ზაფხულს თავადი სამეგრელოისა ნიკოლოზ. ამ სასახლეში გარდაიცვალნენ: დედოფალი მართა, დადიანი დავითი და დედოფალი ეკატერინე.

სამეგრელოს თავადის მემკვიდრემ ნიკო ნიკოლოზის ძემ ამ სასახლეს სულ ჩხირი მიატეხა.

მურის სასახლე. ეს სასახლე ვრცელი შენობა იყო. მურის ციხის დასვებაზე ცხენის წყლის პირად, სასახლეს ისეთი დიდი აივანი თურმე ჰქონდა, რომ ორას კაცზე მეტი სადილად დაჯდებოდა, ერთი თავი ამ აივნისა აწეული იყო, საცა დაიდგმოდა სუფრა მთავრისა და დედოფლისა და რჩეულთა თავადაზნაურთა. მთავარმა გრიგოლ დადიანმა ჯვარი რომ დაიწერა, ლხინი ამ სასახლეში გადაიხადა. ამ ქორწილზე ამბობენ: სტუმრებისათვის საგანგებოდ აშენებული სეფა ლავაშით იყო გადახურულიო.

სალხინოს სასახლე. ლევან დადიანამდის სალხინოში სამეგრელოს მთავრებს უბრალო ხის ოდა ედგათ.

როცა კაცია დადიანის სიკვდილის შემდეგ სამეგრელოს მთავრობას ედავებოდნენ ერთმანეთს გრიგოლ დადიანი და მანუჩარი, ეს უკანასკნელი, როგორც სალიპარტიოს ბატონი, სალხინოს იჯდა. ანა დედოფალი, კაცია დადიანის ქვრივი, სწერდა კავკასიის მთავარ-მართებელს, თავად ციციანოვს სალხინოდამ: სალიპარტიანოს ნუ ჩამოართვემ ჩემს შვილს მანუჩარსო. თვითონ მანუჩარი სწერდა მასვე: სალიპარტიანო მამა ჩემმა მე მიბოძა; ჩემ ძმას თუ სამთავროს აძლევთ, მე ამას მაინც ნუ ჩამომართმევენო.

მთავარს ლევან დადიანს არჩილ ბატონიშვილმა და გიორგი გეგელიამ ურჩიეს სალხინოში ფიცრულის ნაცვლად ორ-სართულიანი ქვის სასახლე გაეკეთებინა და მთავარმაც ააშენა ეხლამდელი სასახლე, რომელიც მხოლოდ ჩვენს დღეებში მისმა შვილის-შვილმა პრინცესსა სალომე მიურატმა მოათავა მას შემდეგ, რაც შემდეგ დედა მისის ეკატერინე დედოფლის გარდაცვალებისა (1882) სალიპარტიანო ერგო იმას წილად მემკვიდრეობით. სასახლის მდებარეობა იმ ადგილას ახლო, საცა არის სამშობლო **"ოჯალეშისა"** (სასახლიდამ ორ ვერსტზე) მდინარის წაჩხურის ნაპირად, რომელიც იყო და არის განთქმული შესანიშნავის წაჩხურის კალმახებით და თითონ პლანი სასახლისა, რომლის ქვედა სართულის შუა-გულ ზალაში არის ჩატნეული უზარ-მაზარი ქვევრი, რომლის გარეშე შიგ ზალაში გაკეთებულია სალხინოდ განმზადებული მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოქარგულის თაღით, სრულად ამართლებენ სასახლის წოდებას **"სალხინოს"** და მოწმობენ, რომ ამგვარი სასახლის აშენების აზრი ამ ადგილზე, სწორედ უნდა მოსვლოდა ისეთს მთავარს, როგორიც იყო ლევან დადიანი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლე ლხინში და სიმდერაში გაუტარებია.

90 წლის მოხუცმა **ივა ხურცილავამ** მიამბო სალხინოს აშენების შესახებ.: სასახლე აშენებდნენ თათრები და ბერძნები. ასი უღელი კამეჩი და ასი უღელი ხარი გვება მარხილებზე (ურმები მაშინ არ იყო) და სახლის ასაშენებელი მასალა ლეცავედამ დაგვქონდა. ღამ-ღამობით კამეჩებს ბეჭვაიებს ვაბარებდით.

სასახლის უფროსი – კომენდანტი იყო ბეჟან დგებუაძე, რომელსაც სადგომი სასახლის ეზოშივე ჰქონდა. რომ გაჭირდა სახლის ასენება, მთავარი სწყევლიდა იმათ, ვინც ურჩიეს მისი აგება.

სასახლის შენების დროს მოკვდა უფროსი ოსტატი თათარი ოსმანი, რომელიც იქვე, სასახლის ეზოში დამარხეს.

სასახლის უფროსი ხელოსანი ლევანის დროს იყო ბოშია ბასილაია.

ქეშიკები: სვანები: გახოლა და გახო.

მებაღე – ანასტა ბერძენი, რომელიც ლაშხიას ჩამოესიძა. სალხინოს ხეები ამის დროს არის დარგული.

წაჩხურის კალმახს იჭერდნენ სასახლისათვის ხულორდავები და ლაშხიები.

ამჟამად სალხინოს სასახლე არის ერთად-ერთი ლევან დადიანისაგან აშენებული სასახლე, რომელშიაც აღმაშენებლის ჩამომავლობა დგას. მხოლოდ დრონი იცვალნენ და ლხინის სასახლე შეიქმნა დღეს შრომის სასახლედ, ცენტრად სალიპარ-ტიანოს მეურნეობისა და მრეწველობისა. ლევან დადიანი-სეული ლხინი აქ მხოლოდ ერთ-ხელ გაიმართა, მაშინ როცა პრინც-მა ლუციანე მიურატმა ჯვარი და-იწერა მარიამ როჭანის ასულზე.

(გაგრძელება იქნება)

ოქროს პერგამენტის ნომინანტები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა "ოქროს პერგამენტის" კონკურსი, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია. მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებებს.

სალომე სიგუა

* * *

ვუყურებ ქუჩებს ათასგვარს,
მიყურებს ცა ათასფრად,
შენი ვარ მარად, მრავალჟამ
ფერები ჩემი ამორძალს,
აღმიძრავს, გრძნობას
ამკრძალავს,
ვერავინ ვერასდროს
ამიკრძალავს.
შენი ვარ მარად, მრავალჟამს.
აგაივლის წლები ნაკადად
და ამ ნაკადში კვლავ დიდ
ხანს
მე დავიღვრები ფიქრებად,
შენი ვარ, მარად, მრავალჟამ.
ვუცქერი ქალაქს
მრავალგვარს,
ვუყურებ ქუჩებს ათასგვარს,
მიყურებს ცა ათასფრად
და ცაზე ვარსკვლავი
კეკლუცად
მეჩურჩულება მე ნაზად;
შენი ვარ, მარად, მრავალჟამ!

* * *

და თუ ისევ წამებს, წუთებს მე
დავუწყებ დევნას,
შენ კი ისევ წამებს, წუთებს,
გაექცევი ჩუმად,
აღარ მკითხავ, ისე წახვალ,
უმალ,
დროის დევნით დაიღლები,
დამიჯერო უნდა.
დაბრუნდები! წამებს, წუთებს,
გაექეცი თუნდაც!
დაიღლები დროსთან
ბრძოლით, მჯერა,
წამებს ისევ გადააქცევ წუტად,
საათებიც გაილევა ჩუმად,
დას ენ ისევ მარტოობას
დაიმკვიდრებ უმალ.
დაბრუნდები! წამებს, წუთებს,
გაექეცი თუნდაც!
საათები გაივლიან მის გზას,
დღეებიც კი გაირბენენ ამ
გზას,
დას ენ ისევ აირევი დროში –
არა უშავს, ისრებიც კი
ირევიან ხშირად...
დაბრუნდები! წამებს, წუთებს
გაექეცი თუნდაც.
და როდესაც საათების
რბოლას
მე ავუწყობ ჩემი დროის
ბორბალს,
ჩემს ფიქრებში სიყვარულის
ქროლვას
ისევ ვიღაც დაუწყებს მღერას.
დაბრუნდები! წამებს, წუთებს
გაექეცი თუნდაც...

დაძაბულობა ისრაელსა და საქართველოს შორის დღითიდღე მწვავდება

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შემდეგ ისრაელის ხელისუფლებამ ქვეყანაში ვიზიტზე უარი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას გამოუცხადა.

ებრაული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მინისტრი ქობალია იყო 29-31 მარტს ისრაელში დაგეგმილი ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციის სტუმართა სიაში, თუმცა ქვეყნის ხელისუფლებას ისრაელში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ნახვა არ მოისურვა და, შესაბამისად, ღონისძიებაზე არც ქობალია მიიღო.

ებრაული საინფორმაციო სააგენტო **„იზრუსის"** ინფორმაციით, ისრაელის ტურიზმის მინისტრმა ჯერ კონფერენციამდე გადაწყვიტა, რომ არ შეხვდებოდა მინისტრ ქობალიას.

ამ ყველაფრის მიზეზად კი კვლავ ებრაელი ბიზნესმენების – რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკიელის დაპატიმრებას ასახელებენ, რომელთაც ქართულმა სასამართლომ ხანგრძლივი პატიმრობა და სოლიდური ფულადი ჯარიმა დააკისრა. ამავე მიზეზით ისრაელის მთავრობის წევრებს მითითებებიც განუსაზღვრეს, რომ ქართველი მაღალჩინოსნების ნახვა ისრაელში არ სურთ.

ჟურნალისტი ბენ კასპიანი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით აქამდეც გამოირჩეოდა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრს ურჩევდა, **„ჩემოდანი არ ჩაელაგებინა, რადგან მას ისრაელში არ ელოდა".**

ქობალიას ისრაელში არშემდგარი ვიზიტის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ საგარეო საქმეთა სამინისტროში. როგორც მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული ვიზიტის გადადების ზუსტი მიზეზები საქართველოში ისრაელის ელჩ იცხაკ გერბერგთან შეხვედრის შემდეგ გახდებოდა ცნობილი (თუმცა, ამ შეხვედრის შედეგები ხელისუფლებას არ გაუცხადებია). საქინფორმთან საუბარში კი გერბერგისა და საგარეო უწყების წარმომადგენლის შეხვედრის თარიღს მაშინაც ვერ აკონკრეტებდნენ.

„ჩვენთვის ოფიციალური მიზეზების თაობაზე ისრაელის წარმომადგენლობას არ განუცხადებია, მითუმეტეს, რომ ქვეყნის ელჩთან ძალზე ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. უფრო მეტიც, მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ წარიმართოს კონსულტაციები და ამ მხრივ დაინტერესებას ებრაული მხარე იჩენს", – განაცხადა კალანდაძემ.

საქინფორმი საკითხში გასარკვევად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურსაც დაუკავშირდა, სადაც მოკლედ განუმარტეს, რომ **„ქობალიას ისრაელში ვიზიტის საკითხი მაშინ გადაწყვეტილი არ იყო".**

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ იანვარში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგას დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლება მოსთხოვა, თუმცა ფუქსისა და ფრენკიელის სასამართლო პროცესი მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და სამართალდამცველები მათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზებაში სდებდნენ ბრალს. რონი ფუქსი და რეევ ფრენკიელი აღნიშნული ბრალდებით 2010 წლის ოქტომბერში დააკავეს.

რომ არაფერი ვთქვათ ებრაელებისა და ქართველების 26-საუკუნოვან მეგობრობაზე, საქართველოს ხელისუფლებას, ალბათ, უნდა ესმოდეს, რომ ისრაელთან ან, თუნდაც, სხვა რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭება კარგი ტონი ნამდვილად არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეს სრულიად არ აღელვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ებრაელ ბიზნესმენებს, ალბათ, აქამდეც გაათავისუფლებდა. თუმცა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგაც არაფერი გარკვეულა და ებრაელი ბიზნესმენები კვლავ ციხეებში სხედან, რაც ისრაელ-საქართველოს მომავალ ურთიერთობებს კარგს არაფერს უქადის.

რაც შეეხება უშუალოდ ქობალიას ვიზიტის თემას, სამინისტროს პრესსამსახურის კომენტარითა და ებრაული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციებით თუ ვიმსჯელებთ, დაბნეული მინისტრი, დიდი ხანი ჩალაგებულ ჩემოდანზე იჯდა და ებრაული მხარის პასუხს ელოდა. თუმცა ამ ყველაფრის პარალელურად ვრცელდებოდა არაოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქობალიამ ისრაელში ჩასვლაზე მაშინვე უარი განაცხადა.

ასეა, როცა თავს შეირცხვენ უაზრო ქმედებებჰით და სხვაგან გამოსაჩენი პირი არ გაქვს, მაშინ უნდა იმოქმედო საყოველთაოდ აპრობირებული პრინციპით **„ჩათრევას ჩაყოლა სჯობია"!**

პარტიის ახალი კურსი და მეგრული საკითხის მოწესრიგებით დაინტერესებულთა სვედრი

გთავაზობთ ნაწყვეტს პროფესორ ბატონ გიორგი ციციშვილისა და ცნობილი იურისტის ბატონ ვახტანგ გვარამიას წიგნიდან "მეგრული საკითხი".

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში **"საწვავ მასალად"** გამოყენებული იქნა ე.წ. **"მაფალუელების"** ვითომ **"ნაციონალურ-კონტრრევოლუციური"** წარმომადგენლობის საქმიანობაც.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები და ისტორიის უტყუარი წყაროები ნათელს ხდიან (არა მარტო საერთოდ ანტიპატრიულ და ანტისაბჭოთა მოვლენად წარსულში წარმოჩენილის აუცილებელ გათვალისწინებას, არამედ კონკრეტულ), ე.წ. **"მაფალუელების"** ახალ ანტისაბჭოთა, ე.წ. **"მემარჯვენე-ტროცკისტულ", "ანტისაბჭოთა-კონტრრევოლუციურ"** და **"ტერორისტულ"** გამოვლინებებთან დაკავშირებას. ასეთი მაგალითი, როგორც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, მოგვცა ტარასი შენგელიას მიმართ ჩეკისტურმა დამოკიდებულებამ. მოცემულ თავში მიზნად დავისახეთ 20-30-იან წლებში ზუგდიდის რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანების მაგალითზე წარმოვაჩინოთ როგორც ე.წ. **"მაფალუელების"**, უკვე მათ წინააღმდეგ მებრძოლთა და ნეიტრალური ადამიანების მძიმე ხვედრი, რომლებიც საქართველოს რეალურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ გასწირა. მათი ადამიანური ბედი იმთავითვე გაუკუღმართებულად გაშუქდა, ხოლო შთამომავლობამ უსიტყვოდ გაიზიარა 1920-1930-იან წლებში სახელმწიფოებრივად შეგნებულად გაუკუღმართებული ვერსია.

ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის პირობებში, ადრე **"მეგრული საკითხის"** მოწესრიგებისათვის ბრძოლაში ჩაბმული ადამიანების პირადი ცხოვრება უაღრესად დრამატულად წარიმართა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ 30-იანი წლების პოლიტიკურ და სამეურნეო პროცესების ქარიშხალმა თავისი დამანგრეველი ძალა განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის სახით, ზედაპირზე ამოტყორცნილებს დაატეხა. როგორც ვნახეთ, სამეგრელოს რეგიონი და მათ შორის ზუგდიდის რაიონი (1930 წლამდე ზუგდიდის მაზრა), განსაკუთრებით პოლიტიზირებული აღმოჩნდა. 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის პერიოდში სამეგრელოს მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილება და ორიენტაცია ზედმიწევნით გამოავლინა 1924 წლის აჯანყებაში მისმა განსაკუთრებულმა აქტიურობამ. სხვადასხვა მონაცემებით, აჯანყების მოტივით სამეგრელოში 500-800 ადამიანი დახვრიტეს. ცოცხლად გადარჩენილთაგან ბევრმა განიცადა პატიმრობა და მუდმივი ძალმომრეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ამ საერთოეროვნულ ბრძოლაში მონაწილე პატიმართა დაკითხვის ოქმებზე დართულ ანკეტებში გვხვდება **"ნაციონალობა – მეგრული"** და **"ნაციონალობა – მეგრელი (ქართველი)"**.

ჩვენი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო ეროვნული იდეისათვის მებრძოლ მეგრელთა ერთ ნაწილს ეროვნულ პასუხისმგებლობასთან ერთად ჰქონდა მეგრელობის თავისებურები შეგნება. ამიტომ ისინი ქართული ეროვნული ინტერესებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობითაც და ჩეკისტური ძიებით გათვალისწინებული ანკეტის შევსების დროსაც ხაზს უსვამდნენ მეგრელების თავისებურებასაც და ქართველობასაც. ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზი იყო მათი ენობრივი თავისებურება და მის მიმართ მყარი ერთგულება. მაგრამ არ ჩანს, რომ მათი **"მეგრელობა"** ხელს უშლიდა საერთო-ეროვნული ინტერესების რეალიზებას. შემდეგ წლებშიც საქართველოს სხვა რეგიონებს შორის **"ოპოზიციური"** მოთხოვნების მასშტაბურობით სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი, შესამჩნევად გამოირჩეოდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიისა და ხელისუფლების მიერ **"მეგრული საკითხის"** პოლიტიკურმა მოგვარებამ. როგორც ვნახეთ, **"მეგრულმა საკითხმა"** 1922 წლიდან ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. მისი სამართლიანი მოგვარების ინტერესმა აამოქმედა არა მარტო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების აქტიური ნაწილი, არამედ, ზუგდიდისა და გალის რაიონების გლეხობის წარმომადგენლებიც.

მაგრამ **"მეგრული საკითხის"** გაუკუღმართებულმა მოგვარებამ ძალზე დაძაბა ადამიანთა ურთიერთობები და შეჰქმნა მათი მისწრაფება-მოქმედების ასევე გაუკუღმართებულად შეფასების შესაძლებლობა. ქვეყანაში გატარებული პოლიტიკური რეპრესიების ეტაპმა ეს ადამიანები ტოტალიტარული მართვის ზვარაკად აქცია, ამათგან ზოგს ტოტები უხეშად შეალეწა, ხოლო ზოგი კი ფესვიანად ამოგლიჯა და ჯერ კიდევ ცხოვრების შუა გზაზე ისტორიის წყვდიადში შთანთქა.

ქვეყნის პოლიტიკური პროცესების ავტორიტარული, დიქტატორულ-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვამ ჩამოაყალიბა ადამიანებისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ჩეკისტური ფორმა და ლოგიკა. ამ დროს პიროვნების წარსული პოლიტიკური ცხოვრება საფუძვლად უნდა დასდებოდა მისი ადამიანური ბედის ჩეკისტურ შეფასებას და მისდამი შემდგომი დამოკიდებულების პარამეტრების განსაზღვრას. ადამიანური წარსული უნდა მორგებოდა ახალს, როგორც მემკვიდრეობა.

არაფერი და არავინ დავიწყებას არ ეძლეოდა. ადამიანური წარსული მასალად ხმარდებოდა ახალ პოლიტიკურ მშენებლობას.

1937 წელს ვითომ მაფალუელი ავტონომისტების იდეური და მათი ანტიქართული ორგანიზაციული საქმიანობის სულისჩამდგმელი, მაშასადამე, ვითომ **"მეგრული სეპარატიზმის"** ლიდერი ი. ჟვანია, ახლა **"ხალხის მტრად"** გააზვიადეს (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ეს ის დროა, როცა ტ. შენგელია ყაზბეგში მუშაობს მთავლიტის რწმუნებულად. ამას დაემატა ისიც, რომ ჩეკამ ყაზბეგში **"გამოავლინა"** კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელთანაც ვითომ მჭიდრო, დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ტ. შენგელია. მას ახლა **"აღმოუჩინეს"**, რომ მ. კავთელაძის დასკვნისაგან განსხვავებული სულ სხვა წარსული ჰქონია. ტ. შენგელიას ანტიქართული **"მაფალუისტურ-სეპარატისტული"** წარსული შინსახკომის ყაზბეგის რაიონული განყოფილების რწმუნებულის კარახანოვის და განყოფილების უფროსის ხუბაევის მიერ 1937 წლის 17 დეკემბრის თარიღით შედგენილ დასკვნაში ასე იკითხება: **"შენგელია ტარასი დიმიტრის ძე, მოსამსახურე, მცხოვრები ყაზბეგში... მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ხალხის მტერ ისაკი ჟვანიასთან, მასთან ერთად შედიოდა მეგრულ რაიონულ ორგანიზაციაში "მაფალუისტებისა". ამ უკანასკნელის დავალებით საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, კერძოდ, ამხ. ბერიათი უკმაყოფილომ, შეადგინა აშკარად პროვოკაციული ხასიათის განცხადება ხალხთა ბელადის, საკ. კპ (ბ) ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მოითხოვდნენ სამეგრელოს ავტონომიას, "მაფალუისტების" კ/რ ორგანიზაციაში "ავერბოვკებდა" სკპ (ბ) ცალკეულ წევრებს.**

მჭიდრო კავშირი ჰქონდა მემარჯვენეთა (ყაზბეგის) კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელ შ. ნამგალაძესთან, ა. ფოცხვერაშვილთან, მ. ანდღულაძესთან და მათი დავალებით მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბა გაზეთ "ახალი ხევის" ყოფილი რედაქტორი დავით კომახიძე და უკანასკნელს აიძულებდა ბეჭდვით სიტყვაში შეექო ხალხის მტრები. მთავლიტის რწმუნებულად მყოფი კრძალავდა ბეჭდვითი სიტყვიდან კონტრრევოლუციური შინაარსის წიგნების და ხალხის მტერი ავტორების ამოღებას. მისადაგებული აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი. სასამართლომდე შეუთავსდეს პატიმრობა საქართველოს სახკომის ყაზბეგის რაიონული განყოფილების იზოლატორში!"

აქედან ჩანს, რომ ტ. შენგელია არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე, პროგრესულ მოქალაქეობრივ და ეროვნულ პოზიციაზე მდგარი პიროვნება ყოფილა. განყოფილების უფროსის ხუბაევის მიერ ტ. შენგელიას შესახებ შედგენილ ცნობაში იგივე მეორდება, ზოგი დეტალი კი ასე წარმოჩინდა: **"პარტიის წევრი 1925 წლიდან, 1934 წლის მაისში ზუგდიდის რაიკომის მიერ პარტიიდან გაირიცხა "მაფალუისტების" მეგრულ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1935 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის პარტიული კოლეგიის მიერ აღდგენილ იქნა საკ. კპ (ბ) რიგებში... 1937 წლის დეკემბერში ფარული კონტრრევოლუციური საქმიანობის გამო ყაზბეგის რაიკომის მიერ გაირიცხა პარტიიდან და საქართველოს შინსახკომის 1927 წლის 29 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაპატიმრებას".**

გასაგებია რომ ახლა ტ. შენგელიას ბიოგრაფიული წარსული ახალი პოლიტიკური კლიმატის მოთხოვნის შესაბამისად შუქდება. მაგრამ არ შეიძლება ამასთანავე არ დავინახოთ, რომ ისე გამოყავთ, თითქოს 1921 წლიდან სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლი **"ნოთელი"** და **"მაფალუისტი"** ტ. შენგელია, კომპარტიაში მიუღიათ 1925 წელს, ე.ი. მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **"მაფალუელ-ავტონომისტებს"** საქართველოსაგან **"სამეგრელოს მოწყვეტის"** ბრალდებით თავს დაატეხა ვითომ დამსახურებული ბრალდება – **"სეპარატიზმი"** და ახლა ტ. შენგელია – პიროვნება, რომელიც 1921-დან 1933-მდე **"მაფალუისტურ ანტიპარტიულ და ანტიქართულ მუშაობას ეწეოდა"**, მართალია 1934 წლის მაისში კომპარტიიდან გაირიცხა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის **"პარტიულმა კომისიამ"**, რომელიც ბერიას მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა, 1935 წელს ისევ კომპარტიის რიგებში აღადგინა.

არადა, როგორც ცნობილია, 1933-1936 წლებში, პარტიაში მიღება შეჩერებული, ხოლო აღდგენა უკიდურესად გართულებული იყო. მაგრამ ტ. შენგელიას პარტიაში აღდგენის პატივი მაინც ხვდა. აქედან ისე გამოდის, რომ ან **"მაფალუ"** არ ყოფილა, რადაც ასაღებენ, ან ტ. შენგელიას არ ჰქონია ის **"მაფალუისტური გადახრა"** რასაც აბრალებენ. როგორც ადრე ვნახეთ, ტ. შენგელია 1925 წელს იყო სამეგრელოს ავტონომიის მომხრე. იგი ასეთი მოთხოვნის ხელისმომწერთა შორის ვიხილეთ. 1931 წელს იგი ზუგდიდის რაიკომის აქტივის წევრია, მაგრამ ავტონომია სამეგრელოსთვის სასურველად ესახება. შემდეგ, 1933 წელს მას ვხედავთ, როგორც ი. სტალინთან ავტონომიური სულისკვეთებისა და ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის წერილის გამგზავნელ ავტორს. მოსკოვმაც და თბილისმაც ავტონომისტური წერილის ავტორად სწორედ ის დაადგინა. მისი ამ წერილის გამო საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე დიდი ხმაური ატყდა. ეს წერილი შეაფასეს **"მაფალუისტობად"** და ადგილობრივი, მეგრული ნაციონალიზმის გამოვლინებად.

ამის გარდა მას რაიმე სხვა დანაშაული არ ჩაუდენია. როგორ გავიგოთ ის, რომ პარტიიდან გარიცხული, კონტრრევოლუციური და ნაციონალისტურ-მაფალუისტური ორგანიზაციის წევრი 1935 წელს ისევ პარტიაში აღადგინეს? შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ტ. შენგელიამ მოახერხა ბრალეულობათაგან თავის დაღწევა, შეცდომაში შეიყვანა საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს პარტიული კომისია, ყველა გააცურა, **"მეგრული სეპარატისტების"** ლიდერ ი. ჟვანიასთან ალიანსი ისე დამალა, რომ ვიდრე ი. ჟვანიას **"ხალხის მტრობა"** და ყაზბეგელი **"მემარჯვენე" "კონტრრევოლუციონერ-ტერორისტების"** საქმიანობა და მასში პირადი მონაწილეობა გამომჟღავნდებოდა, თავი გადაირჩინა. ან შეიძლება ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჩეკისტებს ხუბაევს და კარახანოვს ეშლებათ ტ. შენგელიას აღნიშნული ბიოგრაფიული ფაქტები.

არა, საქმე ასე როდია. როგორც დაკვირვებული მკითხველიც შენიშნავდა: ტ. შენგელია 20-30-იანი წლების პარტიულ-პოლიტიკური სცენარის ის პერსონაჟია, რომლის განადგურების და მოსპობის აუცილებლობა საერთოდ არ არსებობდა.

1921-1937 წლებში არ არსებობდა ე.წ. **"მაფალუისტების"** არავითარი არაქართულობა, ანტიპარტიულობა და სეპარატიზმი, როგორც რეალური საშიშროება. იყო მეგრელი კომუნისტებისა და უპარტიოების მცირე, რამდენიმე კაცისგან წარმოდგენილი ინტელიგენტური ჯგუფის ავტონომისტური მისწრაფება, რომელიც მკაფიოდ მხოლოდ 1925 წლის **"ბატალიებში"** გამოვლინდა და ისიც პარტიის **"ეროვნულმა"**, უფრო სწორედ, პარტიის ანტიეროვნულმა ანტიქართულმა, ავტონომიურმა მშენებლობამ და **"მეგრული საკითხის"** გამო სტალინის გამონათქვამმა ასაზრდოვა, ხოლო მას შემდეგ, რაც **"ავტონომიის"** მოთხოვნა ბერიამ სტალინის მითითებების პასუხად გაუკუღმართებულად, სეპარატისტულ მოძრაობად გააზვიადა და გაანადგურა, მეგრელ კომუნისტებს დოკუმენტების მიხედვით **"ავტონომიის"** მოთხოვნაზე დიდხანს კრინტიც არ დაუძრავთ. სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ ნაციად მოწყობის მოთხოვნა კი, რომელსაც პროფორმის სახით აყენებდნენ ახალაია, ბუკონია და ბესელია, ისტორიას 1925 წელსვე სამუდამოდ ჩაბარდა. ზუგდიდის სამაზრო ცენტრის ხელმძღვანელები, მხოლოდ **"მეგრული საკითხის"** გამო საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს 1925 წლის 3 სექტემბრის და შემდგომი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად იბრძოდნენ. გარდა ამისა, მონაწილეობდნენ პარტიულ-თანამდებობრივ და საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებულ ბატალიებში. სამეგრელოს ავტონომიის მოპოვების სულისკვეთებით გამსჭვალულები კი, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას პრობლემებს უქმნიდნენ სტალინთან მუდმივი ჩივილით, ხოლო ახალ რაიონულ ხელმძღვანელობას ტანჯავდნენ ხელისუფლების მიერ დასმენად, პროვოკაციულ მოქმედებად, კონტრრევოლუციურად და ინტრიგად შეფასებული წერილებით. ამიტომ ბერიასთან დაახლოებულ ხელმძღვანელობას ამ ოპოზიციის წინააღმდეგ უხდებოდა ათასგვარი ბრალეულობის შეთითხვნა და მათი, როგორც დამნაშავეების ჩამოშორება. ჩეკა სწორედ ამ დაკვეთას ასრულებდა და ყოველ ახალ გართულებულ სიტუაციაში მათ მიაწერდა ე.წ. **"მაფალუისტობას"** და ამით მათ **"დანაშაულობებს" "წონას"** უმატებდა, საკუთარს კი აფუჩეჩებდა. მაგალითად: 1937 წლის 21 დეკემბერს ტ. შენგელია კარახანოვმა დაკითხა. დაკითხვის ოქმი თავიდან ბოლომდე ეხება მხოლოდ ძიებაში მყოფის **"მაფალუელობას", "ხალხის მტერ"** ი. ჟვანიასთან დანაშაულებრივი ურთიერთობის ძებნასა და **"მიგნებას"**. ამ დაკითხვის ოქმში ახალი ის არის, რომ ტ. შენგელია **"აღიარებს": "1927 წლიდან მე ვეკუთვნოდი კონტრრევოლუციურ მეგრულ ორგანიზაციას მაფალუისტებისას".**

ჩვენების მიხედვით, დაკითხულის ეს კონტრრევოლუციონერობა და **"მაფალუს"** ორგანიზაციის წევრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ **"1927 წელს ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ზუგდიდის რაიკომის მდივანი ისაკი ჟვანია. იგი პარტიულ კრებაზე აყენებდა საკითხს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ და ჩვენც, მეგრელები, პარტიის წევრები მხარს ვუჭერდით, და ამრიგად ორგანიზებულ იქნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია "მაფალუისტებისა".**

ეს ჩვენება წარსულის თვალის გადავლებითაც არ დასტურდება. ჯერ ერთი, 1927 წელს ისაკი ჟვანია რაიკომის მდივანი კი არა, სამაზრო კომიტეტის მდივანია და ეს უნდა ახსოვდეს. მეორე, არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ისაკი ჟვანიას მაფალუისტური ორგანიზაციის არსებობას და მის მიერ ავტონომიის მოთხოვნას. მესამე, აქ პირველად ვხვდებით შემთხვევას, როცა ისაკი ჟვანიას **"დანაშაულობები"** 1927 წლიდან უკვე **"ავტონომიური რესპუბლიკის"** მოთხოვნამდე იზრდება.

(გაგრძელება იქნება)

ჯერ ჩვენ და აფხაზები უნდა შევრიგდეთ

დღევანდელი პუბლიკაციით ვასრულებთ საუბრების ციკლს პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძესთან. წინა ინტერვიუ ბატონმა ნაპოლეონმა დაამთავრა თავისი პოზიციის დაფიქსირებით, რომ კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე მხარეთა უშუალო მოლაპარაკება, ამ მოლაპარაკებაში ქართველების მხრიდან იმ ადამიანების ჩართვა, რომლებსაც აქვთ აფხაზებთან თანაცხოვრების, ერთობლივი მოღვაწეობის გამოცდილება და ჯერ კიდევ შერჩენიათ ავტორიტეტი, უპრიანი და ეფექტიანი იქნებოდაო.

ვინ "დაშალა" საბჭოთა კავშირი?

– ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის,– აგრძელებს ბატონი ნაპოლეონი, – ღმერთმა აცხონოს რეზო სალუქვაძე, ოთარ ზუხბაია, ლერი აბაშიძე. ცოცხლებიდან უმეტესობა საკმაოდ ხანდაზმულია. მაგრამ მაინც არიან ისეთები, ვინც უპრობლემოდ დაელაპარაკება აფხაზებს, ვისაც მოუსმენენ აფხაზები. დავასახელებდი ცნობილ ქართველ პოეტს გენო კალანდიას, რომელსაც შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა აფხაზ მწერლებთან; გოგი ქავთარაძეს, ანდა – ზურაბ პაპასკირს, ცნობილ მეცნიერს; დავასახელებ იმდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეებს ე.წ. ნომენკლატურიდან – ვილენ ალავიძეს, ჯემალ ბერიძეს, გენერალ გივი ლომინაძეს, თამაზ ჩოჩიას, მომდევნო, ენერგიით სავსე და მიზანსწრაფი თაობიდან კი ალექსანდრე ჭაჭიას ვთხოვდი, მონაწილეობა მიეღო აფხაზებთან მოლაპარაკებაში.

– საბჭოთა პერიოდში სოჭი და ბიჭვინთა ქვეყნის ელიტის პრესტიჟულ დასასვენებელ კურორტებად ითვლებოდა. თქვენ საშუალება გქონდათ, შეხვედროდით კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, ე.წ. არაფორმალურ ვითარებაში. იყო კმაყოფილება და თვითდინების უშფოთველობა?

– მოგიყვებით ერთი შეხვედრის ამბავს და დასკვნის გაკეთება მკითხველებისთვის მომინდვია.

1980-იანი წლებია. გულრიფშში ვართ, ნოდარ დუმბაძის აგარაკზე, ცნობილი რუსი პოეტები: ევგენი ევტუშენკო, ვლადიმირ სოლოუხინი, მწერალი ივანოვი, ქართველებიდან – კოტე მახარაძე, პოეტი ზაურ ბოლქვაძე, რეზო სალუქვაძე და მე. სხვებიც იყვნენ.

სუფრა **"წელში გატეხილი"** არ იყო, როცა ევგენი ევტუშენკომ თამადას – კოტე მახარაძეს სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა და გულწრფელად, აღფრთოვანებით ილაპარაკა საქართველოზე, იმ მეგობრობაზე, რომელიც მას აქვს ქართველებთან, აფხაზებთან და რომლის მადლი ჩვენს დღევანდელ შეკრებასაც სცხიაო.

ევტუშენკოს დაუყოვნებლივ და ოპერატიულად გამოეხმაურა სოლოუხინი:

– ჩვენი პრესა და რადიო-ტელევიზია ყოველდღე ლაპარაკობს საბჭოთა ხალხთა დიადი და ურღვევი მეგობრობის შესახებ. არ ვდავობ, შეიძლება, ასეც არის. მაგრამ მე მინდა, ცოტა სხვა კუთხით შევხედო იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ.

დაწვრილებით ილაპარაკა იმ წარუშლელ შთაბეჭდილებაზე, რაც საქართველოში მოგზაურობით მიიღო, უწინარეს ყოვლისა, ხალხის ცხოვრების მაღალ დონეს გაუსვა ხაზი.

– ამ რეალობის მიუხედავად,– განაგრძო სოლოუხინმა, – ქართველებისგან, და არა მარტო თქვენგან, გვესმის გამუდმებული საყვედურები, რომ ჩვენ, რუსებმა სამშობლო წაგართვით, დავიპყარით თქვენი ქვეყანა, გაგიუქმეთ სახელმწიფოებრიობა, ვიტაცებთ თქვენს ეროვნულ სიმდიდრეს, ვანადგურებთ თქვენს კულტურას, რომ თქვენ ღატაკები ხართ, ჩვენ კი თქვენს ხარჯზე ფუფუნებაში ვცხოვრობთ და ა.შ. გუშინ ივანე თარბამ აფხაზურ ოჯახში წაგვიყვანა, მასპინძლის ეზოში მდინარის ტოტი ჩამოდიოდა, რომელიც სავსე იყო თევზით, საკუთარი ტყეც ჰქონდა, რომელშიც თხების არვე დაუდიოდა, მდელოზე ფუტკრის სკები ედგა. სამწუხაროდ, რუსები არც მას მოსწონდა... საქართველო გამონაკლისი არ არის. იგივე განწყობა შეინიშნება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

შემდეგ მან ილაპარაკა შორეულ რუსულ სოფლებში გამეფებულ სიღატაკეზე, შექმნილი დოვლათის უსამართლო განაწილებაზე, რის გამოც, უწინარესად, ზარალდება რუსეთი, ამ დოვლათის შემქმნელი ხალხი და დაასკვნა:

– რუსები ვკარგავთ სამშობლოს, შელახულია ჩვენი პატივი და ღირსება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მომწიფდა აზრი, რომ საჭიროა, ჩვენს თავს ჩვენვე მივხედოთ, ამისთვის კი რუსეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან უნდა გავიდეს. ჩვენ აქეთკენ უკვე მივდივართ.

თქვა ეს სოლოუხინმა და დადუმდა. ვდუმდით დანარჩენებიც.

– დიდ ერში საღი აზრი მალე მწიფდება,– თქვა ნოდარმა,– მაგრამ ჩვენ ამ ბუხართან საქეიფოდ შევიკრიბეთ და არა საბჭოთა კავშირის დასაშლელად,– ჩვეული იუმორით განმუხტა სიტუაცია.

– თქვენ დაგიწყიათ საბჭოთა კავშირის დაშლა, ბატონო ნაპოლეონ, და ეგაა!

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თუ – პირიქით?

– 1989 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია და ამ ახალი წარმონაქმნის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა. თუ არ ვცდები, ამ ფაქტის გამო არც თბილისში, არც სოხუმში ქართველებს შესაბამისი რეაქცია არ გვქონია...

– არ შეგშლიათ, სამწუხაროდ, ასე იყო. კონფედერაციის შექმნა წინ უსწრებდა ქართველი არაფორმალების მიტინგებს. აფხაზებმა ჯერ კიდევ 1988 წლის დასაწყისში ჩამოაყალიბეს უკანონო შეიარაღებული რაზმები. შტაბად სოხუმში შერვაშიძეების ყოფილი სასახლე – მწერალთა კავშირის შენობა აირჩიეს. მე იქვე ვცხოვრობდი და ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ტრიალებდნენ იქ შეიარაღებული ადამიანები, მათ შორის იყვნენ ჩრდილოკავკასიელებიც,– ეს მითხრეს ჩემმა სტუდენტებმა. დაუყოვნებლივ ვაცნობე აფხაზეთის უშიშროების უფროსს – ავთანდილ იოსელიანს, რომელმაც ჩრდილოკავკასიელთა იქ ყოფნის შესახებ ჩემგან შეიტყო (!)

– რაო მერე?

– არც არაფერი, რადგან თბილისიდან კატეგორიულად მიგვითითეს, **"პროვოკაციას არ აჰყვეთო"**.

ჩემთვის დღესაც გაურკვეველია, რა პროვოკაციაზე იყო საუბარი: მაინც და მაინც თავს უნდა დაგვსხმოდნენ, ხმა რომ ამოგვეღო? ამიტომ გადავწყვიტეთ და ჩვენი ინიციატივით შევხვდით აფხაზებს. ქართველების მხრიდან ვიყავით მე, რეზო სალუქვაძე, პროფესორი ლეონიდე ჯახაია, აფხაზების მხრიდან – ზურაბ აჩბა, ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე მიქვაბია და კიდევ ერთი, გუდაუთელი აფხაზი. პირველსავე შეხვედრაზე მივანიშნეთ, რომ გვქონდა ინფორმაცია მათი შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ და რომ ქართველებიც ვიყავით შეიარაღებულები, და თუ ინციდენტი მოხდებოდა, დიდი სისხლი დაიღვრებოდა. შევთანხმდით, რომ მხარეები **"თავს შეიკავებენ"**.

– კავკასიელ ხალხთა კონფედერაციაზე თუ გქონდათ საუბარი?

– ეს საკითხი მკაცრად დავაყენეთ, ვთქვით, რომ კავკასიელები ქართველებიც ვართ და ჩვენც უნდა შევეყვანეთ ამ გაერთიანებაში. პასუხად მივიღეთ, რომ ჩრდილოკავკასიელებს სურთ გაერთიანება ერთ რესპუბლიკად (!), ხოლო სოხუმი დედაქალაქად აირჩიეს მისი ნეიტრალიტეტის (!) გამო. ამ პოზიციის სრულ ალოგიკურობას თვითონაც მიხვედრილი იყვნენ და ამიტომ დასძინეს, რომ ჩანაფიქრი განუხორციელებელია, რადგან რუსეთს ვერ მოერევიან და არც ჩვენ გვაძლევს ხელს ასეთი რესპუბლიკის შექმნაო... ცრუობდნენ ელემენტარულად, რადგან მაშინვე აშკარა იყო, რომ აფხაზებს ჩრდილოკავკასიელების გამოყენება ჩვენ წინააღმდეგ სურდათ. მოგვიანებით ასეც მოხდა.

– უთხარით, რომ მიხვდით მათ ჩანაფიქრს?

– მივახვედრეთ, რომ ქართველები არც ისე გულუბრყვილოები და იოლად გასაცურებლები ვართ, თუმცა კამათი არ გაგვიგრძელებია, იმიტომ, რომ ცხადი იყო – ერთმანეთს ვერ გადავარწმუნებდით.

– ვერ დაძლია ეს წინაღობა იმ მეგობრულმა ურთიერთობამ, რომელიც ქართველ და აფხაზ კულტურის მოღვაწეებს ჰქონდათ?

– ეს თემა განსაკუთრებული ანალიზის საგანია, ვლაპარაკობ მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების შესაძლებლობაზე. მაგრამ მეგობრობა მართლაც სანიმუშო და გულითადი გვქონდა.

ნოდარ დუმბაძის მეზობლად ცხოვრობდა ცნობილი აფხაზი პოეტი, კარგი მოქართულე ივანე თარბა, რომლის სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ქართველი თანამოკალმეებისთვის. დიდი მეგობრობა ჰქონდათ აფხაზური ლიტერატურის პატრიარქს – გიორგი გულიასა და შესანიშნავ ქართველ პოეტს – გიორგი ლეონიძეს, ბაგრატ შინკუბას და რევაზ მარგიანს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიპატიჟებდნენ ჩემი აფხაზი მეზობლები ჩემთან ჩამოსულ გურამ ფანჯიკიძეს, ზაურ ბოლქვაძეს, ხუტა ბერულავას...

ამ მოგონებებს რომ გავყვეთ, შორს წაგვიყვანს. მაგრამ ერთ ფაქტს მაინც გავიხსენებ. სამუშაო დღე მთავრდება და ერთად ვსხედვართ – გულრიფშის რაიკომის მდივანი ნაჭყებია, გალის რაიკომის მდივანი შარანგია და მე. რომელიღაც ჩვენგანმა თქვა, ნახევარ საათში მოსკოვის რეისი მიფრინავს და ხომ არ მოვინახულოთო ჩვენი მეგობარი, გუდაუთის რაიკომის მდივანი კონსტანტინე ოზგანი, რომელიც საავადმყოფოში იწვა და მკურნალობდა.

თითქმის შუაღამე იყო, როცა ჩავფრინდით მოსკოვში, ვინახულეთ ოზგანი, მოვიკითხეთ, კინაღამ ცრემლები გადმოუგორდა – თქვენ გარდა არავის გავხსენებივარო. დილამდე ვისაუბრეთ.

ასეთი ურთიერთობები იყო. მაგრამ ყველაფერი მთავრდებოდა, როგორც კი გამწვავდებოდა სიტუაცია.

დანაწევრებული და დაპირისპირებული ქართველობა

– მწვავე სიტუაციიდან გამოსვლის არავითარი გზა არ ჩანდა?

– იყო მომენტები, რომელთა გამოყენება ეფექტიანად, ორივე მხარისთვის სასარგებლოდ შეიძლებოდა. იყო მცდელობაც, მაგრამ...

როცა აფხაზეთში ძალიან დაიძაბა სიტუაცია, საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ სოხუმში ჩასვლა და იქაურ ამბებში გარკვევა მთხოვა. წავედით მე და გენერალი ლერი აბაშიძე. ამ დროს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უკვე ორად არიან გაყოფილი – ქართულ და აფხაზურ დაპირისპირებულ მხარეებად. შევხვდით ქართველ დეპუტატებს თამაზ ნადარეიშვილის მეთაურობით. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ შეტაკება გარდაუვალი იყო. ვცდილობდი გადამერწმუნებინა. შუა კამათიდან გამომიხმეს და მითხრეს, რომ ალექსანდრე ანქვაბს სურდა ჩემთან შეხვედრა, და, მიუხედავად ქართული დეპუტაციის წინააღმდეგობისა,– რა გვსაქმება ანქვაბთანო, შევხვდი. ვისაუბრეთ პირისპირ. ბოლოს მითხრა, რომ კარგი იქნება, თუ თქვენს მოსაზრებებს არძინბას გააცნობთო.

შევედით მის კაბინეტში და არძინბა მეუბნება:

– ჩვენთან არის ერთმანეთს დაპირისპირებული ათამდე ქართული პოლიტიკური ჯგუფი. მითხარით, ვისთან შემიძლია ვისაუბრო პრობლემურ საკითხებზე. ნუ მაიძულებთ, დავჯდე თვითმარქვიებთან (მიმანიშნა ვინმე ახალაიაზე, რომელიც მილიციის პოლკოვნიკობას იბრალებდა), ნარკომანთან. არ დავჯდები სასაუბროდ არც ბორის კაკუბავასთან (დაასახელა კიდევ რამდენიმე კაცი).

თბილისმა მითხრას, რომელია თქვენი ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური გაერთიანება და მისი ლიდერი, რათა, მასთან შევეცადოთ მოვაგვაროთ საკითხები, რადგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები განგვიდგნენ, მათთან დიალოგი შეუძლებელია, რადგან ერთი ნაწილი ერთი ჯგუფის მიერ იმართება, მეორე – მეორის მიერ და ერთიანი აზრი არ არსებობსო.

აფხაზები მაშინ მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს, სანაცვლოდ იძლეოდნენ იუსტიციის მინისტრის პოსტს, სხვა პრაქტიკული წინადადებებიც ჰქონდათ, გამოყოფაზე ლაპარაკიც არ იყო.

– მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქართველი გვეყოლება,– მითხრა არძინბამ.

– ქართველები მოითხოვენ, რომ კანდიდატურა მათ შეარჩიონ და არა თქვენ.

– იცით, ვის მთავაზობენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ? – მეკითხება არძინბა და მისახელებს ისეთი კაცის გვარს, რომელსაც ვიცნობდი, როგორც საეჭვო რეპუტაციის, არცთუ სუფთა ადამიანს.

– არ იტყვით იმის გვარს?

– არა, არ ვიტყვი.

– ახლა ცოცხალია?

– მგონი, ცოცხალია და მოსკოვშია... არძინბას ვუთხარი, რომ ჩავიდოდი თბილისში და ხელმძღვანელობას მოვახსენებდი ჩვენი საუბრის შინაარსს.

თბილისში ჩამოსვლისთანავე დავწერე მოხსენებითი ბარათი, სადაც იმდროინდელი (და არა დღეის გადასახედიდან) ვითარებიდან გამომდინარე ჩემი შეხედულებები ჩამოვაყალიბე. დეტალურად ამ ყველაფრის შესახებ ჩემს წიგნში ვწერ, რომელზეც მუშაობას უკვე ვამთავრებ.

– თქვენს მოხსენებით ბარათს როგორი რეაქცია მოჰყვა?

– არავის არსად არ დავუძახივარ, თუმცა ვეცადე.

– ბატონო ნაპოლეონ, გულახდილად მითხარით, გჯერათ, რომ ჩვენ და აფხაზები ოდესმე ერთი სახელმწიფოს საზღვრებში ვიცხოვრებთ?

– პოლიტიკური ლოგიკა აქეთკენ მიდის. თუმცა ვშიშობ, რომ ვერც ჩვენი თაობა, ალბათ, ვერც ჩვენი მომდევნო თაობა ამას ვერ მოესწრება. ძალიან ღრმა და მტკივნეულია ის იარა, რომელიც ორივე ერს აქვს. თუმცა შეიძლება მოვლენების დაჩქარება, თუ ამისი პოლიტიკური ნება ექნება ზესახელმწიფოებს. მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა შევრიგდეთ – ქართველები და აფხაზები.

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე**

საქართველოს ხელისუფლების მორიგი ანტისემიტური გამოხტომა

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში საქართველო-ისრაელის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა. ალბათ, ბევრი ახსნა არ სჭირდება იმას, რომ საქართველოს გაღიზიანება შეიარაღების მიყიდვაზე ისრაელის უარმა გამოიწვია, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან შემხვედრი ნაბიჯი მოჰყვა – ქართველმა სამართალდამცველებმა გასული წლის ოქტომბერში ებრაელი ბიზნესმენები – რონი ფუქსი და ზეევ ფრენკიელი – სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის შეთავაზების ფაქტზე დააკავეს. მართალია, ბიზნესმენებს საქართველოსგან 100 მლნ **აშშ** დოლარი მართლაც ეკუთვნოდათ, თუმცა საქმე მხოლოდ მას შემდეგ **"გაფუჭდა"**, რაც საქართველომ ისრაელისგან სამხედრო თანამშრომლობაზე უარი მიიღო. ამბობენ, რომ ისრაელის პრეზიდენტმა ქართველ კოლეგას არაერთხელ დაურეკა და ბიზნესმენების გათავისუფლება სთხოვა, თუმცა ფუქსი და ფრენკიელი დღემდე პატიმრობაში იმყოფებიან.

ქართული მხარის ამ ქმედებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სერიოზული დაძაბვა მოჰყვა. მართალია, ოფიციალური პირები უარყოფენ, თუმცა ბიზნესმენების დაჭერის შემდეგ მსოფლიო პრესა იმაზე ალაპარაკდა, რომ ისრაელში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ხილვა არ სურთ. ისრაელი სულ სხვა მიმართულებით გააქტიურდა – გასულ კვირას ებრაული დელეგაცია აფხაზეთს ეწვია, სადაც არაერთი განცხადება გაკეთდა, მათ შორის, აფხაზეთსა და ისრაელს შორის სერიოზული ეკონომიკური კავშირების დამყარებაზე დაიწყო საუბარი. გარდა ამისა, აფხაზეთის ხელისუფლებამ ებრაული მხარის მიწვევაც მიიღო. გეგმები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ამბობენ, ამ ვიზიტმა შესაძლოა, აფხაზეთისთვის ახალ ერასაც კი დაუდოს დასაბამი.

როგორც ჩანს, ამ მოვლენას საქართველომ ძალზე მტკივნეული ნაბიჯით უპასუხა – საქართველოს ხელისუფლებამ ისრაელს ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე **"მხიარულთა და საზრიანთა კლუბის"** შეჯიბრის მეშვეობით უპასუხა, რაც საზოგადოების აღშფოთების მიზეზი გახდა. კერძოდ, მიმდინარე წლის 2 აპრილს ტელეკომპანია **"იმედის"** ეთერით გასული შეჯიბრების მონაწილე სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა **"კოზანოსტრამ"** წამყვანის მიერ დასმულ შეკითხვაზე – რა იყო ადოლფ ჰიტლერის ყველაზე დიდი ღირსება, უპასუხა, რომ მისი მთავარი ღირსება **იყო "უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში"**.

პასუხს დარბაზი ოვაციით შეეგება. ჟიურის არცერთმა წევრმა, მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა კითხვასა და გუნდის პასუხთან დაკავშირებით არათუ პროტესტი გამოხატა, არამედ გუნდს უმაღლესი შეფასებაც კი მისცა.

აღნიშნულ ფაქტს შემაშფოთებელი უწოდა საქართველოს სახალხო დამცველმა. **გიორგი ტუღუშის** განცხადებით, **"ეს ებრაელი ხალხის ღირსებისა და ჰოლოკოსტის ხსოვნის შეურაცხმყოფელ და ანტისემიტურ გამონათქვამს წარმოადგენს. ამგვარი გამონათქვამები კი, თუნდაც, იუმორისტულ კონტექსტში, საჭიროებს მკაცრ შეფასებასა და დაგმობას".**

თვით ეს ფაქტი უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ქართულმა მხარემ არა პირდაპირ, მაგრამ ირიბი გზით კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ებრაულ მხარეს და ბზარი, რომელიც 26-საუკუნოვან მეგობრობას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ გაუჩნდა, კიდევ უფრო გაღრმავდა. გაუგებარია, რის მიღწევას ცდილობს სააკაშვილის ხელისუფლება მსგავსი ქმედებებით, რომელსაც პირდაპირ მივყავართ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შესაძლო გაწყვეტამდე, რაც პირველი პრეცედენტი ნამდვილად არაა და საკითხავია ისიც, კიდევ რომელ და რამდენ ქვეყანასთან ჩატყდება **"მეგობრობისა და პარტნიორობის ხიდი"** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში?!

ასეა, ოდითგან ცნობილია, რომ სომხებს არ უყვართ ებრაელები, მაგრამ ვერ გაგვიგია, რატომ? შეიძლება იმიტომ, რომ მათზე პატიოსნები, ჭკვიანები და სიტყვის პატრონები არიან! თანაც, საკვირაუდოა, რომ ამ სკანდალით ჩვენი აშკარად არაქართული ხელისუფლება ცდილობს საქართველოს საწინააღმდეგოდ ჩაფიქრებული გარკვეული ვერაგული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.
პროფ. ლევან სანიკიძე

(გაგრძელება. დასაწყისი **"ილორი"** №97, 98, 100, 101, 102, 103, 104, 105, 107, 109, 112)

ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებმაც აღმოაჩინეს

ყველა ზემოთ აღნიშნული მასალა უცხოელი და ქართველი მეცნიერებისაგან გვაქვს აღებული; თავზე არავის არაფერს ვახვევთ და პატივცემულმა ოპონენტებმა განსაჯონ, რამდენად სწორია ჩვენი თვალსაზრისი, დასკვნები და აღმოჩენები, ისტორია ყველაფერს განსჯის.

ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბის 90-კაციანი ეკიპაჟი (სამი გემით **"სანტა მარია", "პინტი", "ნინია"**) გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან. ეკიპაჟში შედიოდნენ კოლხი ძმები მოლაშხიები და ლიპუსკუა. 2004 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი წერილი **"ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებსაც აღმოუჩენიათ"** (მამუკა ვაშაკიძე, თამაზ შოთაძე, გაზ. **"საქართველოს რესპუბლიკა"**, 2004 წლის 25 ივლისი). ეს მასალები ორ ათეულ წელზე მეტის წინ მოუპოვებია გამოჩენილ მეცნიერს, ნევროპათოლოგს, პროფესორ იური მოლაშხიას (შემდგომში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აკადემიის წევრი), რომელმაც კომუნისტური რეჟიმის დროს ვერ მოახერხა აღნიშნული მასალების გამოქვეყნება. ბასკონელი მოლაშხიები და ლიპუსკუა კოლუმბმა მეთაური გემის **"სანტა მარიას"** ეკიპაჟში შეიყვანა, რომლის კაპიტანი თვითონ იყო.

აღნიშნულ საკითხზე 1898 წელს, საინტერესო მასალები გამოაქვეყნა თამაზ შოთაძემ. პროფესორი იური მოლაშხია ქალაქ მეხიკოში (მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში) შეხვდა თავის მოგვარეს მექსიკაში მცხოვრებ დიდი ფოტოატელიეს მფლობელს, მოლაშხიას, რომელიც კოლხების ექსპედიციის მონაწილე უმცროსი მოლაშხიას შორეული მემკვიდრე ყოფილა და რომელსაც ჟურნალისთვის გადაუცია ამის დამადასტურებელი ფოტომასალები, ექსპედიციაში მონაწილეთა გვარების მითითებით და სხვა დოკუმენტებით.

კოლუმბის ერთ-ერთ კარაველას, რომლის კაპიტანი იყო ვინსენტე იანესი, ერქვა მეგრული სახელი **"ნინია"**.

ამერიკელი მწერალი ერსკინი კოლდუელის წიგნში **"ამერიკა სიგრძე-სიგანით"** წერს: **"არ ვიცი, როგორ მოხვდა პირველი ბასკი ამერიკაში — შესაძლოა, ეს იყო ქრისტეფორე კოლუმბის ქარავნის მეზღვაური, რომელიც დარჩა იქ, გაამერიკელდა და გამდიდრდა".**

საინტერესოა ისიც, რომ 1492 წლის 26 დეკემბერს კუნძულ ჰაიტის მახლობლად წყალქვეშა კლდეს შეეჯახა და ჩაიძირა კოლუმბის ექსპედიციის ფლაგმანი **"სანტა-მარია"**. ეკიპაჟის ყველა წევრი გადარჩა.

კორსიკას "ქართს" უწოდებდნენ, ნაპოლეონს კი ქართველს

ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, რომ ამჟამადაც **"ქართ"**-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას კორსიკელები (ნაპოლეონს კი ქართველს). კუნძულზე მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, კეთილშობილური ქცევა, სილამაზე, მრავალხმიანი მუსიკა, მეგრული ცეკვები, მეგრული კულინარია, მეგრული სამზარეულო. ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა, თორემ თავისი დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ქართველ ოფიცერს, ყოფილ მამელუქ როსტომ (რუსტან) რაზმაძეს.

იმპერატორმა ისე დაიახლოვა რუსტანი, რომ იგი ყველგან თან ახლდა. რუსტანი მონაწილეობდა ნაპოლეონის ყველა ომში. ნაპოლეონის შტაბის წევრებზე თავისი იერით და აღმოსავლური ჩაცმულობით ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთხელ რუსტანმა მტრის მოქნეული ხმალი ააცილა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ფუშეს ცხოვრების მკვლევარის ლუის მადლენის მოწმობით, ნაპოლეონს ფუშეს თანამდებობაზე რუსტანის დანიშვნა უნდოდა.

ნაპოლეონის საუბრის დროს ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვებში კავკასიური სისხლი ჩქეფდა. მან კარგად იცოდა, რომ წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო.

შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან. დადიანების ყოფილ საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. როცა ის წმინდა ელენეს კუნძულზე მოწამლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი პარიზში ინახება, მეორე კი ზუგდიდში, დადიანების საგვარეულო მუზეუმში. ისიც ცნობილია, რომ აშილ მიურატი დადიანების სიძე იყო, სალომე დადიანის მეუღლე.

ნაპოლეონი დიდ პატივს სცემდა პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის ჯარის უნიჭიერეს გენერალს. როდესაც ნაპოლეონს ბაგრატიონის გარდაცვალების ამბავი უთხრეს, მან გლოვის დუმილის წუთი გამოაცხადა და მუხლმოდრეკით პატივი სცა მის ხსოვნას.

1840 წლის 15 დეკემბერს, წმინდა ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის ცხედარის გადმოსვენებაზე დამსწრე საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი, განსცვავებულ აღმოსავლურ ტანისამოსში გამოწყობილი — ეს იყო უსაზღვროდ დანაღვლიანებული როსტომი-რუსტანი რაზმაძე, რომელმაც ნაპოლეონის ნეშტს უკანასკნელი პატივი მიაგო, ხუთი წლის შემდეგ თვითონაც აღესრულა. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონი წარმომავლობით ბასკ-ივერიელი იყო. ალბათ ამიტომაც ნაპოლეონისა და რუსტანის ურთიერთობა იმპერატორისა და მისი დაცვის უფროსის ურთიერთობას კი არ გავდა, არამედ ეს იყო ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა.

P.S. *ბატონმა კლიმენტი შელიამ კოლხეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე ბოლო პერიოდში გამოაქვეყნა ნაშრომები: "კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე" (ტირაჟის ბეჭდვა ამჟამადაც გრძელდება), "კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება", რომელიც წარმოადგენს გამოსაცემად გამზადებულ 800-გვერდიანი წიგნის "კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება. კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი"-ს გეგმა-კონსპექტს. აღნიშნული ნაშრომის გამოცემა, რომელსაც ერთვის 100 ფოტოსურათი, ვერ ხერხდება საგამომცემლო ხარჯების სიმწირის გამო. ნაშრომის ხანდაზმული, შრომაში ჯანგაცვეთილი, გლაუკომის სამჯერადი ოპერაციის შემდეგ თითქმის თვალებდაშრეტილ ავტორს ერიდება სპონსორის ძებნისა — ვინმეს თხოვნით მიმართოს, ხოლო ავტორის მრავალრიცხოვანი მეგობრები, მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, ჯერჯერობით ვერას გახდნენ.*

გაზეთი "ილორი" კი დიდ მადლობას მოახსენებს ბატონ კლიმენტი შელიას უაღრესად საინტერესო მასალების მოწოდებისათვის და ახალ ინიციატივებს ელის მისგან!

კლიმენტი შელიას!

როგორც ყველა, შენც პატარა
დაიბადე,
თუმცა დაგყვა სიყვარულის
დიდი ფუთა;
მკერდში გული, ბუმბერაზი
გული გიძგერს,
სამშობლოსთვის თავდადება
შენებრ უნდა!
კითხვაც არ უნდა შენს ჯიშს
და ჯილაგს,
ბაგეზე გიჩანს სიტყვა ცხოველი,
ღმერთმა გიცხონოს დიდი მამა
და
ღმერთმა გიცხონოს დედა —
მშობელი.
ვლოცავ იმ სოფელს, სადაც
გირწევდნენ
აკვანს მეგრული იავნანათი,
რაც წლები მეტი, მეტი გაგიხდა,
უფროდაუფრო აზრით განათდი.
ოთხმოცდახუთი ზამთარ-ზაფხული,
შემოდგომა და გამოზაფხული;
რამდენჯერ იყავ განსაცდელის
ჟამს,
რამდენჯერ იყავ გულ-
დაზაფრული...
სამშობლოს ბედით ეწამე ბევრ-
ჯერ,
ბევრჯერ დაგესხა ბედი მუხ-
თალი,
რკინის აბჯარი გაცვია ტანზე,
გაგიტანია მძიმე გუთანი.
ნეტავ, რამდენი კილომეტრიც
აქვს
გავლილი მაგ შენს საწერ
კალამსა?!
ქვეყნად რამდენი გზააბნეული
ზიარებია შენს ტკბილ სალამსა.
რამდენი ვიცი, უძილო დამით,
დარიგებული შენ რომ
გიხსენებს...
მოხუცდი, ცოტა მუხლიც
გღალატობს,
სული და გული კი ვერ
გისვენებს.
ღვთით დალოცვილსა შენს
სამეგრელოს
არ უღალატებს, ვიცი, გუმანი.
ღმერთმა უმრავლოს, ღმერთმა
უმრავლოს
შენებრ ერთგული ჭირისუფალი.
ვინც კი მოსულა ამ ქვეყანაზე,
არვინ ყოფილა დაუმიწარი,
საქმე ის არის, შთამომავლობას
სახელი დარჩეს დაუვიწყარი.
ცოტაა, განა, ოთხმოცდახუთი,
მაგრამ ჩვენ გვინდა მეტი და
მეტი;
იცოცხლე დიდხანს, იყავი ქვეყ-
ნად,
შეუდრეკელო, ჩვენო კლიმენტი!
დიდო კოლხეთო, შვილი
გახსენებს,
მუქთად არ ღვრილა შენი
ოფლიო,
შენა ხარ თურმე საწყისი ქვეყ-
ნის,
შენგან შექმნილა მთელი
მსოფლიო.
რაც კი იაზრა, რაც შეუქმნია,
არ გამადლის და ყველა შენია...
შენ, სამეგრელო, დიდო კოლხე-
თო,
ღმერთმა გიცოცხლოს კლიმენტ
შელია!!!

ჯემალ ჯიქია

ნარკომანია საკუთარი სიკვდილით ტკბობა

წამალდამოკიდებულება ანგრევს ადამიანის ორგანიზმს. იწვევს ფსიქიკურ პრობლემებსა და აზიანებს თავის ტვინის უჯრედებს, რასაც სავალალო მდგომარეობამდე მიჰყავს წამალდამოკიდებული.

ოცდამეერთე საუკუნეში, ადამიანს ძალიან უჭირს ჯანმრთელობის შენარჩუნება. თანამედროვე სამყარო სავსეა ხმაურით, შხამიანი გამონაბოლქვებითა და სტრესით. აღნიშნულ სირთულეებს შეუძლიათ, ნებისმიერი ჩვენგანი ამოაგდოს ცხოვრების ჩვეული რიტმიდან. სუსტი ნებისყოფის მქონე საზოგადოება კი ძალიან ადვილად ჰყვება ცდუნებას და პრობლემების თავიდან არიდებას ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით ცდილობს. სტატისტიკის თანახმად, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა რაოდენობა, დღითი დღე იზრდება.

მსოფლიო ბაზარზე, ყველაზე მოთხოვნადი ნარკოტიკი ჰეროინია. მსოფლიოში 11,3 მილიონი ადამიანი წელიწადში 340 ტონა ჰეროინს მოიხმარს. რომლის 90 პროცენტი ავღანური წარმოშობისაა. ნარკომანების სამედიცინო დაწესებულებებში, მიმართვის 60 პროცენტი ჰეროინზე მოდის, რადგან ჰეროინი ადამიანის, ყველაზე სწრაფ ფიზიკურ და ინტელექტუალურ დეგრადაციას იწვევს და ნარკოტიკებით სიკვდილიანობის ყველაზე მეტი პროცენტიც მასზე მოდის.

ჰეროინის გაყიდვები, მსოფლიო ბაზარზე 56 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. ეს თანხა ძირითადად ტერორისტებს, კრიმინალებს და კორუმპირებულ რეჟიმებს კვებავს. იგი ავღანეთის თალიბების შემოსავალის ძირითადი წყაროა.

"გაერო"-ს მონაცემებით, ამიერკავკასიაში წელიწადში 11 ტონა ჰეროინი შემოდის ორი ძირითადი მარშრუტით I. ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი — 9 ტონა და II. ავღანეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი — 2 ტონა. აქედან, 7 ტონა საქართველოს საზღვაო პორტებიდან (ძირითადად ფოთის პორტი) გადის ევროპაში. რეგიონში რჩება 4 ტონა ჰეროინი.

ადვილი საანგარიშოა, რომ საქართველოზე მოდის რეგიონში მოხმარებული ნარკოტიკების მინიმუმ 59 პროცენტი ანუ 2,4 ტონა ჰეროინი. აქედან გამომდინარე, საქართველოში წელიწადში მოძრაობს 9-10 ტონა ჰეროინი.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში 1 ნარკომანი წელიწადში მოიხმარს მინიმუმ 30 გრამ ჰეროინს, საქართველოში ჰეროინის მომხმარებელთა რაოდენობა 80 00—ია, რასაც ექსპერტთა შეფასებაც ემთხვევა. საქართველოს 1000 მოსახლეზე ჰეროინის მოხმარებით მსოფლიოში 1 ადგილზეა (17 მომხმარებელი 1000-ზე).

მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, წამალდამოკიდებულ საზოგადოებას არ აქვს საშუალება **„მაღალი ხარისხის"** ნარკოტიკი მოიხმაროს. ანალოგიური პრობლემა საქართველოშიც აქტუალურია. ამის გამო, ნარკოტიკის მომხმარებლები მიმართავენ ისეთ ხერხებს, როგორებიცაა, ტოქსიკომანია, ანუ ლტოლვა, არა მარტო ზოგიერთი ნივთიერების შესუნთქვით გამოწვეულ ეიფორიისაკენ, არამედ ფსიქოტროპულ, დამამშვიდებელ და საძილე ნივთიერებების მიმართაც. დადგენილია, რომ მოზარდთა 7-10 %-ს ერთხელ მაინც აქვს შესუნთქული ესა თუ ის ინჰალანტი.

წამალდამოკიდებულება ანგრევს ადამიანის ორგანიზმს. იწვევს ფსიქიკურ პრობლემებსა და აზიანებს თავის ტვინის უჯრედებს, რასაც სავალალო მდგომარეობამდე მიჰყავს წამალდამოკიდებული.

ნარკოტიკების მოხმარება, თავის ტვინის დაზიანებას იწვევს, რაც ვლინდება მეხსიერებისა და აზროვნების დაქვეითებაში, ემოციური აშლილობების განვითარებაში, ნებისყოფის დაქვეითებასა და არაკონტროლირებად ქცევაში. ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ხშირია გულსისხლძარღვთა, რეპროდუქციულ და იმუნურ სისტემათა, ღვიძლისა და სახსრების დაზიანება. ნარკოტიკების ინფექციური მოხმარება არის უკურნებელი ინფექციური დაავადებების — შიდსისა და ჰეპატიტების — გავრცელების მთავარი მიზეზი. საქართველოში აივ ინფექციით დაავადებულთა თითქმის ორი მესამედი ნარკოტიკების მომხმარებელია, ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ყოველი მეორე დაავადებულია C ჰეპატიტით.

სპეციალისტების თქმით წამალდამოკიდებულება განკურნებადია. პირველ რიგში აუცილებელია დიდი ნებისყოფისა და მყარი ალტერნატივის გამომუშავება. ამჟამად საქართველოში გარდა ხანგრძლივი რეაბილიტაციური პროგრამებისა, მოქმედებს ყველა სახის მკურნალობა ნარკომანიის წინააღმდეგ, რაც კი ცნობილია მსოფლიოში. ეფექტი დამოკიდებულია პაციენტის სურვილზე, თუ რამდენად სურს მას უარი თქვას თვითმკვლელობით ტკბობაზე.

იდეა
ეროვნული
ინფორმაციისა

არაბული რევოლუციური ცუნამი

გარედან მართული პოლიტიკური პროცესი თუ დაჩაგრული ხალხის პოლიტიკური ემანსიპაცია

"რევოლუცია პროგრესის ბარბაროსული ხერხია"

ჟან ჟორესი

დიდი ხნის წინ თომას პეინმა ბრძანა: **"ხალხის განუყოფელი უფლებაა ნებიემიერ დროს მოსპოს მისთვის მიუღებელი მმართველობის ფორმა და შეცვალოს იგი მისი ინტერესების, სურვილის და ბედნიერებისაკენ მისწრაფების შესაბამისი ახალი ფორმით".** როგორც ჩანს ეს სიტყვები ყველაზე უკეთ არაბული სამყაროს წარმომადგენლებმა გაითავისეს და უმეტეს შემთხვევაში სისრულეში მოიყვანეს კიდეც. ვგულისხმობ ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რომელიც რევოლუციურ ცუნამად თავს დაატყდა არაბულ სამყაროს.

ნავთობით გაჟღენთილ არაბულ მიწაზე (უფრო სწორად – ქვიშაზე), უდაბნოს სურნელებით გაჯერებული არაბული რევოლუციის **"თესლი"** უხვმოსავლიანი გამოდგა (**"საქართველოს სოფლის მეურნეობის მომავლად"** აღიარებული ამერიკული ჰიბრიდული სიმინდისა არ იყოს). ერთმანეთის მიყოლებით დაემხო და შეირყა ავტორიტარული რეჟიმები: ორი რეჟიმი (ტუნისი, ეგვიპტე) უკვე დაემხო; ლიბიას კი დიდი ხანია ლამის მთელი განვითარებული და **"ატომიზირებული"** სამყარო ბომბავს და სავარაუდოდ დღე-დღეზე დაემხობა. ყოველ შემთხვევაში, მთელი რესურსები რომ დაახარჯონ და მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლიც რომ გაიზარდოს (ასე იყო ბალკანეთის ომის დროს, სადაც ნატოს იერიშებს ბელგრადის დაბომბვისას 10.000 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა) საფრანგეთი, აშშ და ბრიტანეთი (ახლა უკვე ნატოც) იმიჯის შესანარჩუნებლად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მოეშვებიან; სხვა არაბულ ქვეყნებში კი (სირია, იემენი, იორდანია, ბაჰრეინი, ალჟირი, ლიბანი, ომანი) რევოლუციის აჩრდილი დაძრწის, სადაც რევოლუცია შეიძლება სისხლით შეიღებოს.

მუდმივად არის საუბარი, რომ არაბული რევოლუციების უკან **აშშ** დგას და სწორედ ის განსაზღვრავს ვინ წავიდეს და დარჩეს, სად შეიცვალოს ხელისუფლება და სად არა. მაგრამ საკითხის ასე ცალსახად შეფასება არასწორია. რადგან ავტორიტარული რეჟიმების ძალმომრეობით გაწამებული ხალხის ბრძოლა სამართლიანობისათვის და თავისუფლებისათვის არ შეიძლება სხვა ქვეყნის მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ პროცესად შეფასდეს. თუმცა **აშშ** უმეტეს შემთხვევაში წარმართავს და გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს პოლიტიკურ პროცესებს. ამის ნათელი მაგალითია ლიბია. მაგრამ **აშშ**-ს აქტიურობა ზოგიერთ შემთხვევაში უფრო იძულებითი ნაბიჯი იყო, ვიდრე კარგად დაგეგმილი პოლიტიკური აქტი. მაგალითად, ასე მოხდა ეგვიპტის შემთხვევაში.

ზოგადად რევოლუცია არ არის თვითშემოქმედებითი პროცესი. ის უფრო დაჩაგრული და შევიწროებული ხალხის რეაქციაა – ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული. ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხის მასების წინაშე ნებისმიერ რეჟიმს შეიძლება ძალა გამოეცალოს და დაემხოს კიდეც. მაგრამ არის რევოლუციური ტალღა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებებს ვირუსივით გადაედება ხოლმე. ასე მოხდა არაბული სამყაროს შემთხვევაში.

პირველად არაბული რევოლუციის დროშა ტუნისელებმა ააფრიალეს. ისტორიული კართაგენის მიწაზე რევოლუციის ქარმა დაჰქროლა და ჰანიბალის **"შემკვიდრე"** ბენ ალი თან გაიყოლია. ტუნისელი ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვის წინაშე ბენ ალი უძლური აღმოჩნდა და ქვეყანა კუდამოძუებულმა (თუმცა, ოქროს ზოდებით დატვირთულმა) დატოვა. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ხოსნი მუბარაქიც. ტაჰრიდის მოედანზე სისხლიანი დარბევების მიუხედავად იძულებული გახდა ძალაუფლება დაეთმო. მუბარაქი ისეთივე სისასტიკით დაერია ხალხს, როგორც ნაპოლეონი სფინქსის ქანდაკებას, თუმცა ავტორიტარი პრეზიდენტის ბასტონადური ძალმომრეობის (**ბასტონადა** – აღმოსავლეთში გავრცელებული უმოწყალო დასჯის ფორმაა) მიუხედავად ეგვიპტელები არ დაიშალნენ, ისევე, როგორც არ დაიშალა ნაპოლეონის მიერ დაცხრილული სფინქსის ქანდაკება. ეგვიპტელი ხალხის ერთიანობამ ავტორიტარული პირამიდის გვირგვინის – მუბარაქის ჩამოგდება შეძლო.

და მაინც, საინტერესოა, რა განაპირობებს პოლიტიკური პროცესების რევოლუციურ განვითარებას არაბულ სამყაროში?

– ბევრი რამ!

კერძოდ კი, როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორებს რაც შეეხება: უცხო ქვეყნები დაინტერესებული არიან ენერგორესურსების (ნავთობი, გაზი) და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გაკონტროლებით; რაც შეეხება შიდა ფაქტორებს: დიქტატურა და ტირანია ლამის **"საფირმო"** ნიშანია არაბული სამყაროს ქვეყნების. აქ დემოკრატიული რეჟიმი არც არსებობს და არც უარსებია არასოდეს. ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხს კი ინტენსიური ურთიერთობა აქვთ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან, რაც ასაზრდოვებს კიდეც რევოლუციურ მუხტს: თუ კი ევროპა იმართება დემოკრატიული პრინციპებით, რატომ არ შეიძლება ამგვარადვე იმართებოდეს ჩრდ. აფრიკა და არაბეთის ნახევარკუნძული? ეს აზრი ყველაზე მეტად აქტუალურია დღეს არაბებში.

ასევე უმთავრესი ფაქტორებია ხალხის იზოლირება პოლიტიკური პროცესებისაგან, დემოკრატიული არჩევნების პრაქტიკულად არარსებობა და ა.შ. ზოგადად არჩევნებში მონაწილეობა და ამ გზით ხელისუფლების ცვალებადობა ადამიანს სრულფასოვან მოქალაქედ და პიროვნებად აგრძნობინებს თავს. მაგრამ თუ ეს უფლება შეზღუდული აქვს, რევოლუციის დროშა მაშინ აფრიალდება ხოლმე.

ხელისუფლების შესაცვლელად ხალხს ორი გზა აქვს: არჩევნები და რევოლუცია. ხელისუფლების შეცვლის უმთავრესი გზა არჩევნებია, მაგრამ თუ ეს სამართლიანი გზა ხელისუფლების მიერ არის გადაკეტილი, მაშინ თავს იჩენს ალტერნატიული გზის **"გაყინვის"** სურვილი, რომელსაც რევოლუცია ჰქვია. ამრიგად, რევოლუციაც სამართლიანი გზაა, თუ მის გამომწვევ მიზეზებს ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკა განაპირობებს.

ზოგადად დიქტატორული რეჟიმების რევოლუციური გზებით შეცვლა შედეგიანი იქნება მაშინ, როცა ხელისუფლებასთან ერთად მმართველობის ფორმა ძირეულად შეიცვლება, კერძოდ, როცა მოხდება მისი დემოკრატიული ფორმით ჩანაცვლება. მაგრამ არსებობს კი არაბულ ქვეყნებში დემოკრატიზაციისათვის აუცილებელი რესურსი?

– ვფიქრობ, რომ არა, რადგან დღეს ჩვენს წინაშე სულ სხვა რეალობაა: ტუნისის შემთხვევაში, მართალია, ბენ ალი წავიდა, მაგრამ მისი ხელისუფლების ზოგიერთმა ჩინოვნიკმა ხელისუფლებაზე გავლენა მაინც შეინარჩუნა. ეგვიპტის შემთხვევაში კი სამხედროების ხელში გადავიდა მთელი ძალაუფლება, ხოლო სამხედროების მიერ დემოკრატიული რეფორმების გატარება ნაკლებად სავარაუდოა.

გარდა ამისა, არაბულ სამყაროში სიტუაციის კიდევ უფრო მეტად დაძაბვაა მოსალოდნელი. კერძოდ, როცა ნატოს ავიაცია ლიბიას, კადაფის პირსისხლიანი რეჟიმის ასალაგმად, მასიურად ბომბავს, მკვეთრად გააქტიურდნენ ოპოზიციური ძალები სირიაში, სადაც, ბუნებრივია, სისხლიან შეტაკებებს აქვს ადგილი.

თუ კი სირიაში ლიბიის მსგავსი სცენარი განმეორდება, შეძლებს აშშ და ნატო სირიის დაბომბვას? რა თქმა უნდა, ამას ვერ შესძლებენ, რადგან, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდებიან, რაც შეიძლება გახდეს კიდეც ნატოს ერთიანობის რღვევის მიზეზი. გარდა ამისა, სირიაზე სერიოზულ გავლენას ფლობს ირანი, რომელიც მარტივად არ დახუჭავს თვალს სირიის დაბომბვაზე. ყოველივე ამან, შესაძლებელია, რეგიონში ძალთა ბალანსი შეცვალოს და ანტიდასავლურმა განწყობებმა უფრო რადიკალური, მასობრივი ხასიათი მიიღოს.

რაც შეეხება **"არაბული რევოლუციური ცუნამის"** საქართველოში შემოჭრას, ვფიარობ, ნაკლებ სავარაუდოა. თუმცა, აპრილის მეორე ნახევრიდან (აღდგომის დღესასწაულის შემდეგ) პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციაა (ახალი ტემპით) მოსალოდნელი. მართალია საზოგადოებაში არსებობს ხელისუფლებისადმი უნდობლობის და უკმაყოფილების განცდა, მაგრამ ამის საპირწონედ რამდენად იქნება ნდობააღჭურვილი დაქუცმაცებული ოპოზიცია, რამდენად ექნება საზოგადოებას საპროტესტოდ გამოსვლის სურვილი, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები იქნება. ასევე მთავარია, რას შესთავაზებს საზოგადოებას ოპოზიცია. ვფიქრობ, აქცენტი გაკეთდება **"პროგრამა-მინიმუმზე"** და **"პროგრამა-მაქსიმუმზე"**. **"პროგრამა-მაქსიმუმი"** საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ბრძოლა იქნება, ხოლო **"პროგრამა-მაქსიმუმი"**-ს მიზანი ხელისუფლების დაუყოვნებელი შეცვლა. პირველ (პროგრამა-მინიმუმი) შემთხვევაში ოპოზიცია ვერ მოახერხებს საზოგადოების ფართო მასების დარაზმვას, რადგან საზოგადოების პოლიტიკური **"შიმშილის"** დაკმაყოფილებას მარტო სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა (რაც ნაკლებ სავარაუდოა რომ მოხდეს) ვერ შეძლებს. ხოლო **"პროგრამა-მაქსიმუმი"** შეიძლება გახდეს საზოგადოებაში საპროტესტო მუხტის გამომწვევი, მაგრამ ეს უფრო რევოლუციის პრელუდიის სიმულაცია იქნება, ვიდრე სასურველი შედეგის მისაღებად დაწყებული პროცესი, რადგან გადამწყვეტ მომენტში ოპოზიციას ძალა და გამბედაობა არ ეყოფა ასეთი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ასაღებად.

მართალია, ქართველებს ბევრი უცნაურობა გვახასიათებს, მაგრამ განსაკუთრებული უცნაურობით ქართული პოლიტიკა გამოირჩევა (თავის წაჯექ-უკუჯექობასთან ერთად). არავისთვის უცხო არ არის, რომ საქართველოში პოლიტიკას სეზონურობა ახასიათებს (ზამთარში დაბუდებულ სიმყუდროვეს ზაფხულის მოახლოებით გათამამებული ოპოზიციის გააქტიურება არღვევს და თბილი ქვეყნებიდან ჩამოფრენილი მერცხლებივით იწყებენ ჭიკჭიკს) და ამინდის დათბობასთან ერთად პოლიტიკური ტემპერატურაც მატულობს. ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს ოპოზიცია. როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის ნაწილი რევოლუციის გარდაუვალობაზე ალაპარაკდა, რა თქმა უნდა, არაბების მიბაძვით (ქართველები ხომ ყოველთვის სხვას ვბაძავთ, რადგან კრეატიულობის დეფიციტს განვიცდით). მაგრამ ეს მიბაძვა რამდენად იქნება **"პროგრამა-მაქსიმუმის"** უზრუნველყოფისათვის საკმარისი, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, დიდი ალბათობით, ეს **"მიბაძვა"** პაროდიას უფრო ემსგავსება და კიდევ უფრო მეტად გაიზრდება საზოგადოებაში ფრუსტრაციული განწყობა.

ზურაბ ჯამბურია,
პოლიტოლოგი

ხანგრძლივი პაემანის საფასური წინასწარ უნდა გადაიხადონ

„მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემანის განხორციელების წესის" შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანების თანახმად, ხანგრძლივი პაემანით სარგებლობა ხორციელდება მსჯავრდებულის ან სტუმრის ხარჯზე უნაღდო ანგარიშსწორებით. ასევე, ერთი ხანგრძლივი პაემანის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით, საფასურის გადახდა კი უნდა მოხდეს არაუგვიანეს დანიშნული პაემანის წინა სამუშაო დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი პაემანის საფასურის გადახდის შემდეგ შეხვედრამდე მსჯავრდებულს დაეკისრება დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელი, ან პატიმარი გადაყვანილი იქნება საკარანტინო რეჟიმში, მას ხანგრძლივი პაემანი აღარ მიეცემა, ხოლო გადახდილი თანხა უნაღდო ანგარიშსწორებით დაუბრუნდება გადამხდელ პირს.

ხანგრძლივი პაემანით სარგებლობის თაობაზე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია წერილობით უნდა იქნეს ინფორმირებული ორი კვირით ადრე.

დაწესებულების ადმინისტრაცია ხანგრძლივი პაემანის მოთხოვნაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, უზრუნველყოფს ხანგრძლივი პაემანის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზეც განმცხადებელს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს 10 დღის ვადაში.

ტურიზმი ვერ აგვაყვავებს

დღეს ტურიზმის ეროვნული სააგენტო უკრაინაში საქართველოს ტურისტული პოტენციალის პრეზენტაციას გამართავს. ოდესაში წამყვანი უკრაინული ტუროპერატორები ინფორმაციას მიიღებენ საქართველოში ტურიზმის განვითარების მიზნით განხორციელებული პროექტების შესახებ.

ასევე, დაგეგმილია ტურისტულ ბიზნესში მოქმედი ქართულ-უკრაინული კომპანიების შეხვედრა. ქართული მხარე ამ ვიზიტისგან კონკრეტულ შედეგებს, მათ შორის, ერთობლივი ტურისტული პროექტების განხორციელებას ელოდება.

ეს პრეზენტაცია ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული გეგმის ნაწილია. სააგენტოს ხელმძღვანელ მაია სიდამონიძის განცხადებით, აქტიური მუშაობა მიდის სარეკლამო რგოლებზე, რომლებიც ქვეყანას ტურისტების მოზიდვაში დაეხმარება. სარეკლამო რგოლები ქართულ ტელესივრცეშიც იტრიალებს. იგეგმება გარერეკლამებისა და სარეკლამო ბანერების განთავსებაც მეზობელი ქვეყნების წამყვან ვებგვერდებზე.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ქვეყანას ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში ტურიზმის სექტორი დაეხმარა.

დღეს საქართველოში ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულია და მთავრობის პროგნოზით, მალე ერთ ქართველზე ორი ტურისტი მოვა. ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ტურიზმი ქვეყანას ვერ ააყვავებს.

„ტურიზმი ვერასოდეს ააყვავებს საქართველოს, თუნდაც მილიონობით ტურისტი მოაწყდეს. დიდი დრო არის საჭირო ტურიზმში ჩადებული ინვესტიციების დასაფარავად და მოგების მისაღებად. ამისათვის ამ დარგის სპეციალისტები დაახლოებით ორმოცდაათ წელს ასახელებენ.

ქვეყანაში ტურიზმის დომინანტობისას აუცილებელია ინფლაციის ძალიან დაბალი დონე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ამ სფერომ მოიტანოს მოგება და შვებად იქცეს მოსახლეობისთვის. ტურიზმი ისე ვერ ააყვავებს საქართველოს, როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება", – განაცხადა ექსპერტმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ საქინფორმთან საუბრისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველაფერი ჯაჭვია“

ბორჯი პირველი

— ფულით თუ ნაცნობობით დაიხსნეს თავი საშინელებისგან, — ჩაერთვება საუბარში სილოვანი, ეთერ დეის გამოტანილ, ხელსახოცში შეხვეულ თბილად შენახულ ღომს შეექცევა, თან თანამეინახედ მამაჩემი შეხიდებია.

თამშუქ მარღანია ყურს არ ათხოვებს შეზარხოშებული კარის მეზობლის კომენტარს და ამორჩეული ტემბრით გააგრძელებს:

— აგერ, ხრუშოვმა ხელის ერთი მოსმით წყალში ჩაუყარა ყოველი დამსახურება სტალინს. თუკი ისეთი დესპოტი და არაკაცი იყო, როგორსაც ეგენი ყროყინებენ, მაშინ ცამდე მართალი გერმანია გამოდის: ამათი ტირანიისაგან გავუნთავისუფლებივართ და სიძულვილის მაგივრად ფაშისტების თაყვანი გვმართებს. ჰა, რას გვეტყვი, თედოევიჩ?

ნაპო ბიძიას სიტყვაძვირობა ვახსენეთ, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თექვსმეტსაათიანი მუშაობის მანძილზე გვარიანად აქვს ნაყლურწი მსხლის არაყი. ამას ზედ დაერთვის ვახშმობისას მირთმეული თავანკარა ადესა, და კვლავ იმავე არყით რომ აგრძელებენ შრომა-მუსაიფს, ბუნებრივია, ლაპარაკის საღერღელი ამ გულჩათხრობილ კაცსაც აეშლება:

— ბრძენკაცი ხარ დათაევიჩ, — მსგავსი ინტონაციით ეხმიანება სოფლის აშუღს ნაპო ბიძია, — მაგრამ საკითხი იმდენად რთულია, ეგრე იოლად ვერ გაირკვევა. მე ისტორიკოსი ვარ და, დიახაც, მომეხსენება, რომ ჩვენი თაობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღიზარდა. რევოლუციური დოგმების ბრმა მიმდევრები გვეთქმის, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ნათელი გონება უბოძა ზეციერმა და ბოჩოლასავით როდი მიჰყვებიან, როგორც პროლეტარიატის ბელადების, ისე, გნებავთ— თვით ქრისტეს მოძღვრებებს.

ნადი სულგანაბულია. ოფიციალური ხელისუფლების კრიტიკა ესალბუნება თითოეულს, თუმცა საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას ყველა ერიდება. ჯერაც ბოგინობს ოცდაჩვიდმეტის ხსოვნა.

— თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობამ განვითარების რამდენიმე საფეხური გამოიარა. ამას ადასტურებს არქეოლოგია, ანთროპოლოგია, მეცნიერების სხვა დარგები. მარქსიზმი აღიარებს საკითხის ასეთნაირ გაშუქებას: ადამიანი პრიმიტიული ორგანიზმის მუდმივი განვითარების შედეგია, ანუ უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანი დიალექტიკური პროცესების პროდუქტია, შრომის ნაყოფი. ეს დებულება ჰეგელისგანაა აღებული, რაც შემდგომში ინგლისური პოლიტეკონომიითა და ფრანგული სოციალიზმით გამდიდრდა და საბოლოო ჯამში მივიღეთ მარქსის თეორია კლასთა შორის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი სიტუაციის კაცს, რომელსაც უთოც კი სოციალიზმის უპირატესობას და კომუნიზმის გარდუვალობას გეჩიჩინება, ძნელია განსხვავებული აზრის საზოგადოდ გამოხატვა, მით უფრო — ქადაგება, რადგანაც ამისთანა შემთხვევაში დახვრეტა თუ არა, თავისუფლების აღკვეთა განაღდებული გაქვს, — ნაპო ბიძია ხარბად მოქაჩავს სიგარეტს და ხველების მწკრივის შემდეგ ისევ დააღებს პირს სიტყვის გასაგრძელებლად, თუმცა უმცროსი ძმა დაასწრებს:

— მერედა, საციმბიროდ გვიმეტებ, შე კაცო?! თავი თუ არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიცოდე, — სილოვანი პირდაპირია. ეს სითამამე არყისგანაც მოდის და კიდევ ზოგი შინაგანი უთანხმოებისგან, — სახელმწიფომ იმისთვის გასწავლა, რომ ყელში დანა გამოგესვა?

ნაპო ბიძია წაუყრუებს უმცროს ძმას.

— ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ ჩვენს გარემომცველ კოსმოსზე, დროსა და სივრცეზე, რომლებიც წარმოუდგენელი მასშტაბებითა და კანონზომიერებით ექვემდებარებიან, განსაზღვრავენ ერთმანეთს. უფლის ხელი ურევიაო, იტყვი გადაჭრით და კონტრარგუმენტიც იქვე გაჩნდება. დიალექტიკის შედეგია ყოველივეო, განაცხადებდა უმალ წინააღმდეგობათა კედლებიც აღიმართება. სტალინის კულტის გამომზეურება და დაგმობა ხრუშოვისგან, ეროვნულ დაჩაგვრად აღვიქვით ქართველებმა და ასეულობით უცოდველი სტუდენტი შეეწირა ამ პროტესტს, მაგრამ მე სხვანაირად ვიძიებ შურს: უამრავი ჯემალ გამახარიასნაირი მოწაფე მყავს გაგიდაში, რომელთაც საპროგრამო რუსეთის ისტორიის ნაცვლად ეროვნულს ვუტენი თავში. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, დათაევიჩ, ცხადია, სოციალისტური ქვეყნის წარმოშობამაც შეამზადა ის არნახული წყეული ომი. ზოგი თანატოლი თვალს ვერ მისწორებს, ძუთი რომ წაიხდინა ფეხი, ძალად დაიკოჭლა თავი, ან ფრონტს რომ გაქცეოდა, ხელი გაიუქმა და მიუხედავად იმისა, ნაძირალები არიან ლაჩრული ბუნების წყალობით, ბედნიერად მიმაჩნია ყველა, ვინაიდან ის საშინელებები ვერ იხილეს, მე რომ გამოვიარე, ადამიანის სისხლი არ დაუღვრიათ...

— ომში ყოფნით არაფერი წაგიგია შენ. ეზოკარი უფროს ძმას ჩაგბარე. ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაგრიცხეს. სკოლის დირექტორი ხარ, ბოლოს და ბოლოს, როგორც სანდო პიროვნება. ეს უმადურობა ნეტავ, საიდან?!

ნაპო ბიძია მიხედავს წაგრძელებულ მაგიდას, სადაც სილოვანის გარშემო უკვე რამდენიმე მეზობელს მოუყრია თავი მამაჩემით დაწყებულს: ეთერ დეის, იაშა აშორტიას, ქანქანესას, ხუტა ხუფენიას თუ შოთა მარღანიას. სხვები არჩევენ გულმოდგინედ. ნაპო ბიძია ელვისებურად ქორულ მზერას ესვრის სისხლხორცს და ძველებური ტემბრით განაგრძობს:

— ჰიტლერი რომ კაციჭამია იყო, ამაზე დავა მკრეხელობად მიმაჩნია. წმინდა რასის თეორია იულიუს კეისრის რომშიც ღვიოდა და უფრო შორეულ — არისტოტელეს ელადაშიც, როცა დანარჩენ ხალხებს ბარბაროსებს ეძახდა ერთიცა და მეორეც, უკიდურესი სიძულვილის გამო, მაგრამ მაშინ კაცობრიობას ჯერაც არ ემუქრებოდა მასობრივი განადგურება და ის ანტიადამიანური ღვარძღი განუხორციელებელი დარჩა თითქოს. საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, რა, ვითომ არ მოახდენდა გერმანია დანარჩენი მსოფლიოს ანექსიას? ვისაც „მაინ კამპფი“ წაუკითხავს, ნამდვილად მიხვდება თუ როგორი ანტისემიტიზმი ათუხთუხებდა იმ შერეკილ შიკლგრუბერს. სხვათა შორის მისი გვარი ფუნაგორია, ნეხვის ჭიაა ჩვენებურად.

— ანტისემიტიზმი რაღაა? — ეკითხება მამია რატია.

— ებრაელების სიძულვილი, — პასუხობს მიუბრუნებლად ნაპო ბიძია.

გუმანი მიგრძნობს, საუბარში შემოჭრილი სუსხი შესაძლოა მკაცრ ზამთარში გადაიზარდოს. მახსენდება ამას წინეებზე ძმების შელაპარაკება გაჩაღებულ ღუმელთან გამოტანილ ტაბლასთან:

ნოქრობა შენი საქმე არ არისო, ეუბნება სილოვანს ნაპო ბიძია.

ყველა ხომ ვერ იქნება ნასწავლიო, იმან.

სწავლა არასდროს არის გვიანო, უფროსმა ძმამ, შენი გაუთავებელი ლოთობა მადარდებს. ყოველდღიურად რა გასმევს ჩონჩორო ჯოჯუასთან, აქსენტ გითოლენდიასთან, შალიკო წარაღბაიასთან და პართე აბშილავასთანო. მამაჩემს რატომღაც არ ახსენებს, თუმცა ისიც ამათი ამქრისაა. მერედა, კარტს თამაშობდ ღემოსწრება, ქორწილშია ეს თუ ისე, გასართობად. ცოლ-შვილის მომავლის წართმევის უფლებას არ მოგცემ, გაიგეო!

ბევრს შეეცდება ეთერ დეი, მაგრამ ვერაფრით მოაბრუნებს განაწყენებულ მაზლს.

— საბჭოთა კავშირი და კომუნისტობა მართლაც გადაულახავ ბარიერად აესვეტა გერმანულ ნაციზმს, — აგრძელებს ნაპო ბიძია, — და განადგურდა კიდეც. მეტს ვიტყვი, აღიგავა მიწის პირისაგან, თუმცა სტალინს არ დააცალეს სრული გამარჯვება მოეპოვებინა გერმანიაზე, დაიტაცეს მოკავშირეებმა, რათა ოდესმე ისევ გერმანია გაგვეჩხიროს ყელში ძვალივით.

— ე, ბიჭო, ხომ არ დაგიქირავებია ეს ხალხი? მოსავალი ოჯახში შემოგიზიდავთ, თოვლი ხომ არ არის, დააწვიმოს და დადნეს?! მოიპატიჟე მაგიდასთან და შეატკბე პურ-მარილი. ნახევარ ოტობაიას ჯერ ყანა აღებულიც არა აქვს, მაგრამ თავს არავინ იკლავს.

— ნაპო არაფერ შუაშია, — ესარჩლება არლენ ელიავა, — ჩვენ არ დავიშალეთ, მიტოვებად არ ღირდა.

ნაპო ბიძია შეცბუნებულია. წამოჭარხლება აშკარად დაეტყობა, მკერდის ისედაც ამოწეული ნეკნები უფრო ამოებურცება, თუმცა საკამათოდ შელერილ ძმას კვლავინდებურად უგანებს:

— დათაევიჩ, დავუშვათ წამით და ვივარაუდოთ, რომ გერმანია მოვლენოდა მსოფლიოს ბატონპატრონად? ამისთანა შემთხვევაში ოსვენციმების, ბუხენვალდებისა და დახაუს **„გმირობების“** ფონზე სრული განადგურება ემუქრებდა შავკანიან თუ ფერადკანიან რასებს. ასევე ნაწილობრივი მოსპობა გველოდა ჩვენც, თეთრკანიანებსაც. ებრაელებს კანის შეფერილობამ ვეღარ უშველა, ასე რომ, ნურავინ მოტყუვდება ქართველებს ხელისგულზე დაგვისვამდნენო. ჩვენი მდგომარეობის მაქსიმუმი მოსამსახურის, ქვეშევრდომის სტატუსის შენარჩუნება იქნებოდა, რათა გამრავლების უუნარო კასტრირებულ კასტას მონობის გვირგვინი დაგვედგა თავზე ერთხელ და სამუდამოდ. ვერც ჩეჩნები ეღირსებოდნენ მორჭმულ ცხოვრებას გერმანელების პარაპაშის პირობებში; ოქროს უნაგრიანი ბედაურები კი მიართვეს მათ გენერლებს სლავური მონობისგან განთავისუფლების მოლოდინში და ოცდაოთხ საათში შუა აზიაში ამოჰყვეს თავი დედაწულიანად, მაგრამ მერწმუნეთ, ისინიც ვერ ეღირსებოდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობას. მართალია, ჰეგელი კავკასიურ რასას, კონკრეტულად, ქართულ და ჩერქეზულ მოდგმას მიიჩნევს ევროპეიდულის წინაპრად, მაგრამ ეს ზღაპარი მალე დავიწყებას მიეცემოდა. ნაცისტური გერმანია სრული ჰეგემონიის პირობებში დაუშვებდა, გაახარებდა მასზე ხანდაზმულ ერს? დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო გენოციდის შემდეგ, ის ერთადერთი მოგვევლინებოდა შუამდინარული, ეგვიპტური თუ ბერძნულ-რომაული ფასეულობების მემკვიდრედ. ამით მოხდებოდა ისტორიის გაუგონარი ფალსიფიკაცია და არნახული დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

— გეყოფათ, კაცო, ფილოსოფოსობა. მოდით აქ, იმას აწი ბავშვებიც მოერევიან. სად არის ჭაავების ქალი? აქ მომგვარეთ მთვარესავით დედაჩემი და დანარჩენი მე ვიცი.

— პურ-მარილი არ გვაკლდა ჩვენ, — ამბობს თამშუქი, — განაგრძე თედოევიჩ. აი, რატომ ვაქვესკნელებ ხოლმე ლენინს და სტალინს.

— სულელმა ხრუშოვმა მიგიშვათ ნებაზე და რატომაც არა, მაგრამ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. გრიშა, — ეძახის ცოლის ბიძაშვილს, — მოხვალ თუ არა ბოლოს და ბოლოს?!

— მოვრჩებით, კაცო, გაკვეთილს და მოვალთ, აპა არა?!

ამჯერად ნაპო ბიძიას გაბრაზება მთელ სახეზე შემოენთება. სიმინდის ტაროს ენერგიულად მოისვრის კალათისკენ და ასხლეტილი ტაღანასავით გაბზრიალდება მთვარიანში. საუბარს მაინც არ წყვეტს:

— ნაცისტური ჭირი საბჭოთა კავშირმა შეაჩერა არსებითად და აწი თავად განსაჯეთ, ვუმადლოდეთ თუ არა მას ამის გამო. მაგრამ დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ, სანამ სოციალისტური რუსეთის მიზანსწრაფულობა არ დაგვიხატია. ჩვენში ფართოდაა დამკვიდრებული დებულება: ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური საზოგადოება, რომელიც სატყუარასავითაა შეთავაზებული მუსულმანური, ქრისტიანული თუ იუდეიზმის მიმდევარი ხალხებისთვის. ამ სატყუარათი დღემდე ერთ ტაბაკზე იკვებებიან ისინი; ხალხთა შორის მეგობრობას ქადაგებენ, ურთიერთპატივისცემას, ძმობას, მაგრამ ყველგან, ყოველთვის მაინც რუსეთის იარლიყით, რუსეთის პასპორტით გადიან და ვიდრე არ შეუგნიათ სახეზე ჩამოფარებული სოციალისტური ჩადრის მომაკვდინებლობა საკუთარი ინდივიდუალობის საწინააღმდეგოდ, დაპირისპირება ყოველთვის თვლემაში, ნირვანაში მყოფად მოგვეჩვენება;თუმცა, საკმარისია ერთხელ წაიბორძიკონ ამ ლამის ჭეშმარიტებად აღიარებულმა დებულებებმა, რომ წინააღმდეგობა ბენზინივით იფეთქებს აზიაშიც, კავკასიაშიც, ბალტიისპირეთსა თუ საკუთრივ რუსეთში. ამ რეალობას ვერავინ გაექცევა, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოებებს აქამდე ეროვნული ფასეულობანი წარმართავდნენ და არა — კოსმოპოლიტური სულისკვეთებანი. რაც იდეალია შორეული მომავლის თვალსაწიერიდან, სრულიად მიუღებელია ერისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის. მას არ შეუძლია მეზობელი ქვეყნის ინტერესებს ანაცვალოს საკუთარი. ასეთი ალტრუიზმი მხოლოდ პიროვნებისთვის, ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, თანაც მაღალი ზნეობრივი ნორმების მატარებლისთვის. გაივლის წლები და სოციალისტური პრინციპებით თუ გავაგრძელებთ ცხოვრებას ასწლეულების მანძილზე, რუსული შეიწოვს თითოეული რესპუბლიკის და ავტონომიური წარმონაქმნის ეროვნულ საგანძურს. ისეთნაირად დამკვიდრდება და გაძლიერდება რუსული ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მოთხოვნილებებში, რომ არასდროს მოგვინდება საკუთარის აღზევება. ციმბირში ჩვენს თვალწინ გადაშენდა ათეულობით ეთნოსი, ისე რომ, განგაშის ზარი არავის შემოუკრავს, არც ასიმილირებულს და ცხადია — აღარც ასიმილატორს. ერთეულები თუ აღდგომიან წინ გარუსების პოლიტიკას, უმალ კონცლაგერში გაუქანებიათ და იქ ამოხდომიათ სული. გერმანული ნაციზმის პოლიტიკა დავახასიათეთ: მსოფლიოს სწრაფი, ელვისებური გარდაქმნა, ერთსახოვან, გერმანულენოვან, ევროპეიდიულ რასად. იგივეს მოიმოქმედებს საბჭოთა რუსეთი, ოღონდ რევოლუციური მეთოდის საწინააღმდეგოდ ევოლუციის კანონები მოუმარჯვებია. შედეგი ორივეგან ერთნაირია გერმანია-რუსეთის სასარგებლოდ, განსხვავება მხოლოდ დროშია. ნაცისტური სულსწრაფობა მსოფლიო ბატონობის გზაზე შეცვლილია ვითომცდა თავმდაბლური, ჰუმანიზმით შენიღბული რუსული შოვინიზმით, თანდათან, მიზანმიმართულად რომ გიკარგავს სახეს და ეროვნულ თავმოყვარეობას. სწორედ ამაზეა თქმული: გინდ მგელს შეუჭამიხარ და გინდ — მგლისფერ ძაღლსო.

შეზარხოშებული ნადი შუაზე გაყოფილა. ახლები სილოვანისკენ გადაბარგებულან, ასაკმოყრილნი დარჩენილან პოსტზე თამშუქ მარღანიასა და არლენ ელიავას თამადობით.

ოთხასი ფუთი სიმინდის მოსავალია აღებული, ოჯახში შემოზიდული. მართალია, ძნებად შეკრული ჩალა რამდენიმე დღეს დაყოვნდება ყანაში, სანამ მთლად გააბრეშუმდებოდეს. მერმე ჭოლოკებით ჰაერში აიტაცებენ და ნაწილი თხმელებზე ჩამოკონწიალდება, დანარჩენი კი დაზვინდება მოხერხებულ ალაგას.

სილოვანის სეპარატისტულ მობრძანებას ზოგი მანდილოსანიც აუბამს მხარს. წამოიშლებიან, წელში სწორდებიან. ნაპო ბიძიაც დროულად აუღებს ალღოს დედაკაცების მდგომარეობას. ჯორკოდან წამოიმართება. თხელია, ლანდი გასდისო იფიქრებთ. ძვალმსხვილი ნუგზარ ელიავა ურევია ნადს, ბახვა, სხვანი გალეულ სანთლებს ჰგვანან.

— მიტოვებად არ ღირს, — ჯიუტობენ თამშუქ მარღანია და არლენ ელიავა.

გავსებული მთვარე მიცურავს ვარსკვლავებში. ღრუბლის ფთილა არსაიდან ილანდება. თხელი ნისლი გაწოლილა სერებსა და თხილნარების მწკრივებში. შეთრთვილულა, შეკინკღლულა მოლი, ფოთლები.

— ხვალ მოვამთავრებთ, — ამბობს მირია ხუფენია და სუფრისკენ მიიწევს — გასარჩევი ორმოცდაათიოდე ფუთია დარჩენილი.

ბაბუა თომასგან მისწავლია: ყოველი ფუთი ასი ტაროსგან შედგება. ორმოცდაათი ფუთი ხუთიათასი ტაროა, ათი კაცისთვის ხუთასი ტაროს გარჩევა და კიდევ— ოცდახუთი კალათის ატანა მეორე სართულის აივანზე. ცამეტი შოთა მარღანიას მოუწევს, თორმეტი — ხუტა ხუფენიას. ეს არის და ეს. განა ღირს ჭიქა ღვინისთვის ხარის კუდზე დანის გატეხვა? ასეთია ჩემი გუნება-განწყობილება და მწყინს, რომ საქმეს შუაგზაზე მიტოვება ემუქრება.

დედა და-ძმებს შინისკენ მილალავს. მეც იქითკენ მიმითითებს, მაგრამ მე შეუვალ საბუთს— მამის წამოყვანას მოვიშველიებდა ხელად მომეშვებიან. მშობელი მეზობელი ქალების მხარდამხარ მიემართება ვიწრო შუკით, რომელიც ბრდღვიალა მთვარისგან ხელისგულივითაა განათებული და ჭრიჭინების კრუალით, ბაყაყების ყიყინით თუ ციცინათელების მეყსეული გამოწრიატებით შეკრულ-მოქსოვილა ჯადოსნურად.

ჯერ ჩემთვის სრულიად უცნობია გერმანიისა და რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირებანი. ის დიალექტიკური მატერიალიზმიც არაფრად მეპიტნავება და აღარც შენს იდეალიზმს დაგიდევ რამედ. მე ომის თემატიკის ფილმების ყურებას არაფერი მირჩევნია. რუსებს ჩვენიანებს ვეძახი, გერმანელებს — მტრებს. გული მითრთის ახლობელი ხალხის საფრთხის ჟამს და სიხარულისგან ერთადგილზე ვცქმუტავ დუშმანის საკადრისად დასჯის გამო, მაგრამ არც ესაა ძირითადი ჩვენი ნადურიდან. ჯერ კიდევ მრავალი რამეა სათქმელი, ოღონდ ამას წინათ შეპირებული მოვისტუმროთ უწინარესად, ოთარისა და ჩემს შეყვარებულებს რომ შეეხება. ჩემი სატრფო თეთრგვრემანია, ძუძუმტევი — ხორბლისფერი. ორივე ფრიადოსანი. სწავლაში გვეჯიბრებიან და არც თუ უშედეგოდ.

პატარა ბიჭის სიყვარული და კოლხეთის რეალობა ურთიერთგამომრიცხავი სიდიდეა. შენ ნდომა, წადილი გთანგავს, თუმცა საქალეთიდან არავის ესმის ამ უმწიკვლო კანკალისა. ღამღამობით შესაძლოა ლოგინში ჩაგიწვინოს მასპინძლის ასაკით უფროსმა ასულმა, როგორც ნივთი, სათამაშო და არავინ უგდებს ყურს შენი გულისძგერის გაბშირებას. შენ გინდა თანაგრძნობა დაიმსახურო სატრფოსგან. ამის თაობაზე მთელი სკოლა ჩურჩულებს, დიდპატარიანად. თავად ქალიშვილს კი შორს უჭირავს თავი. მას ასე შთააგონეს, ასე ასწავლიან ბებიები, დედა, ბიცოლები, დეიდები, მამიდები, მეზობლის ქალბატონები. ასეა მომართული მისი გონება, რომ ახლოსაც არ მოგიკაროს, თორემ სამუდამოდ დაიღუპება, სახელი გაუტყდება, და მერე ცხოვრებისთვის უვარგის დანამატად იქცევა, ყველას სათრევად, როგორც მრავალს დამართნია ჩვენეული ყოველდღიურობიდან.

არადა, ძნელი სათქმელია, როდის, რა წუთში დაბნელებია გონება იმ გოგოს, ვის წინაშე, რომელს მინდობილა მთელი არსებით, ჯერ კიდევ მკერდწამოჩიტული. მერე და მერე არგაცხადების შიშით მეორეც მოთხოვს სურვილის განაღდებას, იმ მეორეს მესამე მიემატება, და აი, მშობლები ოდეს ქალიშვილის გათხოვების ზღურბლზე აღმოჩნდებიან, და რაწამს მათ ასულს უკან მოაბრძანებენ, როგორც ოჯახის შემარცხვენელს, წაუშენენ და წაუშენენ უბედურს, თუმცა გარდახდილის მეათედსაც ვერ დააცდენინებენ; ყოველთვის ბოლო მოსურნეს ასახელებენ ისინი, ან— სულაც იმისთანა შემთხვევითს, წამიერად რომ წაცდენია ხელი ქალიშვილის სითამამისკენ და ამის გამოც ზომაზე მეტად იზარალებს, როგორც რეპუტაციით, ისე— ჯიბითაც. ამისთანა შემთხვევაში შინმობრუნებული გოგოსთვის უცილობლად მოიძებნება საქმრო სახელდახელოდ, ოღონდ — ნაცოლარი ან რაიმე ხეიბრობით შეპყრობილი და გარკვეულწილად გამოსყიდულია თითქოს ასულის უნებლიე მანკიერება.

ქართული სინამდვილე უმწიფარია ქალწულის დეფლორაციასთან მიმართებაში. ძველ კოლხეთში კი ფალოსის ღვთაებას სწირავდნენ ქალიშვილის უმანკოებას, სადაც ქვის ადრეკილ სამსხვერპლოზე სხამდნენ მათ უკლებლივ და სათავეშივე სპობდნენ სასიძოთა პრეტენზიებს.

ქალწულობის ბეჭდების სიმრთელე იოტისოდენადაც ვერ ასახავს მათი პატრონების სათნოებას, რამეთუ მსგავს სიტუაციაში გზა ეხსნება ათასგვარ გაუკუღმართებას, და ხშირად, როგორც რუსები იტყვიან, **„ცელკები“** სი ნამდვილეში ათას მხრიდან არიან გაბრედილნი, მაგრამ ჩვენი შემთხვევა განკერძოებულია. ჩვენ ახლოსაც ვერ ვეკარებით იმ სიყვარულის ნაყოფს მოსაწყვეტად.

მე ლაბას ნაპირას წარმგზავრების პერიოდში, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, თავაწყვეტილად გადავეშვები ამურის ბობოქარ მორევში. იქაური თვალხუჭობანანი და უშველებელ, კუბიკურ ზვინებში განმარტოება ყოველნაირად გამიხსნის გზას ამურული ორგიებისკენ. ზოგჯერ კი იმგვარადაც ხდება, რომ კუკუმალაობანა მთელი საღამო გრძელდება და ამისთანა ვითარების გმირს, აქა-იქ ორი, ხშირად მეტი პარტნიორი მიმაქანებს სამალავისკენ.

კაბის ალმურით და გამაღიზიანებელი ოფლის სუნის ოხშივრით ინაცრები, ინაცრები უსასრულოდ, თავანკარა სიყვარულიც თვალსა და ხელს შუა გეცლება. ახალ გატაცებებს მორიგი ენაცვლება. ყველას შენი მისაკუთრება სწადია ანიდან ჰოემდე, სინამდვილეში კი ის კოცონი სხვა შეშით დანთებულა და ოდესმე მართლაც გესტუმრება ნაღდი გრძნობა, რომელიც, დიახაც, ღვთაებრივია, დიახაც, შეურყნელი, თუმცა აწ შენი წელთაღრიცხვა დაშორიშორებულია დამდაგველის სინორჩეს და საკუთარ თავზე გაბოროტებული, სრულიად უცხო მდინარეში გადაეშვები. გულის სიღრმეში კი კვლავინდებურად წკმუტუნია შელახული ღირსებისა. რამდენადაც დავნამცეცებულვარ ამ მარათონულ იდილიაში, იმდენად დავშორებულვარ ყველაზე თავანკარას, ყველაზე სანდომიანს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ტომი ჰემელი

დაიბადა 1943 წლის 16 ოქტომბერს, შოტლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **"სელტიკი"** (შოტლანდია) და **"ნოტინგემ ფორესტი"** (ინგლისი).

ფეხბურთის მოედანზე დინჯად მოსიარულე ტომი ჰემელის პირველად ხილვა მაყურებელს იმის მტანჯველ ფიქრს უჩენდა, რომ ეს ზანტი და მოუქნელი ფეხბურთელი დიდ ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა საკუთარ გუნდს. მაგრამ სწორედ ჰემელის ამგვარ სიზანტეს შეჰყავდა შეცდომაში მოწინააღმდეგე. ჰემელი ქვეითთა ნაღმივით მოულოდნელად აფეთქდებოდა და ვიდრე შეტევაზე გადმოსული გუნდის **თავდამსხმელი "აზრზე მოვიდოდა"**, ჰემელი უკვე მოწინააღმდეგოსათვის ართმეული ბურთით მიჰქროდა მისი კარისაკენ.

სწორედ ამგვარმა **"სიურპრიზმა"** აქცია ჰემელი შოტლანდიის ეროვნულ გმირად – მან საპასუხისმგებლო მატჩებში რამდენიმე გადამწყვეტი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. ეს მოხდა ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ტურნირებზე, როცა ჰემელი **"სელტიკის"** შემადგენლობაში გამოდიოდა. ორ ფინალში ამ გუნდმა გამარჯვებას სწორედ ჰემელის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლების წყალობით მიაღწია. ეს მოხდა ჯერ 1967 წელს, როცა **"სელტიკი"** მილანის **"ინტერს"** შეხვდა, და 1970 წელს, როცა შოტლანდიელთა გუნდმა **"ფეინოორდი"** დაამარცხა. ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ჰემელის თამაშის სტილი სრულად იყო შეთანხმებული **"სელტიკის"** თამაშის მანერასთან, რამაც განაპირობა კიდეც ამ გუნდის თითქმის დაუჯერებელი წარმატება 60-70-იან წლებში. ტომი ჰემელმა უამრავ სპორტულ ჯილდოს მოუყარა თავი,

შემდეგ კი **"ნოტინგემ ფორესტში"** გადავიდა, სადაც დაასრულა კიდეც ბრწყინვალე სპორტული კარიერა.

ფრანცისკო ჰენტო

დაიბადა 1933 წლის 22 ოქტ-ს, ესპანეთში.

თამაშობდა კლუბებში **"სანტანდერი", "რეალი"** მადრიდი, ესპანეთი.

1950-1960-იანი წლების მართლაც შეუდარებელი გუნდი მადრიდის რეალი ბრწყინავდა არა მხოლოდ ალფრედო დი სტეფანოსა და ფერენც პუშკაშის შესანიშნავი თამაშის წყალობით. მოწინააღმდეგე გუნდის დაცვას და მეკარეს რისხვად ეელინებოდა ხოლმე სწრაფი და მოუხელთებელი ფრანცისკო ჰენტო, რომელსაც განიმეორებელი მონაცემების წყალობით ფეხბურთის სამყაროში იცნობდნენ როგორც **"ელ სუპერსონიკოს" ("ზესწრაფს")**. იგი უსახურ გუნდ **"სანტანდერში"** შეამჩნიეს მწვრთნელებმა და წამსვე "რეალში" მიუჩინეს ადგილი. ეს მოხდა 1953 წელს. მაშინ ჰენტოს სისწრაფის მეტი არაფერი გააჩნდა საკუთარ საბრძოლო არსენალში. ჰენტოს მეწყვილე მაშინ გახლდათ გამოცდილი მარცხენა ინსაიდი ხოსე ჰექტორ რიალი, რომლისგანაც ახალგაზრდა ფეხბურთელმა უამრავი რამ ისწავლა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ჰენტო დღემდე რჩება იმ იღბლიან ფეხბურთელად, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. **"რეალში"** მან 256 გოლი გაიტანა, 12-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და 43-ჯერ მიიღო მონაწილეობა ესპანეთის ნაკრების მიერ გამართულ მატჩებში, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა რეალური კონკურენტი მადრიდის **"ათლეტიკოს"** თავდამსხმელის ენრიკე კოლაროს სახით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა ქართველი მიხეილ მესხიც, რომელიც მიწვეული იყო მსოფლიო საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. ამ ნაკრებს საიუბილეო მატჩი უნდა გაემართა ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ, მაგრამ, ფეხბურთის **"მამებმა"** მესხის ნაცვლად ჰენტო მიიწვიეს, რაც ფეხბურთის სპეციალისტებმა უსამართლოდ მიიჩნიეს.

იოზეფ მასოპუსტი

დაიბადა 1931 წლის 9 თებერვალს, ჩეხოსლოვაკიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"უნიონი"** ტეპლიცე, **"დუკლა"** პრაღა (ჩეხოსლოვაკია), **"კროსინგი"** მოლენბეკი (ბელგია).

იოზეფ მასოპუსტი ერთადერთი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელია, რომელიც აღიარებული იქნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. ეს მოხდა 1962 წელს, როცა ჩეხოსლოვაკმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ჩაატარეს მსოფლიო ჩემპიონატი და მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ ბრაზილიის უძლიერეს საფეხბურთო ნაკრებთან ანგარიშით 3:1. ეს ერთადერთი ბურთი მაშინ ბრაზილიელების კარში სწორედ იოზეფ მასოპუსტმა გაიტანა. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისი გახლდათ ჩეხური ფეხბურთის გაბრწყინების ბედნიერი პერიოდი, რადგან ამ ქვეყნის ნაკრებს მაშინ მასოპუსტთან ერთად ამშვენებდნენ პოპლუხარი, პლუსკალი და სხვა შესანიშნავი ფეხბურთელები. იოზეფმა საფეხბურთო კარიერა ინსაიდი ფორვარდის ამპლუაში დაიწყო, მაგრამ საფეხბურთო დიდება მაშინ მოიპოვა, როცა თავდაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა. თუმცა, თამაშის მანერით იგი უფრო ძველმოდური სტილის ცენტრალურ თავდამსხმელს მოგვაგონებდა, რომელიც აქტიური მოქმედებით თითქმის მთლიანად იპყრობდა მოედნის ცენტრალურ ნაწილს და საფუძველს უყრიდა საკუთარი გუნდის შეტევებს. თავადაც ხშირად უტევდა მოწინააღმდეგის კარს, რისი ერთ-ერთი დასტურიც გახლდათ ტრადიციულად შემტევ ბრაზილიელთა კარში გატანილი შესანიშნავი გოლი. მოგვიანებით იგი ბელგიის **"კროსინგმა"** შეიძინა, კარიერის დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს წვრთნიდა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

ცოლი ქმრის სანახავად ციხეში მივიდა:

– აქ როგორ გრძნობ თავს?

- როგორც სახლში! არც გასვლა შეიძლება არსად და არც საჭმელი ვარგა...

* * *

ქმარი ეკითხება ცოლს:

– კიდევ არაა ვახშამი მზად?! მე რესტორანში მივდივარ!

– ხუთი წუთი მოითმინე.

– მზად იქნება?

– არა, მეც წამოვალ!

* * *

– რა არის გაორებული განცდა?

– ეს ისაა, როცა ხედავ, თუ როგორ ვარდება ხრამში შენი სიდედრი შენივე ახალი მანქანით.

* * *

კინოვარსკვლავი მესამე ბავშვს ელოდება. მისი პატარა გოგონა ძმას ეკითხება:

– საინტერესოა, როგორ გაიგო დედიკომ, რომ ბავშვი ეყოლება?

– რა სულელი ხარ, ამის შესახებ ხომ ყველა გაზეთში წერია!..

* * *

– ჭიჭიკია, ერთი ფეხსაცმელი შავი გაცვია, მეორე – ყვითელი! წადი, გამოიცვალე!

– ვიყავი სახლში და იქაც ეგეთი ფერებია!

* * *

გაგრიას თაფლობის თვე ჰქონდა და ფუტკრებმა დაკბინეს.

ბაზარი

აქ ბაზარი, იქ ბაზარი,
ყველაფერი თავსაყარი,
დღე დაგვიდგა სანუკვარი,
სულის-გულის გასახარი.
საქონელი ათასგვარი,
ოქრო-ვერცხლი, ხატი-ჯვარი,
სხვაც არა გაქვს საძებარი,
არ გეგონოთ ეს სიზმარი.
ერთი არის საოცარი,
აღარ მყოფნის მხოლოდ ლარი,
მე არა მაქვს ამის ჯავრი,
მთავარია, გვაქვს ბაზარი,
მოითმინეთ ცოტა ხანი,
აშენდებით, როგორც ხანი,
აქ თურქეთი, იქ ჩინეთი,
მისატანი, მოსატანი.
ვის სჭირდება ჩვენი ლარი,
საჭიროა იქ დოლარი,
მიდის-მოდის მონაგარი,
გიხაროდეთ, გვაქვს ბაზარი.
მისკენ ილტვის, როგორც ჯარი,
უჩინო და ჩინოსანი,
მშიერია თუ მაძღარი,
კეთილი თუ შურიანი.
უცოლო თუ ცოლიანი,
პროფესორი თუ მხატვარი,
უღიპო და ღიპიანი,
მდიდარი თუ მათხოვარი.
რისთვის გვინდა ჩვენ საზღვარი,
და არც ჩვენი მონაგარი,
გადავაგდოთ თოხი-ბარი,
აგერა გვაქვს ხომ ბაზარი.

ქვეყანა გვაქვს ჩვენ ქართული

ქვეყანა გვაქვს ჩვენ ქართული,
ვით საათი მომართული,
პროგრესი გვაქვს ძალზე
რთული,
ახლართული-ჩახლართული
(ჩვენებური, სულ ქართული),
იყო ინდუსტრიალური,
ახლა გახდა (?!) აგრარული.
ან საქმე სოციალური,
როგორა გვაქვს გამართული?
არაფერი გვაქვს სამდური,
ჩვენთვისა ვართ ჩაფუთული.
მოდის ჰუმანიტარული,
მოხატული – ჩაყუთული.
ზოგი ამბობს კაბალური
საქმე არის აქ ჩართული.
(ვინ იფიქრა, სულელური?)
ჭკუაც არ გვინდა ქართული,
იყოს ჰუმანიტარული.
აღარ ვარ გარკვეული,
რად ვართ ვალებში ჩაფლული,
გეფიცებით! ღმერთი, რჯული,
არ მინახავს მე ეს ფული.
მიტომ მომდის ძალზე გული,
სად, რა არის დაფარული,
ძაღლის თავი დამარხული,
მსოფლიოში ხომ განთქმული,
ჭკუა რომ გვაქვს ჩვენ ქართული.
ჯერ არ მითქვამს აზრი ბრძნული,
"ვიზა" გვინდა ჩვენ ფრანგული,
ბერძნული და გერმანული,
ესპანური ან თურქული,
გზაც გვექნება გაჩარხული.
ვიყოთ ყველგან გაფანტული,
ატუზული, ჩაკუზული,
მიწაც არ გვინდა ქართული,
იყოს ჰუმანიტარული,
ასეთია საქმე რთული,
აზრი ფილოსოფიური...

ვალერიან პაჭკორია

ამერიკელი სენატორები ხელისუფლებას დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას მოსთხოვენ

ამასს წინათ თბილისს **აშშ**-ის სენატორთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც სენატორი ჯონ კაილი ხელმძღვანელობს. როგორც ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, **„სენატორთა დელეგაცია სენატის სამხედრო და საბიუჯეტო კომიტეტების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პროგრესის ადგილზე გაცნობისა და შეფასების ინტერესი აქვთ“.**

ამერიკელი სენატორების ვიზიტის მთავარ მიზანთან დაკავშირებით საქინფორმს განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდეს არასამთავრობებმა, რომელთა მონაცემებით, სენატორები საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების – რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკიელის – გათავისუფლების საკითხზე აპირებენ საუბარს.

„ეს ინფორმაცია კერძო პირებმა მოგვაწოდეს, ამიტომ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, ზოგადად, ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლების მიზნით ხელისუფლებაზე დიდი ზეწოლა ხორციელდება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და შესაძლოა, ფუქსისა და ფრენკიელის გვარები საღდგომოდ შესაწყალებელ პატიმართა სიაშიც ვიხილოთ“, – განუცხადა მათ საქინფორმს.

ოპოზიციონერი ლიდერის ინფორმაციის შესამოწმებლად საქინფორმი საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში განუცხადეს, რომ ამ საკითხზე სამინისტრო კომენტარს არ გააკეთებს.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთ „ილორის“ რედაქცია ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ფეხბურთში, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, მრავალი სახელოვანი ფეხბურთელის აღმზრდელს, ბატონ **ჯემალ გაბისონიას** დაბადების 70-ე საიუბილეო წლისთავს!

ვუსურვებთ ბატონ ჯემალს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებსა და წინსვლას პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში. კვლავაც მრავალი სპორტსმენი აღეზარდოს ქვეყნისა და ქართული ფეხბურთის სასახელოდ!

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27